# არსენალი

№11 (16). ნოემბერი. 2005. „კვირის პალი... ...ნალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



ევროპული საჭურვლის ქართველი ოსტატი

გაწვევა — პასუხები პრობლემატურ კითხვებზე

სამხედრო დესანტი — რეალური შანსი თუ თავის მოტყუება

სპეცოპერაცია „გედეონის მახვილი"

ტანკები თბილისისათვის ბრძოლებში

ერაყში გაგზავნილი მშვიდობისმყოფელის აღსარება

1425
2005 /2

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხედრო დესანტი — რეალური შანსი თუ თავის მოტყუება 8



უხმაურო იარაღის წარმოშობის ისტორია 20



პილოტის უკანასკნელი შანსი — კატაპულტირება 24

ოპერაცია — „გედეონის მახვილი“ 38





სამხედრო ფორმით ვაჭრობა — პატიოსანი ბიზნესი თუ... 19



Hummer H3 50

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 მოკლე ინფორმაციები

კალეიდოსკოპი

6 უცხოეთის ამბები

მოსაზრება

8 სამხედრო დესანტი – რეალური შანსი თუ თავის მოტყუება

სპეცსამსახურები

10 კერპების მსხვრევა

12 რუსეთის სპეცსამსახურების რეორგანიზაცია... უკან კა-გე-ბე-სკენ

მოყვარეს პირში უძრახე...

13 ერაყში გაგზავნილი მშვიდობისმყოფელის აღსარება

ქართული ჯარი

16 გაწვევა – პასუხები პრობლემატურ კითხვებზე

პერსპექტივა

17 საქართველოს გზა NATO-სკენ და დაწუნებული ბულგარული გამოცდილება

აღჭურვილობა

19 სამხედრო ფორმით ვაჭრობა – პატიოსანი ბიზნესი თუ...

მკითხველის გვერდი

20 უხმაურო იარაღის წარმოშობის ისტორია

ნადირობის მოყვარულთათვის

22 ჩახმახებიანი თოფების დიდოსტატი

გამოხმაურება

24 პილოტის უკანასკნელი შანსი – კატაპულტირება

იარაღი

26 ჩეხური „კატიუშა" ქართულ მთებში

კომპანიონი

30 „საგამოფენო ძაღლი", რომელიც გლადიატორად იქცა

მესაჭურვლე

34 ევროპული საჭურვლის ქართველი ოსტატი და უცხოეთში შექმნილი ქართული საჭურველი

სპეცოპერაცია

38 „გედეონის მახვილი"

ნოუ ჰაუ

41 მოწინააღმდეგის ზურგში გადასროლილი მიკრობი შესაძლებელია ტერმინატორად იქცეს

საქართველოს ისტორიიდან

42 ტანკები თბილისისათვის ბრძოლებში

ფლოტი

43 წყალქვეშა კატასტროფები – სამაშველო ოპერაციები

კროსვორდი

47 არსენალვორდი

რჩევები

48 მისი უდიდებულესობა სპირტი

სუპერმობილი

50 Hummer H3

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 L85 A2 ბრიტანული მოიერიშე შაშხანა


## რედაქტორის სვეტი

„არსენალი" მიესალმება ერთგულ და „შემოსწრებულ" მკითხველებს. ვიმედოვნებთ, ნოემბრის ნომერიც საინტერესო იქნება თქვენთვის და კვლავ გაგვახარებთ სხვადასხვა სახის კრიტიკული თუ ნოვაციური გამოხმაურებებით. ჩვენ კი ვეცდებით უფრო ოპერატიულად გამოვეხმაუროთ მკითხველის კითხვებსა და სურვილებს.

„არსენალი" კვლავ განაგრძობს საქართველოს სამხედრო სფეროში მიმდინარე მოვლენების დამოუკიდებელ ანალიზს და ვცდილობთ სამხედრო უწყებებს მათი ნაკლოვანებები დავანახვოთ (მიღწევებს იმდენად კარგად აშუქებს მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომ ვფიქრობთ, ჩვენი დახმარება არ სჭირდებათ). რა თქმა უნდა ამას კეთილი განზრახვით ვაკეთებთ. ჩვენი დევიზია: „მოყვარეს პირში უძრახე...", თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მტერს რამეს დავაკლებთ...

„არსენალის" მკითხველებს ვთავაზობთ თბილისის ინტერნეტ-ფორუმის საშუალებით (ფორუმზე გახსნილია თემა – ჟურნალი „არსენალი") თავიანთი აზრების გამოთქმას (www.forum.ge).

*გიორგი ჟორჟოლიანი*
*ირაკლი ალადაშვილი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©


რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46 ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com


ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთის სათათბიროში ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული სიტუაციის გამოძიებას ითხოვენ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის, უშიშროებისა და დსთ-ის საქმეთა კომიტეტები საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებული სიტუაციის ოფიციალური გამოძიების ინიციატივით გამოდიან. სათათბიროს დეპუტატები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა, რომელიც 2008 წლისთვის უნდა დასრულდეს, არაკანონიერია. ამიტომ სურთ, ჩაატარონ საპარლამენტო გამოძიება, ასევე, ოფიციალური გამოძიების ჩატარების თხოვნით მიმართონ რუსეთის გენერალურ პროკურატურას, რათა გაარკვიონ, რის საფუძველზე დაიწყო ჯარების გაყვანა. ეს გადაწყვეტილება ემყარება ინფორმაციას, რაც დეპუტატებს დსთ-ის ქვეყნების საკითხებში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეცწარმომადგენელმა, იგორ სავოლსკიმ გააცნო. მისი თქმით, ჯარების გაყვანის შესახებ შეთანხმება, როგორც დოკუმენტი, არათუ ხელმოწერილი, პარაფირებულიც კი არ არის. დიპლომატის განცხადებით, ტექსტი მხოლოდ „შეთანხმებულია“, ხოლო ხელმოწერილია პოლიტიკური განცხადება. თავის მხრივ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ვერ უპასუხეს კითხვას, ვინ გასცა ბრძანება ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების ზოგიერთი ობიექტის, კერძოდ, გონიოს პოლიგონისა და ტანკშემკეთებელი ქარხნის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ.

## ლატვია თანახმაა

ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრაიბერგა წინააღმდეგი არ იქნება, თუ NATO-სა და შესაბამისად, ლატვიის ჯარები, ავღანეთისა და ერაყის მსგავსად სამშვიდობო ფუნქციებს



საქართველოში არსებულ კონფლიქტის ზონებშიც შეასრულებენ. როგორც ვაირა ვიკე-ფრაიბერგამ განაცხადა, ევროკავშირმა უნდა გააააქტიუროს მუშაობა, რათა დაჩქარდეს საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესი და, შესაბამისად, საქართველოში კონფლიქტების მოგვარება. ლატვიის პრეზიდენტის მოსაზრებას ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომლის თქმითაც, ევროკავშირმა პრაგმატულთან ერთად მორალური პრინციპებითაც უნდა იხელმძღვანელოს და საქართველოს აქტიურად დაუჭიროს მხარი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. პრეზიდენტი სააკაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ევროკავშირთან ერთად, გააქტიურდება ეუთოც და ხელს შეუწყობს საქართველოში კონფლიქტების მოგვარებას.

## სამშვიდობოების გასვლის შემთხვევაში ვითარება გაუარესდება(?!)

საქართველოში რუსეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის, ვლადიმერ ჩხიკვიშვილის განცხადებით, რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონებიდან გასვლის შემთხვევაში ვითარება დაიძაბება. „კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქართული მხარის უფლებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რა შეიძლება მოჰყვეს ამას“, — აღნიშნა ჩხიკვიშვილმა. მისი შეფასებით, კონფლიქტის ზონებში საკმაოდ რთული სიტუაციაა და სამშვიდობო ძალების გაყვანა სიტუაციას კიდევ უფრო გაართულებს.

## "ამერიკას საქართველოში სამხედრო ბაზების განთავსების პრეტენზია არ აქვს"

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, მეთიუ ბრაიზას განცხადებით, ამერიკას საქართველოში სამხედრო ბაზების განთავსების პრეტენზია არ აქვს. „ჩვენი და ქართველი მეგობრების ეს გადაწყვეტილება სულაც არ გვიშლის ხელს, რათა კონსტრუქციულად ვითანამშრომლოთ და გავაღრმაოთ სტრატეგიული პარტნიორობა, რაშიც საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემდგომი მხარდაჭერის იმედი გვაქვს“, — განაცხადა მეთიუ ბრაიზამ ჩიკაგოში გამართულ კონფერენციაზე, სახელწოდებით — „საქართველო — ზრდის პოტენციალი“. კონფერენციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი



ზურაბ ნოღაიდელი, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის, სამეცნიერო წრეებისა და ბიზნესის გავლენიანი წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ განაცხადა, რომ „რთული გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველო ყოველთვის ახერხებდა მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა მთელ რეგიონში“. მეთიუ ბრაიზამ აშშ-ის ადმინისტრაციის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრს „იმ სამუშაოსთვის, რასაც მამაცურად ასრულებენ ქართველი ჯარისკაცები ერაყსა და ავღანეთში“. მისი თქმით, საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფებმა უმაღლესი სამხედრო განსწავლულობა და დისციპლინა გამოავლინეს.

## თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ინიციატივა

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი „სამხედრო მოსამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოდის. ცვლილებების თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღების შემთხვევაში ერთჯერადი დახმარება ახალი ტარიფებით მიეცემა. დაინვალიდების შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე — 6000 ლარს, მძიმე ჭრილობისას — 3000-ს, ხოლო მსუბუქი ჭრილობის მიღების შემთხვევაში 1000 ლარს მიიღებს. ტრავმის სიმძიმის ხარისხს სამხედრო-სამედიცინო კომისია განსაზღვრავს. ინიციატივის თანახმად, სამხედრო-სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 10 ათასი ლარის ოდენობით და დაკრძალვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯები 2000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრო ნეშტის გადასვენების ხარჯებსაც თავად გაიღებს.

## გენშტაბის უფროსის მოადგილე გაათავისუფლეს

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ალეკო კიკნაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა. კულუარული ინფორმაციით, მისი გათავისუფლება რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტს უკავშირდება. კერძოდ, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი თავდაცვის სამინისტროში გვიან ღამით მოულოდნელად მივი-



და და განგაში გამოაცხადა, სამხედრო მაღალჩინოსანი, ვინც თავდაცვის სამინისტროში განგაშის გამოცხადებიდან ერთი საათის განმავლობაში არ გამოცხადდა, ალეკო კიკნაძე იყო და პრეზიდენტმა მისი მოხსნის შესახებ განკარგულება გასცა.

ალეკო კიკნაძე გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნამდე კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრს ხელმძღვანელობდა, მანამდე კი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ქართული მხარის სარდალი იყო.

P.S. ჟურნალი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია პოლკოვნიკ ალეკო კიკნაძის კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის უფროსად დანიშვნის შესახებ.

## თავდაცვის სამინისტრო 392 მილიონ 570 ათას ლარს მიიღებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 2006 წლის ბიუჯეტით 392 მილიონ 570 ათასი ლარით განისაზღვრა. 19 ოქტომბერს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა მოეწყო, რომელსაც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც ესწრებოდა. მისი განცხადებით, სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეტალურად გაწერილი გეგმა წარმოადგინა. მინისტრის თქმით, ამის შემდეგ იგი აღარ გაიზიარებს ოპოზიციის ბრალდებებს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაუმჭვირვალობასთან დაკავშირებით. როგორც ოქრუაშვილმა აღნიშნა, მომავალ წელს სამხედრო პირების 4000 კაცამდე გაზრდა იგეგმება.

## საზღვრის დაცვის უწყება დაფინანსების 14 მლნ-ით გაზრდას მოითხოვს

საქართველოს საზღვრის დაცვის უწყება 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაფინანსების 14 მილიონი ლარით გაზრდას მოითხოვს. უწყების ხელმძღვანელის, ბადრი ბიწაძის თქმით, საქართველოს მესაზღვრეები უმძიმეს მდგომარეობაში არიან, განსაკუთრებით აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საზღვრის ჩრდილოეთის მონაკვეთში. ბიწაძის განცხადებით, საზღვრის დაცვის უწყება ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, 30 მილიონით არის განსაზღვრული. აღნიშნული თანხიდან 26 მილიონი საზღვრის დაცვის უწყების თანამშრომელთა ხელფასებს უნდა მოხმარდეს. რჩება 4 მილიონი ლარი, რომლითაც შეუძლებელია საზღვრის დაცვის უწყების ფუნქციონირება. მისივე თქმით, საზღვრის დაცვის უწყების საშტატო ერთეული ხელმძღვანელობამ 3500 კაცით შეამცირა, მაგრამ მესაზღვრეებს ხელფასი არ გაზრდიათ და ამის გამო გაძნელებულია კორუფციასთან ბრძოლაც.

## 22-ე ბატალიონის ასეულმა საჩვენებელი წვრთნები გამართა

სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის ფარგლებში 19 ოქტომბერს, ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე, 22-ე ბატალიონის პირველმა ასეულმა საჩვენებელი წვრთნები გამართა, რასაც ამერიკელი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ. ქართული მხრიდან სწავლებას კოორდინაციას ბატალიონის მეთაური, კაპიტანი ლაშა ყარმაზანაშვილი და ასეულის მეთაური, უფროსი ლეი-



ტენანტი ირაკლი ქურდიანი უწევდნენ. წვრთნების დროს ოცეულებმა ობიექტზე წინასწარ დაგეგმილი შეტევა განახორციელეს, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა ნაღმტყორცნები და ყუმბარმტყორცნები. ქართულ-ამერიკული სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის ფარგლებში 22-ე ბატალიონმა მომზადება კრწანისის პოლიგონზე 17 აგვისტოდან დაიწყო და 17 დეკემბერს დაასრულებს. ბატალიონი, სავარაუდოდ, სამშვიდობო მისიის შესასრულებლად გაზაფხულზე ერაყში გაემგზავრება.

## საქართველოს NATO-ში გაწევრების საკითხი 2008 წელს დაისმება

საქართველოს საგარეო უწყების ყოფილ ხელმძღვანელს, სალომე ზურაბიშვილს იმედი აქვს, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრების საკითხი 2008 წლისთვის გადაწყდება. როგორც ზურაბიშვილმა განაცხადა, 2006 წლის მეორე ნახევარში, რიგაში ჩატარდება NATO-ს წევრი ქვეყნების არაფორმალური სამიტი. ქართულ მხარეს განზრახული აქვს, თხოვნით მიმართოს NATO-ს ხელმძღვანელობას, რომ საქართველოს გაწევრების სამოქმედო გეგმის განხორციელება დაიწყოს. ექსმინისტრის აზრით, ქართული მხარის ამ თხოვნას NATO გაითვალისწინებს და დადებით პასუხს მივიღებთ. ამავდროულად, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი აცხადებს,რომ საქართველოს NATO-ში გაწევრებას პრობლემებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეთნოკონფლიქტები. კერძოდ, მწვავე ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

***საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშშ სანაპირო დაცვას ჩქაროსნული დრონომატარებლებით აიარაღებს

ახალი კლასის გემის Littoral Combat Ship-ის დამუშავებისა და აგების ტენდერის ფარგლებში პენტაგონს კორპორაცია LOCKHEED MARTIN-სა და GENERAL DYNAMICS-ის ორი პროექტი აქვს გათვალისწინებული.

LCS-ის კლასის გემები მრავალფუნქციური იქნება. მათი მოვალეობა აშშ-ის საზღვაო საზღვრების დაცვა, სადაზვერვო ცნობების შეკრება, ნაღმების ამოღება, წყალქვეშა ნავებსა და ჩქაროსნულ კატერ-დამრღვევებზე ნადირობა იქნება. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლიათ სახმელეთო ოპერაციების მხარდაჭერა, მათ შორის, საბრძოლო ჯგუფების შემადგენლობაში.




პენტაგონის ტექნიკური დავალების თანახმად, გემებზე უპილოტო თვითმფრინავების,




ასევე, პილოტირებული და უპილოტო ვერტმფრენების მოთავსებაც უნდა შეიძლებოდეს.

GENERAL DYNAMICS-მა ტრიმარანის პროექტი წარმოადგინა (გადაკეთებული სამოქალაქო Austal) ხოლო LOCKHEED MARTIN-მა ერთკორპუსიან სქემას მიანიჭა უპირატესობა (Fincantieri).

LCS-სა და გემების არსებულ კლასებს შორის ანალოგიის გაკეთება ძალზე რთულია. ზომით ისინი ფრეგატებს შეესაბამებიან, ზოგიერთი მახასიათებლით კი კორვეტებს, სინამდვილეში კი სავსებით ახალი კლასია. სანაპირო ზონაში მოქმედებისათვის განკუთვნილ LCS-ს ოკეანეში გასვლაც შეუძლია.

თითოეული პროექტი ე. წ. მოდულური სქემის მიხედვითაა დაპროექტებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მას მოკლე დროში შეუძლია განსაზღვრული მისიის შესასრულებლად პროფილი შეიცვალოს — საამისოდ საკმარისია სპეციალურ ნაკვეთურებში ელექტრონული ბლოკების (მოდულების) შეცვლა. ამგვარად, გემს შეუძლია გახდეს მტრალავი, წყალქვეშა ნავებზე მონადირე ან სულაც სხვა „სპეციალობა“ მიიღოს.

# ვოლოგდასთან ომისდროინდელი „იუნკერს 88“ იპოვეს



ვოლოგდის ტყეებში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბდამშენი „იუნკერს 88“ არმოაჩინეს.

ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, თვითმფრინავი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდეს საბჭოთა გამანადგურებლებმა 1942 წლის მაისში. „იუნკერს 88“ საძიებო რაზმებმა ვოლოგდიდან 70 კმ-ის დაშორებით აღმოაჩინეს, ტყეში. რაზმის მეთაურის მოადგილის ალექსანრდ მეტელკინის თქმით, თვითმფრინავის ზოგიერთი დეტალი ისეა შენახული, თითქოს ეს-ეს არის გამოუშვიათ ქარხნიდან. ნაპოვნია ასევე სახელობითი პორტსიგარი ინიციალებით LZ.

თვითმფრინავს ბორტზე, ცოტა არ იყოს, უცნაური ტვირთი ჰქონდა: ჩამოვარდნის ადგილას ნაპოვნია პატარა ზომის ხატები, ქრისტიანული ჯვრები, ქალის თავსაფრები, ასევე საძილე ტომრები, გასაბერი მატრასები, რეზინის ნავები, სასურსათო კონტეინერები ხორცის კონსერვებითა და შოკოლადით.

# ავსტრალიაში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელი ვეტერანი გარდაიცვალა

ავსტრალიაში 106 წლის ასაკში გარდაიცვალა პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი უილიამ ევან ალანი. ის 1899 წელს დაიბადა. ომის დაწყებამდე ავსტრალიის სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალებში მსახურობდა, მაშინ ის სულ 14 წლისა იყო. 1915-18 წლებში ალანი მატროსად მსახურობდა გემ „ენქაუნთერზე“. გემი წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში პატრულირებდა, მონაწილეობდა აგრეთვე გერმანული გემის, „ვულფის“ ძიებაში. როგორც ცნობილია, „ვულფი“ მოკავშირეთა გემებს ესხმოდა თავს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში კი ალანი კრეისერზე და სამხედრო-საზღვაო ბაზაში მსახურობდა. სულ ვეტერანმა ფლოტში 43 წელიწადს იმსახურა და ლეიტენანტის ჩინი დაიმსახურა. გადადგომის შემდეგ ფერმერობდა.

„ის იყო უკანასკნელი იმ თაობიდან, რომელმაც ავსტრალია ჩვენი ერის, ბრიტანული იმპერიისა და სხვა ხალხების დასაცავად დატოვა, დატოვა, რათა დაეცვა თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალები, — ნათქვამია ვეტერანების საქმეთა მინისტრის დე-ანე კელის განცხადებაში, — მისტერ ალანი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ომში წავიდა. მისი სახელი დავიწყებას არასოდეს მიეცემა“.

ალანის სიკვდილის შემდეგ ავსტრალიელ ვეტერანთა უხუცესი წევრი გახდა 106 წლის ჯონ კემპბელ როსი, რომელმაც სამხედრო სამსახური 1918 წელს დაიწყო, თუმცა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არასოდეს მიუღია და არც ავსტრალია დაუტოვებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პენტაგონმა ბომბდამშენების უკვდავების საიდუმლოს მიაგნო



პენტაგონმა მწყობრიდან გამოსული ბომბდამშენების B-52-ების აღსადგენ ხერხს მიაგნო. ცივი ომის დროიდან აშშ-ში ათეულობით ასეთი მანქანა დარჩა. ისინი თავიანთი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით ჯერაც სავსებით ვარგისი არიან სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის. მაგრამ, რადგან ეს მოდელი კარგა ხანია აღარ იწარმოება, თითქმის აღარ მოიძევება მათი სათადარიგო ნაწილებიც.

ამჟამად ახალი სათადარიგო ნაწილების საწარმოებლად გამოიყენებენ სპეციალურ ლაზერულ ჩარხს, რომელსაც მასკანირებელი მოწყობილობაც აქვს. ეს ტექნოლოგია დიდად დააჩქარებს სათადარიგო ნაწილების წარმოებას. ამავე ტექნოლოგიას გამოიყენებენ ისეთ სფეროებში, სადაც ტექნიკა საკმაოდ დიდხანს „მსახურობს“. მაგალითად, სამხედრო-საზღვაო ძალებში – სამხედრო გემები ზოგჯერ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ გამოდიან მწყობრიდან.

ამერიკული თვითმფრინავების ფლოტი, უპირველესად კი ძვირად ღირებული ბომბდამშენები, ტანკერები და სატრანსპორტო მანქანები მალე ძველდება. საწვავგასამართ KC-135-ებს შორის, რომლებიც ლაინერ BOEING-707-ის ბაზაზეა შექმნილი, ბევრმა უკვე 40 წელს გადააბიჯა. სახელგანთქმული B-52-ები სტრატეგიული ავიაციის შეიარაღებაში საკმაოდ დიდი ხანია არიან. მაგალითად, გასულ წლის დამლევს NASA-მ შემადგენლობიდან ამოიღო B-52 ნომერი 008, რომელიც 1955 წლიდან მონაწილეობდა სხვადასხვა საფრენი აპარატების ექსპერიმენტულ გაშვებაში.

# რუსეთ-ბელორუსიის საერთო თავდაცვა

რუსეთისა და ბელორუსიის თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს კონცეფციის პროექტი, სადაც მოკავშირე რესპუბლიკის თავდაცვის საკანონმდებლო საფუძვლებია ჩამოყალიბებული.

როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა აღნიშნა, დღეს აღარავის ეჭვქვეშ რუსეთისა და ბელორუსიის სტრატეგიული პარტნიორობა. „ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ჩვენი სამხედრო უწყებების მიერ ერთობლივად მიღებული ყველა პროგრამული გადაწყვეტილების პრაქტიკაში რეალიზაციამ“, – დასძენს რუსეთის თავდაცვის მინისტრი.

კოლექტიური საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებად სერგეი ივანოვი ასახელებს სამხედრო სფეროში კანონმდებლობის უნიფიკაციას, ჯარების რეგიონული დაჯგუფებების ფუნქციონირებას, სამხედრო კადრების მომზადებას, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ურთიერთმოქმედებას, შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების დაცვის საქმეში კოორდინირებულ მოქმედებას.

კოლეგა მინისტრებმა ასევე დაამტკიცეს 2007-10 წლების სამხედრო-სამეცნიერო თანამშრომლობის კომპლექსური პროგრამა.

# „სტილეტი“ კამჩატკისკენ გაისროლეს



20 ოქტომბერს ბაიკონურიდან გაუშვეს კონტინენტთაშორისი რაკეტა PC-18 „სტილეტი“. „რაკეტა რუსეთის შეიარაღებული ძალების, კერძოდ, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მომზადების გეგმის ფარგლებში გავუშვით, რასაც რაკეტის ექსპლუატაციის ვადის გაგრძელება ჰქონდა მიზნად“, – განაცხადა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები ამჟამად რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და უშუალოდ საჰაერო ძალების გენერალურ შტაბს ექვემდებარება. მის შეიარაღებაში 2005 წლის ოქტომბრის მდგომარეობით არის ოთხი სხვადასხვა ტიპის 545 სარაკეტო კომპლექსი, რომელთაც 1955 ერთეული ბირთვული საბრძოლო მუხტის ტარება შეუძლიათ.

# ისრაელმა უარი თქვა მომგებიან გარიგებაზე

ამერიკული დიპლომატიის ზეწოლის შედეგად ისრაელმა უარი თქვა მომგებიან გარიგებაზე ვენესუელასთან. აშშ-მ ვეტო დაადო ისრაელის განზრახვას, ვენესუელასთვის გამანადგურებლების მოდერნიზაციის ტექნოლოგიების მიყიდვაზე. ისრაელის ტელევიზიის მონაცემებით, თელ-ავივი ვენესუელის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში არსებული ამერიკული წარმოების გამანადგურებლების, F-16-ების აღჭურვას საკუთარი წარმოების ელექტრონული სისტემებით აპირებდა. გარიგების თანხა არ გახმაურებულა. ისრაელის თავდაცვის სამინისტრო ამ ფაქტზე, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო დესანტი

## რეალური შანსი თუ თავის მოტყუება



მოგეხსენებათ, საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრული ნაწილი მთაგორიან რელიეფზეა გადაჭიმული. ამიტომ საინტერესოა, როგორ უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ამგვარ გეოგრაფიულ პირობებში სადესანტო ოპერაციები. „არსენალის“ ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილ სარდალს, გენერალ-მაიორ კობა კობალაძეს სხვა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებთან ერთად დამთავრებული აქვს რუსეთის ფედერაციის ქალაქ რიაზანის უმაღლესი საჰაერო-სადესანტო სასწავლებელი სამხედრო სპეციალობით – სადესანტო-სადივერსიო ქვეგანაყოფების მომზადება-გამოყენება. ამიტომ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ბატონ კობას კომენტარი ვთხოვეთ:

**— ბატონო კობა, ცხადია, რიაზანში შეგასწავლიდნენ, როგორ უნდა გადასხდეს მთაგორიან რელიეფზე დესანტი და როგორ უნდა წარიმართოს საბრძოლო მოქმედებები. იქნებ დაწვრილებით გვიამბოთ ამის თაობაზე.**

– ამას განსაკუთრებულ პირობებში და განსაკუთრებულ რელიეფზე საბრძოლო მოქმედებების წარმოება ეწოდება. დესანტის ამოცანა მდგომარეობს მოულოდნელობის ეფექტში და განსაზღვრულია დროის რაღაც პერიოდზე. უფრო ზუსტად, სადესანტო ნაწილებმა მოულოდნელად უნდა დაიკავონ მოწინააღმდეგის კონკრეტული პლაცდარმი, იზოლირება გაუკეთონ მას და სახარბიელო პირობები შექმნან საიმისოდ, რომ მთავარმა ძალებმა აღებული ტერიტორია დაიკავონ... სხვათა შორის, სწორედ ეს ამოცანა შეასრულეს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 1992 წლის აგვისტოში ლესელიძე-განთიადი-გაგრის მიმართულებით.

**— როგორც ცნობილია, ამ ოპერაციას მაშინ თქვენ ხელმძღვანელობდით. როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ეს ყოველივე?**

– ფაქტობრივად, ამოცანა, რომელიც ჩვენ წინაშე იდგა, წარმატებით შევასრულეთ. სამწუხაროდ, დღეს გარკვეულწილად იგნორირებას ვუკეთებთ სადაზვერვო მონაცემებს. არადა არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, სადესანტო ოპერაცია არ იგეგმება სადაზვერვო მონაცემების გარეშე. წინასწარ უნდა განისაზღვროს, რა შესაძლებლობები აქვს მტერს, როგორია მისი პირადი შემადგენლობა საცეცხლე ზემოქმედების თვალსაზრისით. როდესაც სადესანტო ნაწილის ხელმძღვანელი ოპერაციას გეგმავს, გათვლილი უნდა ჰქონდეს საბრძოლო მოქმედების თითოეული დეტალი. კონკრეტული ტერიტორიის აღება-დაკავებისთვის საჭიროა კონკრეტული, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება. მეთაურმა უნდა შეკრიბოს მონაცემთა ბაზა, კარგად შეისწავლოს მოწინააღმდეგის ტაქტიკურ-ტექნიკური შესაძლებლობები, გეოგრაფიული რელიეფი. საჭიროა იმის ცოდნაც კი, ვინ ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რა ენაზე ლაპარაკობენ, რომელ რელიგიას აღიარებენ, რა კულტურული ფასეულობების მატარებლები არიან, ვისი დახმარების იმედი აქვთ და საიდან. ასევე უნდა განისაზღვროს ცრუმიმართულებები, საიდან უნდა განხორციელდეს ზეწოლა, რათა მოწინააღმდეგემ ყურადღება სულ სხვა მიმართულებით გადაიტანოს და ამით მნიშვნელოვან კონკრეტულ კვადრატში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შეყვანის შესაძლებლობა მოგეცეს და ა.შ. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ოპერაციას, მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სპონტანურად დაგვისვა ამოცანა ლესელიძე-განთიადი-გაგრის მიმართულებით საზღვაო დესანტის გადასხმის თაობაზე. ჩვენი, შავნაბადას ბატალიონი, მაშინ ქალაქ ფოთში იყო დისლოცირებული. გარდა ამისა, დაგვემატა პირადი შემადგენლობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გოგა ხაინდრავა და სულ 190 კაცამდე შევგროვდით. მოგეხსენებათ, მაშინდელი მწირი სატრანსპორტო საშუალებებით რა ოპერაციის ჩატარება იყო შესაძლებელი, ამიტომ ფოთის სანაპიროზე რაც თვალთახედვის არეში მცურავი სატრანსპორტო საშუალებები მოგვხვდა, ზოგი საჩუქრით, ზოგი ტყუილით და ზოგიც მოხერხებით დავისაკუთრეთ (ესეც მეტყველებს მაშინდელი ხელმძღვანელობის არასერიოზულ დამოკიდებულებაზე), მოვხსენით დრეიფიდან საბუქსირე ამწეც და პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ტექნიკა ლესელიძე-განთიადი-გაგრის მიმართულებით დაიძრა. გზის ნახევარიც არ გვქონდა გავლილი, რომ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიით „მოამბემ“ პირდაპირ ეთერში გამოაცხადა, რომ ჩვენი დესანტი მეორე დილისთვის გაგრაში იქნებოდა. დიქტორმა მოუწოდა იქაურ მოსახლეობას, ქალაქი არ დაეტოვებინათ(?!).

ამის მერე რუსების სასაზღვრო კატარღები გამოჩნდნენ. სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, მაგრამ ხელი არ შეუშლიათ, მაშინვე გაგვატარეს. ეტყობა, ერჩივნათ, აფხაზებს შევტაკებოდით. როდესაც სადესანტო ოპერაცია დავიწყეთ და ხმელეთზე პირადი შემადგენლობაც გადავიყვანეთ, ერთ-ერთი გემის კაპიტანი მძიმედ დაგვეჭრა. უნდა გავიხსენო ის ვაჟკაცები, ვინც ამ ბრძოლებში დავკარგეთ: კოკა კლდიაშვილი, სანდრიკა ვაჩეიშვილი, ზურა ჯაშიაშვილი, ლაშა დონდუა და სხვები. მაშინ ბევრი მებრძოლი დაგვეჭრა, მაგრამ ამოცანა წარმატებით შევასრულეთ.

**— როგორია სადესანტო ნაწილების მოქმედების სპეციფიკა?**

– ასეთი გამოთქმა არსებობს: სადესანტო ნაწილი სადაც გაჩერდება, იქ იქნება მისი საფლავიო. ამიტომ მათი დევიზი არის: „მუდმივი მოძრაობა, მოძრაობა და კიდევ მოძრაობა“. სადესანტო ნაწილი შედგება მოიერიშე, თავდაცვითი და საცეცხლე უზრუნველყოფის შემადგენლობებისგან. მოიერიშე შემადგენლობას, რომელიც კონკრეტულ ამოცანას ასრულებს ხოლმე, ენაცვლება თავდაცვითი. მის შესვლამდე კი საცეცხლე შემადგენლობა იბრძვის. თითოეულ ნაწილზე მიმაგრებულია ავიამეთვალთვალე, ანუ პირი, რომელიც რადიოსადგურის მეშვეობით ავიაციას კოორდინირებას უწევს. ნებისმიერ ქვედანაყოფს ეძლევა როგორც მაკორექტირებელი, ასევე ავიადამმიზნებელი და ა.შ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთებასა და პატრიოტიზმს. გაგრაში, დესანტის გადასხმის დროს, ჩვენ მოწინააღმდეგის პოზიციებზე გავედით, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სულისკვეთება, გამარჯვებისაკენ ლტოლვა, რომ უკან არ დაგვიხევია და ლესელიძეში დაფიქსირდა საქართველოს ადმინისტრაციული საზღვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იც და ჩვენი დროშაც აღიმართა. მერე შემოვიდნენ მთავარი ძალები. მანამდე კი, ფაქტობრივად, ერთი თვის განმავლობაში, პირადი შემადგენლობა, სულ 190 კაცი იკავებდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას.

— **თქვენ ხელმძღვანელობდით 2001 წლის ოქტომბერში კოდორის ხეობაში შესული რუსეთის სადესანტო (გაძლიერებული) ასეულის ალყაში მოქცევისა და განდევნის ოპერაციას. რა მიზანს ისახავდა მაშინ რუსების დესანტი და როგორ ჩატარდა ოპერაცია?**

– რუსეთის ასეულს 24 საათში ვაიძულეთ იქაურობის დატოვება, რადგან ჩვენ ვიცოდით მათი ტაქტიკური მოქმედებების შესაძლებლობები და ისიც, რის გაკეთებას აპირებდნენ. სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა მათი იზოლირება, ხელი შევუშალეთ ხელსაყრელი პირობების შექმნაში. რომ არ გაფართოებულიყვნენ, ყველა დამხმარე მიმართულება გადავუკეტეთ. მთელი ღამე დაძინების საშუალება არ მივეცით. დილით კი მიხვდნენ, რომ ხეობაში დარჩენა შეუძლებელი იყო – ალყაში იყვნენ და გასაქანი აღარ ექნებოდათ. თვითონ მოითხოვეს, დერეფანი მიგვეცა და გაგვეშვა. არადა, ჩხალთის დაკავება, კოდორის ხეობის შუა ზოლზე გაწყვეტა და ლათის ზევით მდებარე საგუშაგოების ჩხალთაში ამოტანა ჰქონდათ განზრახული. ამ ფაქტს როგორც ინტერნეტით, ისე რუსულ პრესაში სერიოზული ანალიტიკური სტატიები მიეძღვნა, სადაც თავად რუსი ექსპერტები აღიარებდნენ ჩვენს სწორ ტაქტიკურ ქმედებებსა და პროფესიონალიზმს.

— **ზემოთ დასმულ შეკითხვას დავბრუნდები, იქნებ უფრო კონკრეტულად აგვიხსნათ, როგორ ხდება მთაგორიან რელიეფზე დესანტის გადმოსხმა?**

– გააჩნია, რა არის იმ მთაზე განლაგებული. თუ საარტილერიო ქვედანაყოფია, რომელსაც აქვს საცეცხლე ზემოქმედების განხორციელების საშუალება შენს ტერიტორიაზე, მშვიდობიან მოსახლეობაზე და ა.შ., მაშინ აუცილებელია მისი აღება. თუ იქ არის განლაგებული მხოლოდ საგუშაგო, რომელსაც არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ შორ მანძილზე საცეცხლე ზეწოლა განახორციელოს, მაშინ მის აღებას აზრი არ აქვს. მას მხოლოდ უზრუნველყოფის ის გზები უნდა გადაეკეტოს, საიდანაც პროდუქტით, წყლით, იარაღით მარაგდება და იზოლირების შემდეგ თავისით მოშორდება იქაურობას. ამ დროს მონაცემთა ბაზა და დაზვერვა უნდა გამოიყენო. პირადი შემადგენლობა და საარტილერიო ცეცხლი არ უნდა მიუშვა მანამ, სანამ ასაღები ტერიტორიის კონკრეტულ დამუშავებას არ მოახდენ. ვერტმფრენის გამოყენება მთაზე არ არის მიზანშეწონილი, რადგან უნდა გაითვალისწინო ხეების სიმაღლე. გარდა ამისა, მინიმუმ 12 მეტრის სიმაღლეზე დაკიდებული ვერტმფრენი იოლი გასანეიტრალებელია. მოწინაალმდეგე, რომელიც განლაგებულია მთაზე, შენსავით ფიქრობს და არანაკლები პროფესიონალია (თუ ფიქრობ, რომ მტერი შტერი და მშიშარაა, ომი უკვე წაგებული გაქვს). მასაც ექნება „სტრელა", „იგლა", „სტინგერი" და სხვა ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები, ექნება ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიც, რაც არანაკლებ ეფექტიანია ასეთ დროს. მოკლედ, გააჩნია, როგორია მთა, შენ წინაშე დასმული ამოცანა. მნიშვნელობა აქვს პირადი შემადგენლობის შეიარაღებას, იმასაც, რა ვადითაა განლაგებული მოწინააღმდეგე იქ. უნდა შეისწავლო, როგორია მისი კვებითი და წყლის რესურსები, მათი მიწოდების გზები. ტყეში გადაადგილებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ღამით, შეზღუდული მხედველობის დროს, მიპარვით მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევას და მის განეიტრალებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ჯარისკაცმა, რომელსაც აღებული აქვს კონკრეტული ზონა, იცის, რომ ეს ზონა მისია და ირგვლივ მოწყობილი აქვს სხვადასხვა სახის საინჟინრო უზრუნველყოფა, რასაც ჩვენ დღესაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. არადა, ეს გასათვალისწინებელია.

— **ჩვენი ხელისუფლება მშვიდობიანი, მოლაპარაკებების გზით ცდილობს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, შეიარაღებული ძალების გამოყენებით მოგვიწიოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. თქვენი აზრით, დესანტის გამოყენებით რამდენად მოკლე პერიოდშია შესაძლებელია თუნდაც ცხინვალის აღება?**

– მაგალითად, მე, როგორც რიგით ქართველს, მეამაყება, რომ საქართველოს ჰყავს ისეთი პრეზიდენტი, რომელიც ყველაფერს აკეთებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. მას საქმის მკეთებელი ხალხი რომ ედგეს გვერდით, საკმაოდ მოკლე დროში შეიძლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში რომელ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეა ლაპარაკი? გეგმაც კი არ იწერება იმისთვის, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. თავის დროზე გეგმებიც იყო გაწერილი, პირადი შემადგენლობაც იყო გათვლილი, ჩვენი მოწინააღმდეგეებიდან რომელ მიმართულებაზე ვინ მეთაურობდა... ყველაფერი ეს იყო და სად გაქრა? არ უნდა ვიფიქროთ, რომ ცხინვალი მტრის ბუნაგია. იქაც და აფხაზეთშიც ჩვენი ძმები და შვილები არიან, თუმცა ეს არ მაძლევს იმის უფლებას, რომ ჩემი ქვეყნის ერთიანობაზე არ ვილაპარაკო. უნდა შედგეს კონკრეტული გეგმა და სტრატეგია, რა გზით უნდა დაბრუნდეს ესა თუ ის ტერიტორია – მოსყიდვით, დესანტის გამოყენებით, მოფერებით, პანღურის ამორტყმით თუ სხვა გზით. რუსებს არ სიამოვნებდათ, როცა აფხაზებსა და ოსებთან მათ გარეშე ვაწარმოებდით ამა თუ იმ საკითხზე მოლაპარაკებებს. სწორედ ამ ფაქტორის ამოქმედებაა საჭირო. ურთიერთნდობის აღდგენაა აუცილებელი და შესაძლოა, შეიარაღებული ძალების გამოყენებაც არ გახდეს საჭირო ტერიტორიების დასაბრუნებლად. ჭუბურხინჯში მოლაპარაკებებისას ასეთი იდეაც კი იყო, – ლათაზე ქართველი და აფხაზი ოფიცრების 50-50 ოჯახი უნდა ჩავსახლებულიყავით ერთ სოფელში და გვეცხოვრა მშვიდობიანად. მაგრამ ბოლოს მაინც შეგვიშალეს ხელი... საერთოდ, ტერიტორიების დაბრუნება დროისა და პოლიტიკური ნების საკითხია.

*მამუკა ხუციშვილი*



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კერპების მსხვრევა

„ბრმად თაყვანისცემა რისიმე თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა“.
*ილია ჭავჭავაძე*

*გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირი 70 წელსაც ვერ გაძლებდა და ადრევე გაქრებოდა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან, რომ არა მისი საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია: ვჩკ-გპუ-ოგპუ-ნკვდ-მგბ-მვდ-კგბ — სახელწოდებები იცვლებოდა, პოლიტიკური ტერორი კი გრძელდებოდა.*

საბჭოთა იმპერია მითებით, სიმბოლოებით, კერპებითა და ბელადებით ატყუებდა ყველას და იტყუებდა თავს. მართალია, სიცრუე ტოტალიტარული რეჟიმის აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ საბჭოთა იმპერიაში ტყუილი სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში იყო აყვანილი.

პოლიტიკა, ხელოვნება, მწერლობა, სპორტი, ქვანახშირის მოპოვება თუ სოფლის მეურნეობა — მითებსა და ლეგენდებზე იყო დაფუძნებული. ამასთან, როგორც სათბურში, ისე გამოჰყავდათ „ახალი დროის გმირები“ — კერპები, უფრო სწორად, ცრუკერპები. ერთი სიტყვით, ტყუილი, ისევ და ისევ ტყუილი იყო საბჭოთა იმპერიის მამოძრავებელი ძალა. ჰომოსოვეტიკუსი ათწლეულების განმავლობაში ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობდა — საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ მითითა და კომუნიზმის მოლოდინში. ამავე დროს მავზოლეუმში კარგა ხნის გარდაცვლილი „დიდი ბელადი“ განისვენებდა, წლიდან წლამდე რომ პატარავდებოდა, ხოლო მისი პოლიტიკური მემკვიდრეები მის უკვდავებას ქადაგებდნენ.

მოსახლეობა სურსათის შესაძენად რიგებში ათენებდა და აღამებდა, სამაგიეროდ, კომუნისტური პროპაგანდა ხალხს კომუნიზმის მოახლოებითა და საყოველთაო კეთილდღეობის დაპირებებით „კვებავდა“.

„წითელი ტერორი“ მძვინვარებდა — ჰუმანისტი საბჭოთა ბელადები მილიონობით მოქალაქეს ხვრეტდნენ ან „ლაგერებში“ ალპობდნენ.

ბუნებრივია, მითებისა და კერპების გარეშე ვერც საბჭოთა იმპერიის რეპრესიების მთავარი იარაღი — სპეცსამსახურები იარსებებდნენ.

ფელიქს ძერჟინსკი, იური ანდროპოვი, რიჰარდ ზორგე, რუდოლფ აბელი (იგივე უილიამ ფიშერი) — აი, იმ ჩეკისტი კერპების ძალზე მოკლე სია, რომელთა „უნიკალურ“ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობასა და „დიდ ადამიანურ თვისებებზე“ ლეგენდებს თხზავდნენ და მომავალ ჩეკისტებს მათ მაგალითზე ზრდიდნენ.

სამწუხაროდ, დღესაც ამ ლეგენდებით საზრდოობენ რუსეთის სპეცსამსახურები, რომლებიც საქართველოსა და ქართველი პოლიტიკოსების წინააღმდეგ სწორედ ძველ ჩეკისტურ მეთოდებს იყენებენ.

ყოფილი საბჭოთა სპეცსამსახურების (კა-გე-ბესა და გრუ-ს) სამართალმემკვიდრე რუსეთის სპეცსამსახურების უმთავრესი მოვალეობა ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოებში (საქართველო, უკრაინა, მოლდავეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები) დესტაბილიზაციის გამოწვევაა.

ამიტომ საბჭოთა სპეცსამსახურების მითები და ხელოვნურად შეკოწიწებული კერპები აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს, რათა რუსეთის (იგივე საბჭოთა) იმპერიის აღდგენასა და ძველი კა-გე-ბეს გაცოცხლებას მონატრებულ რუსეთის ხელისუფლებას, ერთ-ერთი მძლავრი დასაყრდენი გამოეცალოს ხელიდან. ეს ის სარეველა ბალახია, რომელიც ძირფესვიანად არის ამოსაძირკვი.

იმპერიული აზროვნება რომ შემაშფოთებლად სიცოცხლისუნარიანია, ეს რუსეთში ჩატარებულმა ერთ-ერთმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამაც დაადასტურა, როცა საბჭოთა იმპერიის ოდნავ ტრანსფორმირებული სახით აღდგენის მომხრე გამოკითხულთა ნახევარზე მეტი აღმოჩნდა.

ჩვენ შევეცდებით ობიექტურად, დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით შევაფასოთ ამ კერპების პროფესიონალიზმი და ადამიანური თვისებები.

ბოლშევიკებს დიდ პატივში ჰყავდათ ფელიქს ძერჟინსკი, იგივე „რკინის ფელიქსი“ — საგანგებო კომისიის (ჩეკა) პირველი თავმჯდომარე. მსოფლიოში ამგვარი პატივი არც ერთ სპეცსამსახურის ხელმძღვანელს არ ღირსებია. მასზე იქმნებოდა ფილმები, იწერებოდა წიგნები, ხატავდნენ და ძერწავდნენ, მის ძეგლთან საზეიმო ფიცს დებდნენ და მასზე, როგორც „ჩეკისტურ ღვთაებაზე“, ლოცულობდნენ.

საბჭოთა სპეცსამსახურების ახალგაზრდა თანამშრომლებს „რკინის ფელიქსის“ ოპერატიულ გამჭრიახობაზე, კომუნისტურ თავმდაბლობაზე, პატიოსნებასა და სიმტკიცეზე ლეგენდებს უყვებოდნენ. მეტიც, მითები მისი პროფესიონალიზმის შესახებ სპეცსამსახურების სახელმძღვანელოებში იყო შეტანილი (მაგ. „ელჩების შეთქმულება“, „ოპერაცია „ტრესტი“ და ა.შ.). მომავალ ჩეკისტებს ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის როგორც უდიდეს მაგალითებს, ისე ასწავლიდნენ და დღესაც ასწავლიან, მხოლოდ უკვე რუსეთის სპეცსამსახურების აკადემიებში.

მაინც ვინ იყო ფელიქს ძერჟინსკი?

ძერჟინსკი 1877 წლის 11 სექტემბერს დაიბადა პოლონეთში, შეძლებულ ოჯახში. ერთ-ერთი ვერსიით, დედა პოლონელი ჰყავდა, მამა — ებრაელი. ზოგიერთი კომუნისტი ბიოგრაფის ცნობით, პატარა ფელიქსი ბავშვობიდან ვუნდერკინდი იყო, სინამდვილეში კი გიმნაზიაში სწავლისას არაფრით გამოირჩეოდა, მეტიც, ერთ კლასში მეორე წელსაც კი დარჩენილა. ერთადერთი საგანი, რომელსაც შედარებით კარგად სწავლობდა, სალვთო სჯული ყოფილა (ეს მით უფრო გასაკვირია, რადგან სწორედ ეკლესია-მონასტრებსა და საეკლესიო პირებს ებრძოდა განსაკუთრებული სისასტიკით).

მამა ადრე გარდაეცვალა და დედას გაუჭირდა რვა ბავშვის აღზრდა. ფელიქსმა სწავლაზე ადრევე აიყარა გული, შავ სამყაროს დაუახლოვდა და ერთ მშვენიერ დღეს ხულიგნობისთვის (გერმანულის მასწავლებელს ხელი გაარტყა) გიმნაზიიდან გარიცხეს. ამ დროიდან ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში — თავდაპირველად ებრაელი ახალგაზრდობის არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტივისტი იყო, ხოლო 1894 წელს ლიტვის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წევრი გახდა. დედის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი მემკვიდრეობა ფელიქსმა ლუდხანებსა და საროსკიპოებში გაანიავა.

მალე ძერჟინსკი, რომელსაც აღარც სახლი ჰქონდა და აღარც ფული, თან არც მუშაობა უნდოდა, აქტიურად ჩაერთო ლიტვისა და პოლონეთის (რომლებიც მაშინ რუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის იმპერიაში შედიოდნენ) ტერიტორიაზე ექსებისა (ანუ დაყაჩაღების) და ტერაქტების ორგანიზებაში. ამ პერიოდის წყაროები ფელიქსს ახასიათებენ, როგორც დაუნდობელ მებრძოლს, რომლისთვისაც უცხო იყო სიბრალულის გრძნობა. რამდენიმეჯერ დანაშაულის ადგილზე დააკავეს, მაგრამ რუსეთის ოხრანკა რატომღაც ყოველთვის გულმოწყალებას იჩენდა — ექვსჯერ დაპატიმრებულ ძერჟინსკის მხოლოდ ადმინისტრაციული წესით გადასახლებას უსჯიდნენ.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ პირველი ჩეკისტი ოხრანკის აგენტი იყო (ასეთი ჭორი მოგვიანებით სტალინს გაუვრცელეს). უფრო სავარაუდოა, რომ რუსეთის მაშინდელი ხელისუფლება სერიოზულ მოწინააღმდეგეებად არ თვლიდა. რამდენიმეჯერ კი, როგორც თავად ძერჟინსკი იხსენებდა, სასჯელის შესამსუბუქებლად მან ქრთამი მისცა პოლიციის ჩინოვნიკებს.

დაყაჩაღებული ფულის დიდ ნაწილს ფელიქსი თავად ხარჯავდა — XX საუკუნის დამდეგს მან ევროპის ყველა კურორტი მოიარა. ძვირად ღირებული სასტუმროები, კაზინოები, მოდური სამოსი და სხვა მრავალი ამქვეყნიური სიამოვნება ძერჟინსკის ახალგაზრდობიდანვე უყვარდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციას ფელიქსი „ბუტირკაში" შეხვდა, მანამდე კი სწორედ იქ აილო პირველი ხელფასი — კერვა ისწავლა და პატიმრებს ტანსაცმელს უკერავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, რევოლუციის შემდგომ, ეტყობა, გაითვალისწინეს ტერაქტების, ექსებისა და ოხრანკასთან ურთიერთობის მისი დიდი გამოცდილება და ძერჟინსკი პარტიის ცეკას შემადგენლობაში შეიყვანეს და მისთვის ყველაზე ნაცნობი სფერო — შინაგან საქმეთა კომისარიატი ჩააბარეს.

ბოლშევიკები იმ პერიოდში ინტელექტუალებად (ლენინი, ტროცკი, ბუხარინი და სხვ.) და ბოევიკებად (სტალინი, კამო, ძერჟინსკი და სხვ.) იყოფოდნენ. შემდგომმა ისტორიულმა პროცესებმა ცხადყო, რომ ბოევიკებმა ჯერ ინტელექტუალებს მოუღეს ბოლო, ხოლო შემდეგ ერთმანეთს დაერივნენ.

თუმცა, ყველაფერი ეს ოცი წლის შემდეგ მოხდება, როცა „რკინის ფელიქსი", მისდა საბედნიეროდ, უკვე გარდაცვლილი იყო.

1917 წლის 7 დეკემბერს ბოლშევიკებმა შექმნეს „კონტრრევოლუციასა და საბოტაჟთან ბრძოლის რუსეთის საგანგებო კომისია" (ვე-ჩე-კა), რომლის თავმჯდომარედაც (ყურადღება მივაქციოთ — მისივე თხოვნით!) 20 დეკემბერს ძერჟინსკი დანიშნეს.

რა ევალებოდა ფელიქსს? მდიდრების ქონების კონფისკაცია (იგივე დაყაჩაღება), სხვა პარტიებში აგენტურის შეგზავნა, „ხალხის მტრების", ანუ იდეური მოწინააღმდეგეების სიების შედგენა და სათანადო ზომების მიღება (ე. ი. ლიკვიდაცია) და ა.შ. — ანუ ყველაფერი ის, რასაც ძერჟინსკი მანამდეც აკეთებდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა რევოლუციისა და სახელმწიფოს სახელით მოქმედება შეეძლო.

ახალი რეპრესიული სტრუქტურის თანამშრომლები უმეტესად გუშინდელი ბოევიკები იყვნენ. იმ წლებში, როცა ყველაფერი ჭირდა, მათ შორის უნიფორმაც, ძერჟინსკიმ მარტივად გადაწყვიტა ეს პრობლემა და ანტანტის ჯარების მფრინავებისთვის განკუთვნილი ტყავის ქურთუკები, რომლებიც შემთხვევით ჩაუვარდათ ხელთ, ჩეკისტებს დაურიგა. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ტყავისქურთუკიანები რეპრესიების მთავარ სიმბოლოდ იქცნენ და შიშის ზარს სცემდნენ ყველას.

ვე-ჩე-კას ფუნქციებს ძერჟინსკი ამგვარად აყალიბებდა: „ჩეკას მუშაკები რევოლუციის ჯარისკაცები არიან და ისინი ჯაშუშების ძებნას ვერ დაიწყებენ. ისეთ მებრძოლ ორგანოს, როგორიც ჩეკაა, არ შეიძლება პოლიციის ფუნქციები დაეკისროს. ჩეკასთვის ყველაზე მთავარია დახვრეტის უფლება".

„რკინის ფელიქსი" თავის ქვეშევრდომებს კონკრეტულ და „ნათელ" დავალებებს აძლევდა:

„1. გამოიყენეთ ფარული თანამშრომლები;

2. ამოიღეთ მიმოქცევიდან (ანუ დახვრიტეთ — ავტ.) მონარქისტ-კადეტების, მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკების ყველაზე აქტიური ხელმძღვანელები;

3. აიყვანეთ აღრიცხვაზე და დააწესეთ თვალთვალი გენერლებსა და ოფიცრებზე. დააწესეთ მეთვალყურეობა წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობაზე, კლუბებზე, წრეებსა და სკოლებზე;

4. დახვრიტეთ ცნობილი და აშკარა კონტრრევოლუციონერები, სპეკულანტები, მძარცველები და მექრთამეები;

5. პროვინციებში აღკვეთეთ ბურჟუაზიული და ბულვარული პრესის გავრცელება.

1918 წლის 29 აგვისტოს სტუდენტმა ესერმა ლეონიდ კანეგისერმა მოკლა ცნობილი ბოლშევიკი მოსე ურიცკი, მეორე დღეს კი დაჭრეს ლენინი. ეს ორი ტერაქტი ბოლშევიკების მიერ წითელი ტერორის გამოცხადების საბაბი შეიქნა.

მოსახლეობის დაპატიმრებებმა და ადგილზევე დახვრეტამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ერთ-ერთ ასეთ კურიოზულ და ამავე დროს საშინელ ფაქტს ლენინის მდივანი ფოტიევა ასე იხსენებდა: „მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ლენინმა ძერჟინსკის მისწერა:

— რამდენი კონტრრევოლუციონერი გვყავს ამჟამად ციხეში?

— დაახლოებით 1500, — იმავე ბარათს მიაწერა პირველმა ჩეკისტმა.

ლენინმა რატომღაც ჩაიცინა, ამ ციფრთან ჯვარი დასვა და ისევ ძერჟინსკის დაუბრუნა. „რკინის ფელიქსმა" სხდომა მაშინვე დატოვა".

იმავე საღამოს უკლებლივ ყველა დახვრიტეს. მხოლოდ მეორე დღეს გაირკვა, რომ „დიდ ბელადს" ჩვევად ჰქონია, — როცა რაიმე მასალას გაეცნობოდა, ჯვარი უნდა დაესვა. ძერჟინსკიმ კი ეს 1500 კაცის ლიკვიდაციის მოთხოვნად ჩათვალა და დაუყოვნებლივ შეასრულა ბრძანება. თუმცა, როდესაც ყველაფერი გაირკვა, არც ერთს დიდად არ უნაღვლია და მხიარულად გააგრძელეს წინა დღეს დაწყებული სხდომა.

ზოგიერთი მონაცემით, მხოლოდ 1917-21 წლებში ჩეკისტებმა 300 ათასამდე კაცი დახვრიტეს. მათ შორის ბევრი უცხოელი მოქალაქე იყო.

1919 წლის მარტში ძერჟინსკი დააწინაურეს — შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნეს და ვე-ჩე-კაც მას დაუქვემდებარეს. ბოლშევიკების ბევრი ლიდერი ხვდებოდა, რომ „წითელი ტერორი" დამღუპველი იქნებოდა ქვეყნისთვის და ცდილობდა, ოდნავ მაინც შეელამაზებინა და კანონისთვის დაექვემდებარებინა „რკინის ფელიქსის" ფანატიზმი.

განსაკუთრებით მძაფრად უპირისპირდებოდნენ ძერჟინსკის საგარეო საქმეთა და იუსტიციის კომისრები — ჩიჩერინი და კრილენკო.

ჩიჩერინი მთავარ ხელის შემშლელებად ჩეკისტებს ასახელებდა. მისი თქმით: „გპუ ყოველთვის ცდილობდა დიპლომატების მოტყუებასა და ფაქტების მიჩქმალვას. უცხოელების დაპატიმრებები საერთაშორისო სკანდალს იწვევდა. მოგვიანებით ირკვეოდა, რომ უცხოელებს უკანონოდ ხვრეტდნენ (უცხოელები არ შეიძლება სასამართლოს გარეშე დახვრიტო) ჩვენ კი არაფერი ვიცოდით.

გპუ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს კლასობრივი მტერივით ექცეოდა — ცდილობდა საელჩოების, მძღოლების, შვეიცარების და ა.შ. ძალდატანებით გადაბირებას. საბჭოთა საელჩოებსა და ჩემზე მუდმივი მეთვალყურეობა ველური მეთოდებითა და ხერხებით ხორციელდებოდა".

ეს ორი უწყება საქმეს ხშირად პოლიტბიუროს სხდომებზე არჩევდა (დაპირისპირება ამჟამადაც ძალზე ხშირია).

ჩიჩერინის კრიტიკას ჩეკისტები მათთვის ჩვეული ბინძური მეთოდებით პასუხობდნენ. კერძოდ, ხმა გაუვრცელეს, რომ ის ჰომოსექსუალისტი იყო და დიპლომატიაშიც ბევრი არაფერი გაეგებოდა.

ძერჟინსკის მეორე მოწინააღმდეგე იუსტიციის სახალხო კომისარი ნიკოლაი კრილენკო იყო. წლების განმავლობაში გასაოცარი შეუპოვრობით ამხელდა ვე-ჩე-კას უკანონო ქმედებებს და ამ სისტემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დაქვემდებარებაში გადაცემას მოითხოვდა. მაგრამ ლენინი ყოველთვის ძერჟინსკის მხარეზე იყო. 1922 წლის მარტში ის დაუფარავად აღიარებდა: „კანონმა არ უნდა შეცვალოს ტერორი. ამის დაპირება თავის მოტყუება იქნება და მეტი არაფერი".

„რკინის ფელიქსიც" აგრძელებდა „შემოქმედებით" საქმიანობას – თანდათან ვე-ჩე-კამ საზოგადოების ყველა ფენაში შეაღწია და ფარული კონტროლი დააწესა. 1920 წლის დეკემბერში ვე-ჩე-კას საიდუმლო განყოფილების უფროსი სამსონოვი ძერჟინსკის მოახსენებდა:

„ამ დრომდე ვე-ჩე-კა მხოლოდ მართლმადიდებელი, როგორც ყველაზე ძლიერი და დიდი ეკლესიის გახრწნას ცდილობდა, რაც საკმარისი არ არის. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის სხვა, არანაკლები სიძლიერის რელიგიები, მაგ. ისლამი და სხვ. ჩვენ ისევე უნდა გავხრწნათ ის, როგორც მართლმადიდებელი ეკლესია".

ძერჟინსკი თავის თავში აერთიანებდა ფანატიზმსა და ბოროტებას. ხშირად თვითონ დაჰკითხავდა დაკავებულებს, რაც არაერთხელ დახვრეტით დასრულებულა. დღემდე შემორჩენილია ვე-ჩე-კას კოლეგიის სხდომის ოქმი, სადაც „პირველ ჩეკისტს" ოდნავ საყვედურობენ პირადად ჩატარებული დახვრეტების გამო. იმ პერიოდში მას „წმინდა მკვლელი" შეარქვეს. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი საკონცენტრაციო ბანაკებიც „რკინის ფელიქსის" ინიციატივით ააგეს.

ძერჟინსკი აქტიურად მონაწილეობდა ე. წ. „ქართველი უკლონისტების" საქმეში.

1922 წელს საქართველოს რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელებმა (მდივანმა, მახარაძემ, ქავთარაძემ და სხვ.) ლენინთან უჩივლეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს, სერგო ორჯონიკიძეს.

„რკინის სერგოსთან" პიროვნული კონფლიქტის მოგვარების გარდა, ისინი მოითხოვდნენ შუალედური რგოლის – სამხარეო კომიტეტის გაუქმებასა და საქართველოს შესვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. აი, ასეთი იყო მათი „პატრიოტული" მოთხოვნები. ლენინმა სტალინს და ძერჟინსკის დაავალა ამ საკითხებში სასწრაფოდ გარკვევა. მათ კი ორჯონიკიძეს დაუჭირეს მხარი და ქართველი კომუნისტების მოთხოვნა ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის გამოვლინებად ჩათვალეს.

როცა ლენინი მოხსენებას გაეცნო, სტალინს, ძერჟინსკისა და ორჯონიკიძეს სულ „ველიკორუსი შოვინისტები" ეძახა. ძერჟინსკის მოხსნა უკვე გადაწყვეტილი იყო, როდესაც ლენინს ჯანმრთელობა ძალზე შეერყა, დაკარგა მეტყველების უნარი და მას შემდეგ ვეღარც გამომჯობინდა.

ლენინისა და ტროცკის დამოკიდებულება ძერჟინსკისადმი ცალკე საუბრის თემაა. ფაქტია, რომ „დიდი ბელადი" ფელიქსს საშუალო დონის პოლიტიკოსად და ორგანიზატორად თვლიდა. პოლიტბიუროს წევრობაც არ აღირსა. ტროცკი კი დაუფარავად აცხადებდა: „ძერჟინსკის დამოუკიდებელი აზრი არ ჰქონდა... ის ყოველთვის საჭიროებდა ხელმძღვანელობას. ის არ იყო ორგანიზატორი"...

მიუხედავად ამგვარი შეფასებებისა, ძერჟინსკის ყოველთვის მაღალ და საპასუხისმგებლო პოსტებს ანდობდნენ.

1926 წელს, ძერჟინსკის გარდაცვალებისთანავე, დაიწყო მასზე ლეგენდებისა და მითების შექმნა. თითქმის ორი ათეული წელი „პირველი ჩეკისტის" – „რკინის ფელიქსის" ხელის მტევნებისა და სახის ნიღაბი კა-გე-ბეს მუზეუმში იყო გამოფენილი. გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს მოსკოვში, ლუბიანკაზე ძერჟინსკის უზარმაზარი მონუმენტი აღმართეს, რომელიც საბჭოთა სადამსჯელო სისტემის სიმბოლოდ იქცა. 1991 წლის აგვისტოში ძერჟინსკის ძეგლის დამხობით უნდა დასრულებულიყო საბჭოთა იმპერიის არსებობა, რაც იმავე წლის დეკემბერში აღსრულდა. თუმცა მხოლოდ ქაღალდზე, რადგან იმპერიის აღდგენაზე რუსეთში ბევრი ოცნებობს, გეგმებსაც ადგენენ. ჰგონიათ, „რკინის ფელიქსის" ჟამი აუცილებლად ჩამოჰკრავს, მაგრამ ის დრო აღარასოდეს დაბრუნდება. ■

# რუსეთის სპეცსამსახურების რეორგანიზაცია

## უკან კა-გე-ბე-სკენ?

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა სპეცსამსახურებსა და თავდაცვის სამინისტროში სტრუქტურულ-ადმინისტრაციული რეფორმების ახალი ეტაპის დაწყების შესახებ ჯერ კიდევ 2004 წელს განაცხადა. პრეზიდენტის განცხადებას ზოგი მინისტრი სიხარულით, ზოგიც კი დამწუხრებული ელოდა. რუსი ექსპერტების აზრით, ცვლილებები კვლავ სპეცსამსახურებისა და თავდაცვის სამინისტროს გამსხვილებისა და მათი ფუნქციების უფრო მეტი ცენტრალიზაციისაკენ იქნებოდა მიმართული. მანამდე, რამდენიმე თვით ადრე, პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილებით, ფე-ეს-ბეს შეუერთდა რუსეთის სასაზღვრო უწყება (რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი პრონიჩევი – იმავდროულად ფე-ეს-ბეს დირექტორის, პატრუშევის მოადგილე და ბევრი ყოფილი ქართველი მაღალჩინოსანი ჩეკისტის საეჭვოდ „კარგი მეგობარი"). გარდა ამისა, რუსეთის მეორე სპეცსამსახურიდან – სამთავრობო კავშირის ფედერალური სააგენტოდან მას გადაეცა ელექტრონული დაზვერვისა და სპეცკავშირის რამდენიმე მნიშვნელოვანი დანაყოფი. ამ სტრუქტურულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გაზარდა გენერალ პატრუშევის გავლენა პუტინის „კარზე". ამიტომ ძალთა დასაბალანსებლად პუტინმა დააკმაყოფილა რუსეთის თავდაცვის ძალზე პატივმოყვარე მინისტრის, სერგეი ივანოვის ამბიციაც და მის უწყებას რკინიგზის ჯარები (ასეთიც არსებობდა ჯერ საბჭოთა კავშირში და შემდეგ რუსეთში) და სამხედრო ობიექტების საამშენებლო გიგანტი „სპეცმშენი" გადასცა.



ამჟამად რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე ყველაზე დიდ ზეგავლენას სერგეი ივანოვი და ნიკოლაი პატრუშევი ახდენენ. მათ შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობების შესახებ რუსეთის მასმედიაში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ორივე გენერალი პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატთა სიაში მოიაზრება. ჩრდილოელი მეზობელი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას სამ შრედ ყოფს – სამხედრო, ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. სავარაუდოდ, თითოეულ მიმართულებას თითო „სუპერსამინისტროს" ჩააბარებს პრეზიდენტი. რუსეთის 2006 წლის ბიუჯეტშიც ხარჯები ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე იქნება განსაზღვრული.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ემ-ჩე-ესის (საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო) ხარჯზე კიდევ უფრო გაიზრდება და სამხედრო უსაფრთხოებაზე იქნება პასუხისმგებელი. საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა მიხედოს, რისთვისაც მას, სავარაუდოდ, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს დანარჩენი დანაყოფები გადაეცემა. ალბათ, ამის შემდეგ პუტინი საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს გააუქმებს. ეს კი რუსეთის მთავრობის ყველაზე „სტაჟიანი" და ბოლო დროს პოლიტიკურად საკმაოდ მომძლავრებული მინისტრის, სერგეი შოიგუს რუსეთის პოლიტიკური მწვერვალიდან დაცურების დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში თითქოს ფე-ეს-ბეს ვერავინ უნდა შეეცილოს, მაგრამ მოსალოდნელია „მცირე" პრობლემების წარმოშობა. საქმე ის არის, რომ დღევანდელი ფე-ეს-ბე ყოფილ კა-გე-ბეს ცოტა ჩამორჩება, ეს „ცოტა" კი ორი ძალზე ძლიერი უწყება – რუსეთის საგარეო დაზვერვისა (ეს-ვე-ერი) და დაცვის ფედერალური სამსახურები არიან.

რუსეთის პრეზიდენტს, რომელიც არც მალავს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და კა-გე-ბეს დიდი თაყვანისმცემელია, „სრულ ბედნიერებას" ამ სამი სამსახურის გაერთიანება და ერთი მონსტრი სპეცსამსახურის შექმნა აკლებს. აქ კი ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსია.

ფე-ეს-ბესთან ეს-ვე-ერის შეერთება რთული არ არის, ძნელი დაცვის ფედერალური სამსახურის გაუქმება და მისი ფუნქციების ფე-ეს-ბესთვის გადაცემა იქნება.

ყველა ქვეყანაში სახელმწიფო დაცვის სამსახური არა მარტო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობების პირების დაცვას უზრუნველყოფს, არამედ მათი და მათი ოჯახის წევრების შესახებ ოპერატიული ინფორმაციისა და კომპრომატების (თვალთვალის, ფარული მოსმენებისა და გადაღებების საშუალებით) მიღების მთავარი წყაროც არის. არც ის არის დასავიწყებელი, რომ „დაცვა" ის უკანასკნელი ზღურბლია, საიდანაც ხელისუფლების უმაღლეს პირებზე უმოკლესი გზა გადის.

იმედი გვაქვს, საქართველოს შესაბამისი უწყებები (უშიშროების საბჭო, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები) და პარლამენტის კომიტეტები ყურადღებით ადევნებენ თვალს მეზობელი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურებში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებს და წინმსწრებ ანალიტიკურ ცნობებს (ანალიზსა და პროგნოზს) ამზადებენ ქვეყნის პრეზიდენტისთვის.

**რუბრიკა მოამზადა ბესიკ ალადაშვილმა**

# ერაყში გაგზავნილი მშვიდობისმყოფელის აღსარება



*ქვემოთ მოყვანილი მასალა ინტერნეტსაიტ „Братства"-ზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი უკრაინელი სამხედრო მომსამსახურის წერილზე დაყრდნობით არის მომზადებული და ერაყში ზოგიერთ უკრაინელ ოფიცერთა „გმირობის" შესახებ მოგვითხრობს. მშვიდობისმყოფელი ყოველივეს პირად შეურაცხყოფად აღიქვამს და სურს საკუთარი ქვეყნის შეიარაღებული ჯარების უკეთეს დროს მოესწროს... ვფიქრობთ, ჩვენი სამხედრო უწყების მესვეურებისთვისაც არ უნდა იყოს უინტერესო მეგობარი ქვეყნის შეიარაღებული ძალების პრობლემები. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე, ალბათ, დროა სხვებისასაც გადავხედოთ...*

„ერაყში მეხუთე ბრიგადის ნაქონი იარაღი დაგვირიგეს. ახალი, გამოუცდელი იარაღის მიღება მის შესწავლასა და შეჩვევა-მორგებას გულისხმობს, რაზეც ნაწილის მეთაურმა უნდა იზრუნოს. თუმცა ასეთ პირველხარისხოვან და აუცილებელ პროცედურას ყურადღება არ ექცეოდა. გადიოდა დღეები და ჩვენ დავალებებზე აუთვისებელი იარაღით გვაგზავნიდნენ (მიზანიც კი არ გაგვასწორებინეს). ჩვენი ნაწილის გარშემო ყოველ წუთს ისმოდა სროლის ხმა. ყოველდღე გვიკითხავდნენ დაზვერვის ინფორმაციებს პარტიზანთა მზარდი გააქტიურების, კოალიციურ ძალებზე თავდასხმებისა და მშვიდობისმყოფელთა გაზრდილი დანაკარგების შესახებ. ჩვენი ბატალიონის ხელმძღვანელობა კი ისე იქცეოდა, თითქოს კურორტზე დასასვენებლად ვიყავით ჩასული. სნაიპერებსაც კი არ მისცეს საშუალება, შაშხანები გაეთავისებინათ. მოგვიანებით, ამის მიზეზს მივხვდი – ჩვენი ბატალიონის მეთაურს ეშინოდა და არ უყვარდა სროლა, არც ჯარისკაცებს ენდობოდა. ერაყში ჩასვლის ერთი თვის თავზე, როგორც იქნა, მოხერხდა სავარჯიშო სროლების მოწყობა. თავი მოვუყარეთ ყველაფერს, რაც აუცილებელი იყო, დაწყებული ახალი სამიზნეებით და დამთავრებული სამიზნის მასწორებლებით. მაგრამ სავარჯიშო სროლები ცირკად გადაიქცა: მეთაურმა გადაწყვიტა, თავიდან აეცილებინა მისთვის არასასურველი პროცედურა – დაგვირიგა ათ-ათი(!) ტყვია და ახალი სამიზნეების დაკიდების უფლება არ მოგვცა. ჩემი სამიზნის შუაგულში რამდენიმე აღუნიშნავი ნატყვიარი ვიპოვე, რომელი მათგანი იყო ჩემი ნასროლი, დღესაც არ ვიცი. სად იყო ოთხგასროლიანი სერიები, დაკვირვებული და ცალსახა დამიზნებები, რომელსაც მრავალჯერადი ერთეული და ავტომატური გასროლები და იარაღის ათვისების სხვა პოსტულატები ახლავს, ნებისმიერი სერჟანტისთვის რომ არის ცნობილი. გაბრაზებულმა გადავწყვიტე, ჩემი ავტომატი პირდაპირ ნაწილის ეზოში გამომეცადა. დავდგი ბეტონის ღობესთან რკინის კასრი და მივუშვი ტყვიები. ნაწილის მორიგეს კი ვუთხარი, სროლა ქუჩიდან ისმის-მეთქი...

აპრილის დასაწყისში ჩვენს ნაწილს დივიზიის მეთაურის მოადგილე ეწვია. ცხადია, გენერალს გარს შემოვეხვიეთ, უფრო ოფიცრები ჭარბობდნენ. აქ იყო ჩვენი ბატალიონის მეთაურიც. საუბრისას გენერალმა მზერა იარაღის სამიზნეს მიაპყრო და მეთაურს ჰკითხა, იარაღი თუ აითვისეთო? ჩვენმა მეთაურმა სხარტი პასუხი გასცა, ყველაფერი წესრიგშიაო(?!). მეტი რა გინდათ, მის სხვა გმირობებზე ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ერთი ბრძოლის მაგალითს მოგიყვანთ:

აპრილში გახმაურებული ბრძოლა მოხდა – აჯანყებულმა ბოევიკებმა ქალაქ ალ-კუტას შტურმით აღება სცადეს. ქალაქის ცენტრში გააფთრებული ბრძოლა ატყდა. ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდნენ უკრაინელი მშვიდობისმყოფელები. მათ დასახმარებლად ჩვენ დავიძარით. ორი ჯავშანტრანსპორტიორით წავედით და ამ დროს დაიწყო ის, რისიც ყველას გვეშინოდა და რასაც ჩვენი „შევარდენი" მეთაურისაგან მოველოდით. მან ჯავშანტრანსპორტიორებში შეგვტენა და გვიბრძანა, ხუფები მჭიდროდ ჩაგვეკეტა. საბედნიეროდ, ამ ბრძანების შესრულება არავის უფიქრია, რადგან კარგად ვიცოდით, რას გვიზამდა ხუფებჩაკეტილ მანქანაში ჯავშანსაწინააღმდეგო ჭურვის აფეთქების ტალღა. ბაზიდან დაახლოებით სამასი მეტრი გავიარეთ, როცა ერთ-ერთი სახლის სახურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავზე სროლისთვის დამახასიათებელი გაელვებები შევნიშნე, მაშინვე რამდენიმე მსხვილმა ტყვიამ ჩვენი ჯავშანტრანსპორტიორის მახლობლად ქვიშაში სწორი ხაზი გაავლო. შემდეგ გაელვებას კი ჩვენს ჯავშანზე მოხვედრის მკვეთრი ხმა მოჰყვა. „გვესვრიან!“ — ვიყვირე მე. „საცეცხლე წერტილი — მესამე სახლი — ქუჩაზე, რომლის ეზოშიც დიდი ხე დგას“. რეფლექსმა თავისი ქნა, მაგრამ ჯობდა, ასე არ მოვქცეულიყავი. ნაცვლად იმისა, ჩვენი საომარი მანქანა სახიფათო ადგილს გასცლოდა, მეთაურის ბრძანებით შუა გზაზე გაჩერდა. მეთაურმა, რომელიც სათვალთვალო მოწყობილობას მიასკდა, ცეცხლის გახსნის ბრძანება კი არ გასცა, შეშინებულმა იკითხა: აბა, სადო. ის ოხერი სათვალთვალო მოწყობილობაც არავის გაუწმენდია და ერაყული ქვიშითა და მტვრით იყო დაბინდული. როცა ბრძოლის შემდეგ შევამოწმე, მასში არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. მეტიც, ჯავშანტრანსპორტიორი ისეთი კუთხით იდგა, რომ სათვალთვალო მოწყობილობის სასურველი მიმართულებით შებრუნება გამორიცხული იყო. ჩვენ ისევ ცეცხლის ქვეშ ვიყავით. ყველა, ვინც მანქანის მარჯვენა ნაწილში იმყოფებოდა, დარწმუნდა, რომ ნამდვილად ჩვენ გვესროდნენ. ტყვიები უკვე კუთხის სახლის სახურავიდან და მოსახვევში მდგარი ბენზინმზიდიდანაც მოფრინავდა. ასეთ სიტუაციაში მეთაურმა მოიმოქმედა ის, რის შემდეგაც ჩვენი სამუდამო ზიზღი დაიმსახურა. ნაცვლად იმისა, მოწინააღმდეგისათვის ცეცხლის გახსნის ბრძანება გაეცა, რაციას მივარდა და ბატალიონის ოპერატიული მორიგის გამოძახება დაიწყო. როგორც იქნა, დაუკავშირდა და ცეცხლის გახსნის ნებართვა სთხოვა. მადლობა ღმერთს, ამერიკელებმა გვიშველეს ორი „ჰამერიდან“, რომლებიც ჩვენგან მარჯვნივ მიწაყრილს ამოფარებული იდგნენ. ალბათ, იფიქრეს, ესენი თავს ვერაფერს მოაბამენო და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ტყვიები დაუშინეს მოწინააღმდეგეს. ჩვენმა მეთვალთვალემ, რომელმაც ამერიკელების დარტყმის მიმართულება დაინახა, იფიქრა, თუ რამე არ ვიღონეთ, ჩაგვხოცავენო და იყვირა — „ვხედავ!“ მხოლოდ ამის შემდეგ ამოღერღა ჩვენმა მეთაურმა ცეცხლის გახსნის ბრძანება. ჩვენმა მარჯვენა ფრთამ იმ მიმართულებით დასცხო, საიდანაც გვესროდნენ და ღმერთს მადლობა შევწირე, რომ უფროსობისაგან მალულად ავტომატის გათავისება მოვახერხე. სახურავიდან რაღაც შავი ჩამოვარდა, ვიღაც ნაღდად გასაღდა. ჩვენი მიმართულებით სროლა დროებით შეწყდა, მოშორებით, მოპირდაპირე მხარეს, ქალაქის განაპირას, მოწინააღმდეგის ნაღმმტყორცნელების შენაერთი იდგა. თავად მსროლელებს ჩვენ ვერ ვხედავდით, სამაგიეროდ, კარგად ჩანდა ნაღმმტყორცნიდან ავარდნილი კვამლი და დეტონაციით გამოწვეული მტვერი. თუკი მეთაურს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ თავდაცვა იქ უნდა გვეწარმოებინა, სადაც ვიდექით, ჯობდა, გზიდან გადავსულიყავით, ვიდრე ნაღმმტყორცნელები ჩვენს დაბომბვას მოიფიქრებდნენ. ეს მანევრი საშუალებას მოგვცემდა, მიწაყრილს ამოფარებოდით და მანქანის სილუეტი მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა. თანაც მიწაყრილს ამოფარებულები ქვეითების გადმოსხმასაც ადვილად მოვახერხებდით. ეტყობა, მეთაურმა აზროვნების უნარი დაკარგა, გადაწყვეტილებას არ ცვლიდა და ვიდექით ასე შუა გზაზე გამოჩრილი. მერე „უკეთესი“ რამ მოიფიქრა — მანქანის მობრუნება და უკან დახევა ბრძანა. დაახლოებით ოცდაათი მეტრი გავიარეთ და ისევ შუა გზაზე გავჩერდით. ჩვენი გაუგებარი მანევრების დამნახავმა მოწინააღმდეგემ ისევ ტყვიების სეტყვა დაგვაყარა. მეთაური კი ისევ არ იძლეოდა საპასუხო ცეცხლის გახსნის ბრძანებას. მას შემდეგ კი, როცა მეთაურს მთელი სადესანტო შემადგენლობა აუყვირდა, გზიდან გადასვლას დათანხმდა. მიწაყრილს ამოფარებულებმა თავი შედარებით უსაფრთხოდ ვიგრძენით. საშუალო სიშორე იმ სახლებამდე, საიდანაც გვესროდნენ, 350-400 მეტრი იყო, ესე იგი ყუმბარმტყორცნისათვის მისაღწევი მანძილი. მიუხედავად ამისა, მეთაური მანქანის დატოვებას არ ფიქრობდა. ეს ჩვენ საომარ შესაძლებლობებს ამცირებდა, რადგან სროლა მანქანის მხოლოდ იმ ბორტს შეეძლო, რომელიც მოწინააღმდეგის მხარეს იყო მიბრუნებული. განსაკუთრებით ცუდ დღეში აღმოჩნდა სნაიპერი, თავისი СВД-თი მას ჯავშანტრანსპორტიორში მობრუნებაც არ შეეძლო. ამასთან, ცუდად ვაკონტროლებდით გარშემო შექმნილ მდგომარეობას. ამ დროს მეორე განყოფილების ჯავშანტრანსპორტიორი ჩვენგან მარცხნივ აღმოჩნდა. მარჯვენა ფლანგს პირველი ბლოკპოსტი და ორი ამერიკული „ჰამერი“ ფარავდა. ამერიკელებს რამდენიმე მსროლელი, ორი მძიმე ტყვიამფრქვევი და წყვილი სნაიპერი ჰყავდათ. ჩამოთვლილი საცეცხლე საშუალებები საკმარისზე მეტიც იყო. კაცმა რომ თქვას, იქ აღარაფერი გვესაქმებოდა. საცეცხლე წერტილების ჩახშობის შემდეგ, საერთო ბრძანების თანახმად, გზა უნდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ მეთაურს ამის შესახებ სხვა აზრი ჰქონდა. თუ გამუდმებული სროლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბრძოლა ქალაქში გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, РПГ-ის აფეთქებების ხმა ერთიმეორის მიყოლებით ისმოდა. მოწინააღმდეგე ყუმბარებს ტიგროსის მეორე მხარიდან უშენდა ჩვენებს. მსროლელები არ ჩანდნენ (ისინი მცირე ზომის ორმოებში ისხდნენ), მაგრამ მათი პოზიციები ამოვარდნილი კვამლის ღრუბლების მეშვეობით ადვილად იშიფრებოდა. მათ მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავდა. მეთაურს შევთავაზეთ, მათთვის РПГ და ГП-25 დაგვეშინა, რადგან ავტომატითა და ტყვიამფრქვევებით მათ პოზიციებამდე მიწვდენა შეუძლებელი იყო. მეთაურმა ისე იღრიალა, შიშისაგან თმა ყალყზე დაგვიდგა: „რაო, ციხე მოგენატრათ?“ წამით სიჩუმე ჩამოვარდა, ამ სიტყვებს ასეთი ქვეტექსტი ჰქონდა: „თქვენ გამო ციხეში უნდა ჩავჯდე?“ მეთაურს არ სურდა იმის დაჯერება, რომ „სამშვიდობო თამაშები“ კარგა ხანია დამთავრდა და ნამდვილი ომი დაიწყო, რის გამოც შესაბამისი მოქმედება გვმართებდა. „პასუხს ხომ არ მაგებინებენ?“ — ამის შიში მუდმივად იკითხებოდა ჩვენი მეთაურის ქცევაში. ნათელი შეიქნა, რომ წინ არავითარ შემთხვევაში არ წავიწევდით, მიუხედავად სარდლობის ბრძანებისა, მიუხედავად პასუხისმგებლობის გრძნობისა, იმის მიუხედავადაც კი, რომ ამ დროს ქალაქში მისი მეგობრები იბრძოდნენ.

მსგავსი შემთხვევისას, მეზობელი ნაწილის მეთაურმა თავდასხმისას მანამდე არ გახსნა საპასუხო ცეცხლი, სანამ ჯავშანმანქანას ჭურვი არ მოხვდა და ჯარისკაცი სასიკვდილოდ არ დაიჭრა. არადა, როგორც აღმოჩნდა ორ ოცეულს წინააღმდეგობას სულ 6 ბოევიკი უწევდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ახლა გიამბობთ, რატომ გვაჩვენებდნენ პოლონელები უკრაინული ფორმის დანახვისას შუათითს და გვეუბნებოდნენ Fuck-ს...

20 აგვისტოს, 61-ე ბატალიონის ქვედანაყოფი მაიორ მიხაილუტის ხელმძღვანელობით ბადრაგით მიაცილებდა კოლონას. ბადრაგის შესახვედრად საკმაოდ გრძელი პოლონური ბადრაგი მოემართებოდა. სხვათა შორის, პოლონელებს მძიმე შეიარაღება არ ჰქონდათ, მხოლოდ ტყვიამფრქვევითა და ავტომატებით შეიარაღებული ჯიპებით მიაცილებდნენ კოლონას. იმ დღეს პოლონური ბადრაგის ბოლო მანქანა სტანდარტული თავდასხმის მსხვერპლი შეიქნა: ფუგასის აფეთქება და РПГ-დან ცეცხლის გახსნა ერთი იყო. მანქანა ბრძოლაში ჩაება, რითაც ბადრაგს საშუალება მისცა, ცეცხლის ზონიდან გასულიყო. საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მოწინააღმდეგე მათ 200 მეტრის მოშორებით მდგარ თიხის ნაგებობიდან უშენდა ცეცხლს. ჩვენებმა აფეთქების და სროლის ხმა გაიგეს და ბრძოლის ველიდან 300 მეტრის მოშორებით, მოსახვევში გაჩერდნენ. პოლონელების მოწინავე მანქანა მოსახვევიდან გამოვარდა, დაგვინახეს და დახმარება გვთხოვეს. მაგრამ მაიორი მიხაილუტი სულაც არ აპირებდა ბრძოლაში ჩაბმას. ერაყში შტაბის მოხელედ მუშაობდა. გარეთ ცხვირს თითქმის არ ყოფდა, ერთი სიტყვით, ბრძოლაში გამოუცდელი იყო. არადა, ასეთ ხათაბალაში გაეხვა. მთელი პირადი შემადგენლობა მზად იყო, პოლონელებს დახმარებოდა. მეთაური კი ნაძირალასავით მოიქცა. ცდილობდა, შტაბს დაკავშირებოდა. ეტყობა, ეგონა, ბრძოლაში ჩარევის უფლებას არ მოგვცემენო, მაგრამ როცა შტაბიდან დასტური მიიღო, რაციაში ჩაჰყვირა: „ფეხებზე მკიდია თქვენი დასტური. თქვენ მანდ ხართ, მე კი აქ და პასუხს მერე მე მომთხოვენ“... მოკლედ, ბრძოლა უჩვენოდ დამთავრდა. პოლონელებმა ორი ჯარისკაცი დაკარგეს, ორი კი დაიჭრა. არაბებსაც მოხვდათ ფუგასის ნამსხვრევები. როცა ჩვენებმა ბრძოლის ადგილს ჩაუარეს, პოლონელებმა ლანძღვა-გინებით გამოაცილეს...

იმ დღეს მე-6 ბრიგადის რეპუტაცია სამუდამოდ დასამარდა ერაყში. რეპუტაცია, რომელიც ჩვენმა მებრძოლებმა საკუთარი სისხლით, ოფლითა და თავდადებით მოიპოვეს, შეუბრალებლად გაითელა მეთაურთა იმ უმცირესობის მიერ, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ კარიერა და სამხრეებზე ვარსკვლავების დაკარგვა აშინებდათ.

## ცოტა რამ მაროდიორობაზე

საუკეთესოდ გვკვებავდნენ, თითო ჯარისკაცზე დღეში 20 დოლარი იხარჯებოდა. ხორცი, სალათი, ახალი ხილი, წვენები, რძე, ნაყინი და ნამცხვრები — ყველაფერი სამყოფზე მეტი გვქონდა. შეგვეძლო, რამდენიც გვსურდა, იმდენი გვეჭამა. რა თქმა უნდა, ფირმა „კოკა-კოლის“ (შეიძლება ითქვას, ომის გენერალური სპონსორი იყო) მთელი პროდუქცია ჩვენს განკარგულებაში იყო. თავიდან დაუწერელი კანონი მოქმედებდა, ერთ ჯერზე მარტო ორი ქილის აღება შეიძლებოდა, მაგრამ რადგან აუტანელი სიცხე იყო, თუნდაც 10 ქილა დაგელია, არავინ არაფერს გეტყოდა. არც იმაზე მოგედავებოდა ვინმე, თუ ქილას დასალევად გარეთ გაიტანდი. ასე იქცეოდა ყველა: პოლონელები, ამერიკელები, ქართველები, ავსტრალიელები... მაგრამ უკრაინელების თავხედობა ზღვარს გადავიდა. ჩვენებს „კოკა-კოლა“ სასადილოდან ზურგჩანთებით გაჰქონდათ და ბლოკპოსტებზე არაბებს ნაირ-ნაირ ნივთში უცვლიდნენ. ზოგიერთებმა DVD-ის დათრევაც მოახერხეს. 5 ქილა 1 დოლარს უდრიდა. DVD 70 დოლარი ღირდა. გამოითვალეთ, რამდენი რეისი უნდა შეესრულებინა ჩვენ ჯარისკაცს მის შესაძენად. ჩვენი ჩვიდმეტკაციანი ოცეულიდან მხოლოდ სამი არ კადრულობდა „კოკა-კოლით“ ვაჭრობას. როგორ არ ეცადნენ, რამდენი საჩივარი არ დაწერეს მომმარაგებლებმა, მაგრამ ხელმრუდობა ჩვენებს ვერ მოაშლევინეს. ყველა ზიზღით გვიყურებდა. ერთ-ერთ ჩვენებურ ოფიცერს რომ ველაპარაკე ამაზე, მითხრა, ჩვენებს თავი დაანებე, აგერ ერთი ქართველი საერთოდ გაისტუმრეს შინო. როგორც მერე გავიგე, ის მებრძოლი სიმთვრალის გამო დაუსჯიათ. ჩვენთან შემოწმება რომ ჩაეტარებინათ, ალბათ, ნახევარ შემადგენლობას გამოგვისტუმრებდნენ. არადა, რაც გინდათ ის თქვით, სასმელს მეც ვსვამდი, ბოლო-ბოლო ომია და სტრესი ხომ უნდა მოიხსნა რამით.

ბაზების ტერიტორიაზე პატარ-პატარა მაღაზიები იყო, რომელთა აბრებზე ეწერა დევიზი: „სადაც უნდა იყოთ (ამერიკულ არმიას გულისხმობდნენ), ჩვენ მუდამ თქვენთან ვიქნებით“. მაღაზიებში სხვადასხვა საქონელი იყიდებოდა, დაწყებული კბილის ჯაგრისით და დამთავრებული აუდიო-ვიდეოაპარატურით, ეკიპირებით. თითქმის ყოველდღე იჭერდნენ უკრაინელებს ქურდობაზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი პოლიტხელმძღვანელები აიძულეს, მაღაზიებში ემორიგევათ.

არც ოფიცრები აკლებდნენ ხელს. მახსოვს, ერთხელ მე და ამერიკელი ჯარისკაცი სწავლა-განათლებაზე ვლაპარაკობდით, მაინტერესებდა, რა ღირდა მათთან კოლეჯში სწავლა. უცებ კაპიტნის-სამხრეებიანი უცნობი ოფიცერი მოგვიახლოვდა და თავხედურად შეგვაწყვეტინა საუბარი. „ერთი უთარგმნე მაგას, რუსული ქუდი მაქვს და ტაქტიკურ ზურგჩანთაში მინდა გავუცვალო“. „ჰამერი“ არ გინდა?“ — ვკითხე გაბრაზებულმა. შენ რა, გაგიჟდი, ჯარისკაცოო, მიღრიალა გაცოფებულმა.

მე ერთადერთი მიზანი მაქვს, საზოგადოებას დავანახვო უკრაინის შეიარაღებული ძალების ნამდვილი სახე. ეგებ, იქ, „ზემოთ“ მიხვდნენ, რომ უფსკრულისკენ მივექანებით. თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყო შეიარაღებული ძალების გარდაქმნა, თუ არ შეიცვალა სამხედრო მომზადების პროგრამები, ჩვენ არმიის გარეშე, მეეზოვეებისა და მშენებლების ამარა დავრჩებით. ნაკლოვანებებთან საბრძოლველად ჯერ მათი დანახვა და აღიარებაა საჭირო და არა — მიჩქმალვა, როგორც ჩვენთანაა მიღებული (უპირველესად ეს ოფიცრებს აძლევს ხელს, კარიერულ წინსვლაში ხელი არ შეეშლებათ). ბრძოლისას სისტემად ქცეულ ხარვეზებს ტრაგიკულ შედეგამდე მივყავართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაწვევა



ჯაბა ცომაია

## პასუხები პრობლემატურ კითხვებზე

*17 ოქტომბერს, პრეზიდენტის 823-ე ბრძანების თანახმად, დაიწყო წვევამდელთა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა. არის თუ არა ცვლილებები კანონში, რას ნიშნავს ალტერნატიული სამსახური და რომელი წვევამდელი ექვემდებარება სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას ან მისგან გათავისუფლებას, ამის თაობაზე ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ჯაბა ცომაიას ვესაუბრეთ:*

**— ბატონო ჯაბა, არის თუ არა სიახლე კანონში გაწვევასთან დაკავშირებით?**

– კანონში ცვლილება პარლამენტს ჯერ არ დაუმტკიცებია. ჯერჯერობით ისიც არ არის ცნობილი, როდის განიხილავს საკანონმდებლო ორგანო ამ საკითხს, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი, მიმდინარეობს კონსულტაციები. ასე ვთქვათ, კანონი „იხარშება“. კომიტეტის სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელზე იყო ლაპარაკი. სავარაუდოდ, მოსაკრებელი 2 ათას ლარამდე უნდა გაზრდილიყო. ეს ცვლილება ჯერ არ დამტკიცებულა და წელიწადში ისევ 200 ლარით განისაზღვრება. თუმცა, თუ წვევამდელი ერთიანად გადაიხდის 2 ათას ლარს, ის მიიღებს გადავადებას 27 წლის ასაკამდე. ამ თანხის დიფერენცირებულად გადახდა არ შეიძლება. ან უნდა გადაიხადოს 200 ლარი და გაწვევა გადავადდება ერთი წლით, ან 2 ათასი ლარი და 27 წლის შესრულების შემდეგ ჩაირიცხება რეზერვში.

**— დავუშვათ, წვევამდელმა გადაიხადა 2 ათასი ლარი, მაგრამ შემდეგ კანონში ცვლილება შეიტანეს, რომლის მიხედვითაც ისევ სამხედრო ვალდებულად ჩაითვლება. რა ბედი ელის მის მიერ გადახდილ არცთუ მცირე თანხას?**

– ამაზე უნდა იმსჯელოს პარლამენტმა. კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს, როდესაც საქმე გამკაცრებას ეხება, მაგრამ თუ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდება გადავადებული წვევამდელების გაწვევა, მაშინ მათ გადახდილი თანხა სახელმწიფომ უნდა დაუბრუნოს.

**— მართალია თუ არა, რომ წვევამდელთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე სამხედრო ძალებს სჭირდება?**

– დიახ და სწორედ ამიტომ არსებობს გაწვევის გადავადების მოსაკრებელი. ვისაც არ სურს სამხედრო სამსახური, ის გადაიხდის 200 ლარს და ერთი წლით გადაუვადდება გაწვევა. ჩვენ რომ მთელ რესურსს ვითვისებდეთ, მაშინ გადავადების მოსაკრებელი არც იარსებებდა. ამ საკითხზე კომპეტენტური ორგანოები მუშაობენ. სამხედრო ძალებში ბევრი ცვლილება ხდება. მიმდინარეობს ოპტიმიზაცია-რეორგანიზაცია... ყველაფერი რომ თავის ადგილზე დადგება, ბევრი საკითხი ავტომატურად მოგვარდება. შესაძლოა, სულაც გაუქმდეს სამხედრო-სავალდებულო გაწვევა და მხოლოდ საკონტრაქტო სამსახური დაწესდეს, როგორც ეს უცხოეთის ბევრ ქვეყანაშია. ახალგაზრდები თავიანთი ნება-სურვილით წავლენ ჯარში და ანაზღაურებასაც მიიღებენ.

**— რადგან რესურსის სიჭარბეა და სახელმწიფო ჯარისკაცთა ნაკლებობას არ განიცდის, მაინც მიიღებთ გადამჭრელ ზომებს მათ წინააღმდეგ, ვინც თავს არიდებს სამხედრო-სავალდებულო სამსახურს?**

– რა თქმა უნდა. დავუშვათ, არ გინდა ჯარში სამსახური, არც 200 ლარის გადახდა გსურს და ალტერნატიულ სამსახურზეც უარს ამბობ, ამ შემთხვევაში კანონის თანახმად სისხლის სამართლის დამნაშავე ხდები...

**— რას ნიშნავს ალტერნატიული სამსახური?**

– კანონის თანახმად, ადამიანს უფლება აქვს, უარი თქვას სამხედრო-სავალდებულო სამსახურზე სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ის გამწვევ კომისიას მიმართავს განცხადებით, სადაც მიუთითებს ჯარში სამსახურზე უარის თქმის მიზეზს. განცხადებას განიხილავს ალტერნატიული არასამხედრო შრომითი სამსახურის სახელმწიფო კომისია. ამის შემდეგ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით ახალგაზრდას გაიწვევენ ალტერნატიულ სამსახურში (არასამხედრო ფორმირებებში, კომუნალურ სტრუქტურებში, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, საავადმყოფოებსა და ჰოსპიტლებში და სხვა...) და ის ასეთი ფორმით მოიხდის სამხედრო-სავალდებულო სამსახურს.

**— ვინ ექვემდებარება სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლებას?**

– პირი, ვისაც ხელს არ უწყობს ჯანმრთელობა; ვინც გახლავთ ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულის ოჯახის ერთადერთი ვაჟი; ასპირანტები; პირი, რომელმაც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაიარა სამხედრო სამსახური და ასევე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი, რომელიც სამხედრო სამსახურისგან უნდა გაათავისუფლოს პრეზიდენტმა. ასევე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

**— ვინ ექვემდებარება სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებას?**

– გადავადება უპირველესად ეხება იმ პირებს, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული აქვთ გაწვევის მომენტში; ასევე პირს, რომლის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მას გაწვევა გადაუვადდება სასამართლოს გადაწყვეტილებამდე; აკრედიტებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს (სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე); პირს, რომელმაც გადაიხადა დადგენილი თანხა 200 ან 2000 ლარი; თუ უვლის შრომისუუნარო ოჯახის წევრს, რომელსაც სხვა მარჩენალი არ ჰყავს; ასევე, გაწვევის გადავადებას ექვემდებარება პირი, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ჰყავს 2 ან 2-ზე მეტი შვილი, ხოლო ერთშვილიანი მამა მიიღებს სამწლიან გადავადებას. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ ის წარმოადგენს ცნობას მეორე შვილის შეძენის შესახებ, აღარ იქნება გაწვეული სამხედრო სამსახურში; პირი, რომელიც არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო აკადემიაში; პირი, რომელიც არის სოფლის ექიმი, სოფლის მასწავლებელი; ასევე, გაწვევის გადავადებას ექვემდებარება პირი, რომელიც არჩევნების დროს რეგისტრირებულია დეპუტატობის კანდიდატად, ვიდრე არ გამოქვეყნდება საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგები. თუ წვევამდელი გახდება დეპუტატი, ის შემდგომ თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისგან.

**— თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც წვევამდელი ექვემდებარება სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებას ან გათავისუფლებას და მაინც მოისურვა ჯარში სამსახური?**

– დიახ, ასეთი ბევრი შემთხვევა ყოფილა. ცოლშვილიანები, დედისერთები და კიდევ სხვადასხვა კატეგორიის წვევამდელები საკუთარი სურვილით მიდიან ჯარში და კანონი ამის უფლებას აძლევს. არის შემთხვევები, როცა წვევამდელები მალავენ ავადმყოფობას. შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ყველა წვევამდელს სამედიცინო გამოკვლევა უტარდება. საშემოდგომო გაწვევის პირველ დღეს 45 წვევამდელიდან 12-მა ახალგაზრდამ მიიღო გადავადება სუსტი ჯანმრთელობის გამო.

წლევანდელი საშემოდგომო გაწვევისათვის სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა განსაზღვრულია 2370 კაცით. მათ შორის შსს-სა დაქვემდებარებულ გასამხედროებულ ქვედანაყოფში 1370 კაცით, ხოლო სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში 1000 კაცით.

**— ბატონო ჯაბა, წვევამდელებს თუ აქვთ საშუალება აირჩიონ სამსახურის სახეობა?**

– კანონი ამას არ ითვალისწინებს, მაგრამ ფიზიკური და გონებრივი მონაცემებიდან გამომდინარე სამხედრო ხელმძღვანელობამ შესაძლოა, გაითვალისწინოს წვევამდელის აზრი.

მიმაჩნია, რომ ყველა მამაკაცმა უნდა გაიაროს ეს ეტაპი, რადგან ამ დროს ახალგაზრდა ეჩვევა დამოუკიდებელ ცხოვრებას, სცილდება დედის კალთას... თუმცა ჯარში მხოლოდ ჩასაცმელ-დასახურავად და საჭმელისთვის რომ არავინ მიდის, ეს ნათელია და ახალგაზრდებმა იმ სიძნელეებსაც უნდა გაუძლონ, რაც ჯარისკაცურ ცხოვრებას ახლავს თან.

*მარი ჯაფარიძე*

საქართველოს პარლა...
ეროვნული ბიბლ...

# საქართველოს გზა NATO-სკენ და დაწუნებული ბულგარული გამოცდილება

*ოქტომბრის მიწურულს ცნობილი გახდა, რომ NATO-ს მომავალი სამიტი 2008 წლამდე გადაიდო. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას სამი წლის ვადა აქვს, რათა ბოლომდე მიიყვანოს NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა და მომდევნო სამიტზე მოიპოვოს ალიანსში გაწევრების საგზური. ამ პერიოდში კი NATO-სთან საქართველოს შუამავლის როლს შეასრულებს ბულგარეთი – ქვეყანა, რომელიც 2004 წელს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა და რომლის მიერ განვლილი გზა კარგ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს საქართველოსათვის, თუმცა არის არაერთი „მაგრამ“...*

## არის თუ არა ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარება მთავარი პრიორიტეტი?

ეკონომიკური კრიზისის, პოლიტიკური რყევების, ხელისუფლებაში სახეშეცვლილი კომუნისტების ყოფნისა და მოსახლეობის თავდაპირველი ანტინატოური განწყობილების მიუხედავად, ბულგარეთმა 2004 წლის სტამბულის სამიტზე ოფიციალურად მიიღო ალიანსში გაწევრების დასტური. ორ წელიწადში კი ბულგარეთი უკვე ევროკავშირის კარს შეაღებს. სოფიაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს შესასვლელში, დამონტაჟებულია სპეციალური ტაბლო, რომელიც ევროკავშირში შესვლამდე დარჩენილ დღეებს აღნუსხავს. ეს შემთხვევითი სულაც არ არის, რადგან სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი ყოფილი თავკაცი სოლომან პასი იყვნენ მთავარი არქიტექტორი იმ პოლიტიკისა, რამაც ბულგარეთის NATO-ში გაწევრება უზრუნველყო. თუმცა დღესაც, ვისაც უნდა ჰკითხოთ ბულგარეთში, ყველა გეტყვით, რომ მათი ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა ევროპული სტანდარტებისაგან. NATO-ს წევრი ქვეყანა ვართ, მაგრამ კვლავაც განვაგრძობთ NATO-ში გაწევრებასო, მოსწრებულად შენიშნა ბულგარეთის საერთაშორისო პოლიტიკისა და სტრატეგიული კვლევების ფონდის პრეზიდენტმა ოგნიან მინჩევმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ საქართველოს ძალზე ხელსაყრელი შანსი აქვს, გახდეს NATO-ს წევრი სახელმწიფო.

„არ შევუდგები იმაზე საუბარს, ადრე იქნება ეს თუ გვიან, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით, დასავლეთისა და განსაკუთრებით, NATO-ს წევრი სახელმწიფოების ხედვით, საქართველო საკმაოდ ფასეულ ქვეყანას წარმოადგენს. თუმცა ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საქართველოს უნარზე, გარდაქმნას საკუთარი უსაფრთხოების სისტემა, შემდეგ კი დასავლეთის სურვილზე, ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას NATO-ში“,– ამბობს ოგნიან მინჩევი.

თუმცა ბულგარეთში სხვა ტიპის პოლიტიკოსებსაც შეხვდებით, რომლებიც გულწრფელად ფიქრობენ, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრება ვერ იქნება შედეგიანი, თუკი ქვეყანა გაწევრების პროცესში არ გადაწყვეტს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას და არ აღადგენს კონტროლს თვითაღიარებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებზე. თანაც, ეს აუცილებლად მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს. ამ მოსაზრებას იზიარებენ ბულგარეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟელიუ ჟელევიც, რომელიც რამდენიმე წლის წინ აქტიურად იყო ჩართული ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, და ბულგარეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ნიკოლა კოლევი.

„კრიტერიუმები ნათელია. აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას შიდაეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები. ქვეყანა უნდა იყოს სტაბილური. ეს NATO-ს უპირველესი პირობაა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ალიანსის წევრები არიან. ამ მოთხოვნის შესრულება აუცილებელია საქართველოსთვისაც, გამონაკლისი არ დაიშვება არც სხვა პირობების მხრივაც“, – აცხადებს გენერალი კოლევი.

## საქართველო-ბულგარეთის ანტიპოდი

გენერალ კოლევის ამ მოსაზრებას დამოუკიდებელი ბულგარელი ექსპერტები არ იზიარებენ, მათ შორის, ოგნიან მინჩევიც. მათი აზრით, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი საქართველოს ხელს არ შეუშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**NATO-ს გენმდივანს ბულგარეთში ტრადიციული პურითა და მარილით დახვდნენ. საინტერესოა, ჩვენებურ პურმარილს როდის იგემებს?!**

ლის, გახდეს NATO-ს წევრი, თუკი ის სხვა ვალდებულებებს შეასრულებს. თუმცა, შესაძლოა, ახლა ეს არც იყოს მთავარი. ჩვენთვის, ორიოდე ქართველი ჟურნალისტისა და დიპლომატისათვის, რომლებსაც ბულგარეთის საელჩომ პატივი დაგვდო, გავცნობოდით NATO-ში გაწევრების მათ გამოცდილებას, სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ის, რომ ყოფილი პრეზიდენტი და გენერალური შტაბის უფროსი ერთად ისხდნენ ჩვენ წინაშე. გენერალ კოლევს სწორედ ჟელიუ ჟელევმა სთხოვა ჩვენთან შეხვედრა. ოდესმე წარმოგიდგენიათ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მჯდარი პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, რომელიც სწორედ შევარდნაძის უშიშროების საბჭოს აპარატში დაფრთიანდა?

თუმცა ეს რიტორიკული შეკითხვა გვერდზე გადავდოთ და დავუბრუნდეთ ბულგარეთის NATO-ში გაწევრების გამოცდილების რამდენიმე არსებით დეტალს.

ბულგარეთის არმია NATO-ში გაწევრების შემდეგაც კი თითქმის მთლიანად საბჭოთა წარმოების საბრძოლო იარაღითა და ტექნიკით არის აღჭურვილი, მაგრამ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის თანახმად, ქვეყანამ 2010 წლისათვის უნდა დაასრულოს არმიის მოდერნიზება NATO-ს სტანდარტების მიხედვით. მთავარია არა ტექნიკის წარმომავლობა, არამედ ის, ვის ხელშია საბრძოლო პოტენციალი. ბულგარეთის ოფიცერთა კორპუსის წარმომადგენლები ჯერ კიდევ ლაპარაკობენ რუსულად და ბევრ ოფიცერს, მაგალითად, გენერალური შტაბის უფროსს, საბჭოთა სამხედრო სასწავლებელიც აქვს თავის დროზე დამთავრებული, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია,აეთვისებინათ NATO-ს სამხედრო სტანდარტები და გამოემუშავებინათ შესაბამისი უნარ-ჩვევები. სხვათა შორის, ბულგარეთში იმასაც იხსენებენ, რომ 1997 წელს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებამ NATO-ში გაწევრების მოსამზადებელი პერიოდი დაიწყო, მოსახლეობის დიდი ნაწილის, დაახლოებით 65%-ის აზრი ამ საკითხზე ნეგატიური გახლდათ. ამიტომ ბულგარეთის მთავრობამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პროდასავლურმა პრესამ მოსახლეობის აზრის შესაცვლელად ბევრი რამ გააკეთეს. საქართველოში ეს პროცესი მხოლოდ ახლა იწყება და იწყება ბულგარული გამოცდილების სრულიად საპირისპიროდ — მთავრობა სულ უფრო მეტად სცილდება პრესას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და რაც დრო გადის, ეს ბზარი სახიფათოდ იზრდება.

## რატომ არ სტუმრობს არც ერთი უმაღლესი სამხედრო დელეგაცია საქართველოს

ბულგარული გამოცდილების სრულ ანტიპოდობას საქართველო ყბადაღებული სამხედრო რეფორმის სხვა სეგმენტებშიც ამჟღავნებს.

— NATO-ში გაწევრების პროცესში ბულგარეთმა 120-ათასიანი არმია 40 ათასამდე დაიყვანა, მაგრამ ქუჩაში არავინ გაუყრია სოციალური დახმარების გარეშე. შემცირებულ ოფიცრებს ეძლეოდათ 20 წლის ხელფასის ოდენობის(!) ერთჯერადი დახმარება. ქვეყნის რამდენიმე რაიონში არსებობს რეაბილიტაციის ცენტრები სამხედრო მოსამსახურეებისათვის, სადაც არმიიდან ვადაზე ადრე დათხოვნილი სამხედროების რეაბილიტაცია ხდება.

— მკაფიოდ არის გამიჯნული სამოქალაქო თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობები და თანაც ისე, რომ ეს უკანასკნელი რეალურ და ანგარიშგასაწევ ფიგურას წარმოადგენს აღმასრულებელ ვერტიკალში.

— ბულგარეთის სამხედრო-საგანმანათლებლო სისტემა ცდილობს მიუახლოვდეს NATO-ს სტანდარტებს, მაგრამ ასევე იზიარებს ე.წ. პრუსიულ გამოცდილებას — ანუ სამხედრო განათლება მრავალსაფეხურიანია: სამხედრო სასწავლებლები (4-წლიანი სწავლება. ბაკალავრის ხარისხი სამხედრო სპეციალობაში) + სამხედრო აკადემია (ბატალიონის მეთაურების დონე, 1,5 წელი) + სტრატეგიული დონის საშტაბო კურსები გენერლებისათვის (1 წელი).

სხვათა შორის, ბულგარეთმა, რომელიც NATO-სთან დამაკავშირებელი ქვეყანაა საქართველოსათვის, შესთავაზა ჩვენს სამხედრო უწყებას 4 ქართველი ოფიცრის მომზადება საზღვაო და სახმელეთო აკადემიებში, მაგრამ საქართველოს სამხედრო უწყებამ ბულგარეთის მხარეს პასუხიც კი არ აღირსა. თუმცა რა სახსენებელია 4 ოფიცერი, როდესაც ერთი ხელის დაკვრით 300-ზე მეტ ქართველ კურსანტს აიძულეს, დაეტოვებინათ სამხედრო აკადემია, ერთადერთი სამხედრო სასწავლებელი საქართველოში და ეს ყველაფერი NATO-ს სტანდარტებზე გადასვლით აიხსნა.

ბულგარეთი,როგორც NATO-სთან დამაკავშირებელი ქვეყანა, საქართველოსათვის შემთხვევით არ შეურჩევია ალიანსის ხელმძღვანელობას. 10 წლის წინანდელი ბულგარეთი ბევრი მახასიათებლით ჰგავდა დღევანდელ საქართველოს და ალიანსის ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ სწორედ ბულგარული გამოცდილება გახდებოდა საქართველოსათვის მისაბაძი, მაგრამ ამ გამოცდილებისათვის არავის სცალია პოსტრევოლუციურ საქართველოში, რომლის სამხედრო სტრატეგები ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ძირითადად, მხოლოდ დემონტაჟით არიან დაკავებული და არც ერთი მოკავშირე ქვეყნის რჩევას არ იზიარებენ.

მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლები განაწყენებას არ იმჩნევენ, მაგრამ ასეთი განწყობილება რომ არსებობს, ფაქტია: ბოლო 10 თვის განმავლობაში, საქართველოში ალიანსის წევრი არც ერთი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი საქართველოში არ ჩამოსულა. ვითომ ეს შემთხვევითია?

*კობა ლიკლიკაძე,*
*„რადიო თავისუფლება“*
*სპეციალურად*
*„არსენალისათვის“*
*თბილისი-სოფია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ფორმით ვაჭრობა — პატიოსანი ბიზნესი თუ...

*სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენ (ჟურნალ „არსენალს“) არ შეგვიძლია, ეს სხვა სტრუქტურების საქმეა. თუმცა თავს ვალდებულად ვთვლით, საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ ფაქტზე, რაც ყურადღების ღირსად მივიჩნია.*

დღეს ხშირად ამბობენ, რომ საქართველოს თავდაცვას დაფინანსება ბევრად გაეზარდა, რომ ამ მხრივ ყველაფერი კარგად არის და რაც მთავარია — ჯარისკაცი კარგად ჩაცმული და ნაკვებია... არადა, გემახსოვრებათ, პრესითა და ტელევიზიით გაშუქებული მასალები — ჯერ კიდევ 3-4 წლის წინ ჯარისკაცები დაგლეჯილ-დაფლეთილ სამოსში იყვნენ გამოწყობილები და ლოყებჩაცვენილები მისჩერებოდნენ ობიექტივებს. ამასობაში კი თბილისში მომრავლებულ ბაზრობებზე სამხედრო სამოსი ძალზედ პოპულარული საქონელი გახდა. გასაკვირია, მაგრამ ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, თუმცა უკვე სხვა ინტერპრეტაციით. როგორც სამგორის ბაზრის ე.წ. „სამხედრო რიგში“ გვითხრეს, აქ საქონელს, ძირითადად, ჯარგამოვლილები ან ზომამოურგებლები აბარებენ, მაგრამ...

ერთ-ერთი მოვაჭრე: „ამ საქონლით ვაჭრობა შევარდნაძის დროიდან, 7-8 წლის წინ დაიწყო. თავიდან სამოქალაქო ტანსაცმელს ვყიდდი, მერე კი — განსაკუთრებული მოთხოვნილების გამო — სამხედროზე გადავედი. აქ ხშირად მოდიან სამხედროები — უფროსობაც და უმცროსობაც. ზოგი ჯარიდან მიდის და აღარ სჭირდება, ზოგს თავისი ზომა არ აქვს, ზოგსაც ფული სჭირდება (?! — რედ.)... აბარებენ თითქმის ყველაფერს — ზოგი ძალზე იაფად, ზოგიც — ძვირად... რა თქმა უნდა, არ ამხელენ რომელი ნაწილიდან არიან — ეს ხომ საიდუმლოა! მაქვს ქართული, ამერიკული, უკრაინული, იტალიური ფორმები. ერთიორი წლის წინ ფორმებს ბეჭედი ჰქონდა,



**ბაზრობის ფასები ზოგიერთ პოზიციაზე:**

ამერიკული მათარა — 15 (ლარი);
ამერიკული ქამარი — 18;
ბენდენა — 2;
ჰალსტუხი — 2;
ქუდი — 5;
ბათინკი — 40;
მაისური — 4;
საწვიმარი ლაბადა — 25;
საზამთრო ქურთუკი — 40;
ამერიკ. ქურთუკი და შარვალი — 100;
ზურგჩანთა ჟილეტით — 30;
საძილე ტომარა — 30;

სადაც ეწერა — რომელი ნაწილიდან იყო, ახლა კი აღარ აქვს და ყიდვა-გაყიდვაც უფრო თავისუფალი გახდა. მე ცალობით ვიბარებ. პარტიობით მოტანილს არ ვენდობი, რადგან საშიშია, ან მოპარულია, ან რა ვიცი... დღეში ერთ-ორ ნივთს ვყიდი და ასე ვინახავ თავს“.

ამ დროს დახლს რამდენიმე ჯარისკაცი მოუახლოვდა:

— ბათინკებს ვეძებ. ნაწილში ჩემი ზომა ცოტა იყო, არ გვეყო და იძულებული ვარ, აქ შევიძინო.

— მე ქუდი მინდა... უმრავლესობა პატარა ზომისაა და არ მომერგო.

— ეს ქურთუკი და შარვალი აქ ვიყიდე... ასე იყო საჭირო და იმიტომ.

— მე საზამთრო ქურთუკს ვყიდულობ, ვინიცობაა ნაწილში არ დაარიგონ...

როგორც ხედავთ, ბაზრობაზე ასორტიმენტიც და მყიდველიც საკმაოდაა. ვფიქრობთ, ასეთი ბაზრობა უნდა არსებობდეს, რადგან ჯარი სამოდელო სახლი არ არის და ყველა ზომისა და წონის ადამიანისთვის ფორმის მორგება ცოტა ძნელია. სპეციალურ მაღაზიებში კი ისეთი სიძვირეა ჯარისკაცი ვერაფერს შესწვდება. სწორედ ასეთ შემთხვევებში შემოგვეშველება ზემოხსენებული დახლები, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ აქ საქონელი პარტიებითაც მიაქვთ, ანუ ნაწილებიდანაც იმავე პროპორციით გადის. ეს კი უკვე კრიმინალია. ამასთან, არც ის ჯარისკაცები უნდა დავივიწყოთ, რომლებსაც „ფული დასჭირდათ“. ან ვინ იცის, საკუთარ ფორმას ყიდიან თუ მოპარულს?.. რატომ არ ესმით ამ ჯარისკაცებს, რომ ფორმაც და იარაღიც მათი პირადი კი არა, სახელმწიფო საკუთრებაა. მაისურისა და კეპის მოპარვას ჩვეული და დაუსჯელი სამხედრო ხვალ იარაღსაც გაუბედავს და... ამას წინათ სატანკო ქარხანაში მომხდარი ფაქტი სწორედ ამაზე მეტყველებს.

ასე რომ, ყურადღებაა საჭირო, ბატონებო, ყურადღება! ჩვენ კი გთავაზობთ ნუსხას, სადაც მოცემულია კაპრალთა და სერჟანტა (მიჩმანთა) შემადგენლობისათვის აღჭურვილობის ნორმა (*მითითებულია დასახელება; საზომი ერთეული; გასაცემი რაოდენობა, და ვადა (წელი).*

1). პიჯაკი და შარვალი ყოველდღ./კომპლ./2/3.
2). შარვალი ყოველდღიური/ცალი/1/2.
3). ქუდი წინაფრიანი ყოველდღ./ცალი/2/3.
4). ქურთუკი ელვა შესაკრავით და შარვალი ყოველდღიური/კომპლ./1/2.
5). ქუდი პილოტური/ცალი/1/2.
6). ქურთუკი და შარვალი კომუფლირებული/კომპლ./3/2.
7). კეპი კომუფლირებული/ცალი/3/2.
8). პერანგი გრძელი სახელოებით თეთრი/ცალი/1/2.
9). პერანგი მოკლე სახელოებით თეთრი/ცალი/1/2.
10). პერანგი ყოველდღიური/ცალი/3/1.
11). ჰალსტუხი შავი/ცალი/2/2.
12). მაისური კომუფლირებული/ცალი/3/1.
13). ხელთათმანი თეთრი/წყვილი/1/4.
14). პალტო ორბორტ. ყოველდღ./ცალი/1/3
15). ქურთუკი და შარვალი კომუფლირებული დათბუნებული/კომპლ./1/2.
16). კეპი კომუფლირებული დათბუნებული/ცალი/1/2.
17). ხელთათმანი ყავისფერი/წყვილი/1/2.
18). კაშნე თეთრი/ცალი/1/2.
19). კაშნე ხაკისფერი/ცალი/1/2.
20). ლაბადა საწვიმარი/ცალი/1/4.
21). ფეხსაცმ. დაბალყელ. შავი/წყვილი/2/1.
22). ფეხსაცმ. მაღალყელ. შავი/წყვილი/3/2.
23). ქამარი საველე/ცალი/1/2.
24). ქამარი საალუმე/ცალი/1/4.
25). ქამარი შარვლის/ცალი/1/2.
26). მაისური ბამბის/ცალი/2/1.
27). ტრუსი ბამბის/ცალი/2/1.
28). საცვალი ზამთრის/კომპლ./2/2.
29). წინდა ბამბის/წყვილი/3/1.
30). წინდა შალის თბილი/წყვილი/2/1.
31). ჩანთა სერჟანტის/ცალი/1/5.
32). ზურგჩანთა/ცალი/1/2.
33). საძილე ტომარა/ცალი/1/3.
34). ზუჩი (მუზარადი)/ცალი/1/15.
35). ზუჩის (მუზარადის) შალითა/ცალი/1/3.
36). მათარა ალუმინის/ცალი/1/5.
37). მათარის შალითა/ცალი/1/2.
38). საბრძოლო ჟილეტი/ცალი/1/15.
39). ქუდი ნაქსოვი ზუჩის (მუზარადის)/ცალი/1/2.

**P.S. ვფიქრობთ, ამ ნუსხას კიდევ დავუბრუნდებით 26, 27, 28, 29, 30-ე პუნქტებში მითითებული რაოდენობებისა და ვადების გამო.**

მოამზადა
მაკა შუკაკიძემ

# უხმაურო იარაღის წარმოშობის ისტორია

**ძალიან მაინტერესებს ცეცხლსასროლი იარაღის მაყუჩების ისტორია, როგორც მსმენია ამ მოწყობილობას ზარბაზნებზეც აყენებდნენ. გთხოვთ, მოგვითხროთ ამის შესახებ.**

***სოსო მგელაძე, სურამი***

ცეცხლსასროლი იარაღის ე. წ. უხმაურო ნიმუშები, რომლებიც უხმოდ გასროლის საშუალებას იძლევა და არ გასცემს მსროლელს, ძალზე პოპულარულია სპეციალური დანიშნულების იარალთა შორის. უხმაურო იარაღის სხვადასხვა ტიპი დაახლოებით 100 წელზე მეტია ცნობილია. მაყუჩებზე მუშაობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს, უკვამლო დენთის შემოღების კვალდაკვალ დაიწყო. პირველი მეტ-ნაკლებად მოქმედი მოწყობილობა 1898 წელს ფრანგმა პოლკოვნიკმა ჰუმბერტმა შექმნა, ხოლო პირველი პატენტი ხმის მრავალკამერიან ჩამხშობზე დანიელებმა, ჯ. ბერენსენმა და ს. სიგბერნსენმა მიიღეს. მაყუჩის პირველი კონსტრუქცია, რომელსაც კომერციული წარმატება ჰქონდა, ხაირამ სტივენსონ მაქსიმმა (განთქმული ტყვიამფრქვევის „მაქსიმის“ შემქმნელმა) და მისმა ვაჟმა ხაირამ პერსი მაქსიმმა შექმნეს. მათ 1908-10 წლებში დააპატენტეს მაყუჩების სხვადასხვა ვარიანტი, რომელთაგან საუკეთესოს (გასროლის ხმას 30-40%-ით ამცირებდა) სამრეწველო წარმოება 1910 წელს დაიწყო. მაყუჩის უფრო სრულყოფილი კონსტრუქცია 1914 წელს შექმნა ამერიკულმა საიარაღო ფირმა „სტივენსმა“ (60-70%).

სხვადასხვა სახის მაყუჩის მრავალი პროექტი პირველი მსოფლიო ომის დროს შეიქმნა. თუმცა ამ პერიოდის გამომგონებლებთა ძალისხმევა მიმართული იყო არა ცეცხლსასროლი იარაღის, არამედ საარტილერიო ქვემეხების ხმის ჩახშობისაკენ. ეს სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ არტილერიის მაშინდელ უზარმაზარ როლს და საბრძოლო პრაქტიკაში დანერგილ გასროლის ხმის მიხედვით საარტილერიო პოზიციების მიკვლევის მეთოდს. იტალიელები ცდილობდნენ მაყუჩით სამთო ქვემეხის აღჭურვას. რუსეთში, 1916 წელს, ა. ერტელიმ ქვემეხის მაყუჩის უბრალო და რაციონალური კონსტრუქცია წარმოადგინა. ბუნებრივია, ამგვარი ცდები მარცხით სრულდებოდა. რაც შეეხება უხმაურო ცეცხლსასროლ იარაღს, იგი ჯერ კიდევ არ იყო გათვალისწინებული საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკით, რაც არ გულისხმობდა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის ფარულ განადგურებას ახლო დისტანციებზე. ამით აიხსნება მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე უხმაურო იარაღის არარსებობა სხვადასხვა არმიის შეიარაღებაში. თუმცა სხვადასხვა კონსტრუქციის ხმის ჩამხშობები აღწერილია 1934 წელს გამოცემულ იარაღის ტექნიკოსების სასკოლო სახელმძღვანელოში. შედეგად, უხმაურო სროლის უპირატესობით პირველად დაინტერესდნენ არა სამხედროები და სპეც-



ხაირამ მაქსიმი

სამსახურები, არამედ მონადირეები: ტყვიის აცდენის შემთხვევაში, გასროლის ხმა არ აშინებდა მსხვერპლს და მსროლელს შეეძლო ბედი ხელმეორედ ეცადა. მე-20 საუკუნის დასაწყისში იყიდებოდა კიდეც მაყუჩები გლუვლულიანი თოფებისათვის. რუსეთის იმპერიაში, ოქტომბრის რევოლუციის წინ, „მაქსიმისა“ და „სტივენსის“ მაყუჩები თავისუფლად იყიდებოდა იარაღის მაღაზიებში, ცალი 16-30 მანეთად – იმისდა მიხედვით, რომელი კალიბრის იარაღისთვის იყო განკუთვნილი. ასევე უცებ შეაფასეს უხმაურო იარაღის ღირსებები კრიმინალურმა ელემენტებმა.





ПБ და მისი მაყუჩი



უმაყუჩო ПСС-ი

ეროვნული ბიბლიოთეკა


WELROD

ამიტომ აშშ-ში, 1934 წელს კანონით შეიზღუდა ასეთი მოწყობილობების გაყიდვა. აკრძალვა მოქმედებს დღესაც და მაყუჩიანი იარაღის ხმარება სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.

მაყუჩების „სამხედრო“ კარიერა, ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო. ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების დაწყებასთან ერთად მეომარმა მხარეებმა ფართოდ გაშალეს სადაზვერვო-სადივერსიო მოქმედებები მოწინააღმდეგის ზურგში, რასაც მოჰყვა შესაბამისი ქვედანაყოფებისა და ნაწილების გაჩენა. დივერსიული ოპერაციების ჩატარების დროს გერმანელი აგენტების მიერ მაყუჩებიანი „პარაბელუმისა“ და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის, „ფოლმერერმას“ ეფექტიანმა გამოყენებამ მოკავშირეები აიძულა, ადეკვატური ზომები მიეღოთ. უხმაურო იარაღის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი ინგლისელებმა შეიტანეს (ინგლისელებმა სპეცდანიშნულების ჯგუფების – „კომანდოსების“ ფორმირება ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყეს). 1941 წელს ველვილში, ლონდონის ჩრდილოეთით, დაარსდა ექსპერიმენტული ლაბორატორია ფეთქებადი ნივთიერებების სპეციალისტის, დ. მ. ნევიტის ხელმძღვანელობით. ლაბორატორიის (მას „ჩერჩილის სათამაშოების მაღაზია“ უწოდეს) ამოცანა დივერსიული ხასიათის იარაღისა და სპეციალური საშუალებების დამუშავება იყო. შეიქმნა უხმაურო იარაღის მრავალი ნიმუში, რომელთაგან აღსანიშნავია 9მმ კალიბრის უხმაურო პისტოლეტი „ველროდი“ (WELvin ROD – „ველვილის წკეპლა“) და 45ACP (11,43x23) კალიბრის კარაბინი „დე ლიზლ კომანდო კარბაინ“ (De Lisle Commando Carbin-ის შემქმნელი უილიამ კოდფრეი დე ლიზლი ომის დასაწყისში ბრიტანეთის ავიაციის სამინისტროში მსახურობდა). მართალია, კარაბინი ნორმანდიაში ბრძოლების დროს თითქმის არ გამოიყენებოდა, რადგან უხმაურო იარაღის საჭიროება იქ დიდად არ იყო, სამაგიეროდ, ინგლისელი „კომანდოსები“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჯუნგლებში (ბირმაში იაპონელთა ზურგში და მალაიზიაში ამბოხებულთა წინააღმდეგ) აქტიურად იყენებდნენ. კარაბინი იმდენად სრულყოფილი უხმაურო იარაღი გამოდგა, რომ ომის შემდეგ მისი მარაგი ბრიტანეთის ხელისუფლებამ გაანადგურებინა, რათა დამნაშავე ელემენტების ხელში არ მოხვედრილიყო. ომის დროს დივერსიული ოპერაციების საწარმოებლად ამერიკელები მაყუჩებიან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს იყენებდნენ, ხოლო საბჭოთა პარტიზანები, მზვერავები და დივერსანტები გერმანული ჯარების ზურგში წარმატებით იყენებდნენ მოსინის 1891/1930 წწ. ნიმუშის 7,62 მმ-იან სამხაზიანი შაშხანის სნაიპერულ ვარიანტს მასზე დაყენებული მაყუჩით. მაყუჩს ერქვა Брамит (БРАтья МИТИНЫ), გამომგონებლების – ძმები მიტინების პატივსაცემად. ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის დროს მოკლელულიანი უხმაურო იარაღის გამოყენებაში გერმანიის სპეცსამსახურები ლიდერობდნენ, ხოლო მაყუჩიანი შაშხანების მასობრივი გამოყენებით უთუოდ საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირეები გამოირჩეოდნენ.

მაყუჩების ინტენსიური განვითარება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და სხვადასხვა სპეცსამსახურისა და განსაკუთრებული დანიშნულების ძალების მსოფლიოში გავრცელების პროცესს დაემთხვა. „ცივი ომის“ პერიოდში სპეციალური იარაღის ზეობის ხანა დადგა. გახშირდა გამოუცხადებელი ომები, რომლებიც ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებებიდან ნახევრად პარტიზანულში (ინდოჩინეთი, აზიის და აფრიკის ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა) გადადიოდა. სწორედ მაშინ გაიზარდა პატარა ქვედანაყოფებისა და სნაიპერების როლი. ყოველივე ამან მოითხოვა სხვადასხვა სახის სპეციალური შეიარაღებისა და აღჭურვილობის, მათ შორის, უხმაურო იარაღის შექმნა-დამუშავება. აღსანიშნავია, რომ სპეცდანიშნულების ნაწილები ჭეშმარიტად ეფექტიანი მას შემდეგ გახდა, რაც უხმაურო იარაღით, ღამის ხედვის ხელსაწყოებითა და კავშირის პორტატიული საშუალებებით აღიჭურვა.

**ზურაბ ბოგველიშვილი**


**ხუმრობა არ გეგონოთ, უბრალოდ ერთ-ერთი გერმანული პოლიგონის მახლობლად მცხოვრებლებმა სამხედროებს უჩივლეს აუტანელი ხმაურის გამო და მათაც პოლიგონის გადატანას თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და ტანკებისთვის სპეცმაყუჩების დამზადება არჩიეს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩახმახიანი თოფების ვირტუოზი



# James Purdey & Sons



ფირმა James Purdey (1877 წლის 21 დეკემბრიდან – James Purdey&sons) იარაღს: სანადირო თოფებს, შაშხანებს, პისტოლეტებს თითქმის ყველა ევროპელი მონარქისთვის აკეთებდა. დამკვეთებს შორის იყვნენ რუსი იმპერატორები – დაწყებული ნიკოლოზ პირველით და დამთავრებული ნიკოლოზ მეორეთი; სამეგრელოს სამთავროს ტახტის მემკვიდრე, ნიკო დადიანი, იმ დროისთვის ბულგარეთის სამეფო ტახტის კანდიდატი. ფირმა James Purdey იარაღით ამარაგებდა ბრიტანეთის სამეფო კარს, ინდოელ მაჰარაჯებს, არისტოკრატებსა და მსხვილ მეწარმეებს, ბანკირებს, მეცნიერებს, პოლიტიკოსებს (მაგალითისთვის, ჩარლზ დარვინი და ნიკიტა ხრუშჩოვიც იკმარებდა). კომპანიის ზეობის ხანა 190 წლის წინ დაიწყო, როცა 30 წლის ჯეიმს პერდემ პრინცესის ქუჩაზე, ლონდონში სახელოსნო გახსნა. ფირმამ იმთავითვე მიიქცია ყურადღება გამორჩეული, უმაღლესი ხარისხის პროდუქციით და დამკვეთთა წრეც სწრაფად გაფართოვდა.

1857 წლის ოქტომბერში ჯეიმს პერდე უფროსმა, რომელიც საიარაღო საქმის დიდოსტატი იყო, ფირმის გაძღოლა თავის ვაჟს, 29 წლის ჯეიმს პერდე უმცროსს მიანდო.

პირველი ხაზინიდან დასატენი თოფი მის სახელოსნოში 1858 წლის მაისში დამზადდა. 1881 წლამდე ფირმა 150-დან 300 ერთეულამდე სხვადასხვა სისტემის იარაღს უშვებდა.

თავდაპირველად, პერდემ იმ დროისთვის პოპულარული ქვედაბერკეტიანი ჩამკეტების გაკეთება მოსინჯა. შემდეგ კი, 1870 წელს, დააპატენტა სისტემა, რომელიც ლულების კოლოფის მიმაგრებაზე იყო აგებული და ზემო კლიტით იმართებოდა. კლიტე ჩარჩოსთან იყო მიერთებული, რომელიც ლულის ქვემო კავებს კეტავდა.

დროთა განმავლობაში მონადირეთა საუკეთესო და მოხერხებული იარაღით მოწინააღმდეგის დაჯაბნის სურვილმა საფანტის მსროლელი თოფების მწარმოებელ ფირმებს შორის კონკურენცია გაამძაფრა. ლონდონელ მეიარაღეებს თავზე საყრელად ჰქონდათ შეკვეთები და საქმეში „მძიმე არტილერია“ – რეკლამა ჩაერთო, რაც კომპანია „პერდე და შვილებს“ სულ არ სჭირდებოდათ. ბოლო 40 წლის განმავლობაში პერდეს ორლულიან თოფს კონკურენტი არ ჰყოლია. მხოლოდ 1922 წელს შექმნა კომპანია „ჰოლანდ ჰოლანდმა“ თვითგადახსნადი თოფი (სელფ-ოპენინგგუნ), რომელიც ჩაკეტვის სიმსუბუქით ჯაბნიდა პერდეს ორლულიან თოფს.

მიუხედავად უჩახმახო თოფების აშკარა უპირატესობისა, ლონდონური კომპანიების კლიენტები კიდევ დიდხანს უკვეთდნენ ჩახმახიან თოფებს. ასეთი თოფების ერთ-ერთი თავგადადებული მოყვარული იყო დიდი ბრიტანეთის მეფე გეორგ მეხუთე. მას არასოდეს უხმარია უჩახმახო თოფი.

საუკეთესო მონადირე და მსროლელი გრაფი დე გრეი (1852-1923), იგივე ლორდი რიპონი, რომელსაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში 556813 ფრინველი ჰყავდა მონადირებული, ცენტრალური დარტყმის







ეროვნული ბიბლიოთეკა



ორლულიანი თოფების გაუმჯობესების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო. იგი პერდეს მხოლოდ ჩახმახიან თოფებს უკეთდა, ოღონდ ერთი პირობით – იარაღი ეჟექტორიანი უნდა ყოფილიყო.



მეფის რუსეთი პერდეს დინასტიისთვის სტაბილურ და ერთობ შემოსავლიან ბაზარს წარმოადგენდა. პირველი რუსი, რომელმაც ლონდონელ ოსტატს იარაღი შეუკვეთა, დიდი მთავარი კონსტანტინ ნიკოლაევიჩი იყო. 1847 წელს მან პერდესგან დამრტყმელფისტონიანი ტიპის საკეტიანი სანადირო თოფი შეიძინა. შენაძენი 20 წლის მეფის ძეს მოსწონებია, რადგან სამი წლის შემდეგ მამამისს, იმპერატორ ნიკოლოზ პირველს ერთბაშად ოთხი სანადირო თოფი შეუკვეთია ლონდონელი ოსტატისთვის. ფირმის მემატიანენი არაფერს ამბობენ რუსეთის იმპერიის დიდებული კლიენტების შესახებ, თუმცა ლონდონელ ოსტატთა ნახელავი სანადირო თოფები დღესაც შემორჩენილია მე-19 საუკუნის მოღვაწეთა კერძო მუზეუმებში. როგორც ზემოთ მოგახსენეთ,




ნიკო დადიანსაც ჰქონდა პერდეს ნახელავი რამდენიმე თოფი. ტრადიციულად, ფირმის ისტორიკოსები სამეფო ოჯახებსა და იმპერატორებზე ამახვილებენ ყურადღებას. ფირმის მსხვილი დამკვეთი ყოფილა რუსეთის უკანასკნელი მონარქი ნიკოლოზ მეორეც. 1897 წელს მას შეუძენია ერთი წყვილი 12-კალიბრიანი ორლულიანი სანადირო თოფი (№16006 და №16007), სამი წლის შემდეგ კი ისევ ერთი წყვილი, ამჯერად 16 კალიბრისა (№16934 და №16935).

გარდა იმისა, რომ დაკვეთები პირდაპირ ლონდონში მიდიოდა, იმპერიის მოქალაქეებს პერდეს იარაღის შეძენა ქვეყნის მთავარ ქალაქებშიც შეეძლოთ, სადაც ფირმის წარმომადგენლობები იყო გახსნილი. მაგალითად: მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, კიევში, ჰენიგსდორფში, ვარშავასა და კავკასიის დედაქალაქ ტფილისშიც.

პერდეს თოფები „რკინის ფარდის" არსებობის დროსაც ხშირად შემოდიოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოეთის ტერიტორიაზე. პარტიულ ელიტას ძვირფასი, ორიგინალური და პრესტიჟული ნივთები ძალიან უყვარდა. საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა „ცივი ომის" პერიოდში ლონდონელ ოსტატებს ოთხი ძვირად ღირებული თოფი დაუკვეთა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი კოსიგინი კი უფრო თავმდაბალი გამოდგა — მან ლონდონიდან მხოლოდ ერთი სანადირო თოფი გამოიწერა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოური სივრცე დასავლეთ ევროპიდან ალაფად შემოტანილი იარაღით აივსო. რა არ ჩამოიტანეს გამარჯვებულმა ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით კი გენერალიტეტმა. მათ შორის „პერდეს" ფირმის უამრავი თოფიც იყო. 1992-93 წლებში ამ ძვირფასი სამუზეუმო იარაღის დიდი ნაწილი საქართველოდან ისევ ევროპასა და ამერიკაში გავიდა. მაშინ ეს ძვირად ღირებული, უნიკალური თოფები გროშებად იყიდებოდა და საზღვარგარეთ გადიოდა.

ხშირად ამბობენ, თითქოს პერდე თოფებს საკუთარი ხელით აკეთებდა და აწყობდა, სინამდვილეში, უნიკალურ იარაღს ქმნიდნენ ის ოსტატები, რომელთა ბიოგრაფიებიც არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე თვით ფირმისა. ნაწარმის უმაღლესი ხარისხი არა მარტო ფირმა J. Purdey&sons მფლობელთა, არამედ იარაღის შემქმნელთა დამსახურებაცაა. მე-19 საუკუნის 20-იან წლებში მამა-შვილ პერდეებთან ერთად მუშაობდნენ საუკეთესო ოსტატები: ჩარლზ ლანკასტერი, თომას ბოსი, თომას ევანსი და ჰენრი ატკინსი.

გაუმჯობესდა თუ იმავე დონეზე დარჩა სახელგანთქმული ინგლისური კომპანიის იარაღის ხარისხი? შეგვიძლია თამამად ვუპასუხოთ, — გაუმჯობესდა.

თანამედროვე ზემტკიცე ფოლადის დეტალების თერმულ დამუშავებასთან შერწყმამ, ელექტრონული აპარატურით დეტალების ზომის უზუსტესმა კონტროლმა, მათი შემხები ზედაპირების პრეციზიულმა მორგებამ — ყოველივე ამან მნიშვნელოვნად აამაღლა „პერდეს" თოფების საიმედოობა და გამძლეობა. რაღა თქმა უნდა, ხარისხთან ერთად მისი ფასიც გაიზარდა.

დასასრულ, როცა J. Purdey&sons-თან ახალი თოფის შეკვეთას გადაწყვეტთ, გაიხსენეთ გრაფ დე გრეის მისტიკური რეკორდი და თუ კარგი მსროლელიც ბრძანდებით, ნუ გაუშვებთ შანსს, მოხსნათ მისი რეკორდი, რადგან თანამედროვე თოფით 556813 ფრინველის მონადირებას თქვენ ნახევარ საუკუნეზე ნაკლებ დროს მოანდომებთ. ხომ გახსოვთ, მოხუცი გრაფი უპირატესობას ძველი სისტემის ჩახმახიან თოფებს ანიჭებდა.

# პილოტის უკანასკნელი შანსი

# კატაპულტირება



*„არსენალის" წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ერთმა ეფექტურმა ფოტომ, რომელიც თვითმფრინავიდან კატაპულტირების მომენტს ასახავდა თბილისის ინტერნეტ-ფორუმში საინტერესო აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.*

*„არსენალი" გთავაზობთ სტატიას კატაპულტირების შესახებ და ფაქტებს ქართველი პილოტების საფრენოსნო პრაქტიკიდან.*

— უეცარი დარტყმა ვიგრძენი და დავინახე, როგორ მოაწყვიტა თვითმფრინავს მარჯვენა ფრთის ნაწილი საზენიტო რაკეტამ. მყისიერად შევამცირე მარცხენა ძრავის ბრუნები და გავზარდე მარჯვენასი, რადგან თვითმფრინავი უკვე უმართავვარდნაში იყო გადასული. ვცადე, მარჯვენა ფრთის უქონლობა მარჯვენა ძრავის გაზრდილი ბრუნვებით შემეცვალა. მთელი ძალით მივეყრდენი პილოტის სავარძელს, ფეხები შემოვიკეცე და ორი წითელი რგოლის ამოქაჩვამდე პირჯვრის გადაწერაც მოვასწარი (არ დაიჯერებთ, მაგრამ ამაზე სულ ხუთიოდ წამი დავხარჯე). მერე ძლიერი დარტყმა მახსოვს, თითქოს სავარძლიანად ზარბაზნიდან გამისროლეს. გონება არ დამიკარგავს. დავინახე, როგორ გაიშალა პარაშუტი, ქვემოთ კი, ბაგირზე, ნარინჯისფერი გასაბერი ნავი ჩამოეკიდა. თვალი მოვკარი, როგორ დაენარცხა მიწას და აფეთქდა ჩემი ალმოდებული თვითმფრინავი...

ეს სულ რაღაც ორწუთიანი ისტორია „არსენალს" ქართველმა სამხედრო პილოტმა, თამაზ ნადირაშვილმა უამბო, რომლის Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს (მოიერიშეს უკვე ჩამოყრილი ჰქონდა მოწინააღმდეგის პოზიციაზე საავიაციო ბომბები) ოჩამჩირის რაიონში, სოფელ მერკულასთან 1993 წლის 6 თებერვალს ჩამოაგდო მტრის საზენიტო რაკეტამ.

როგორც გასულ ნომრებში ვწერდით, სულ აფხაზეთის ომსა და დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის დროს 7 ერთეული Су-25 დავკარგეთ. კატაპულტირება თითქმის ყველა პილოტმა მოასწრო. 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩამოგდებული Су-25-ის პილოტი, ვიცე-პოლკოვნიკი სლავა ჯაბუა მართალია პარაშუტით დაეშვა (როგორც თვითმხილველები ამბობენ), მაგრამ ამ გამოცდილი მფრინავის (მას ავღანეთის ომი ჰქონდა გავლილი) შემდგომი ბედი გაურკვეველი დარჩა.

სამხედრო პილოტები რეზო ნარუაშვილი და თამაზ ნადირაშვილი კატაპულტირების შემდეგ (მიუხედავად დიდი მცდელობისა, გამოეღწიათ ჩვენი პოზიციებისკენ) ტყვედ აიყვანეს. მოგვიანებით ორივე რუს მზვერავზე გაცვალეს. კატაპულტირებული მფრინავი კახა თვაური სოხუმთან ზღვაში ჩაეშვა და იგი კატარღით გამოიყვანეს სანაპიროზე.

სამხედრო პილოტის, ზურა იარაჯულის გმირობის ამბავი მთელ საქართველოშია ცნობილი — ორი დღე ცდილობდა კატაპულტირებული პილოტი ეშერიდან გუმისთაზე გამოსვლას და მოწინააღმდეგის პატრულთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების იმდროინდელი სარდლის, იზანი ცერცვაძის კატაპულტი მართალია ამუშავდა და პილოტი მიწაზე გაშლილი პარაშუტით დაეშვა, მაგრამ საზენიტო რაკეტის მოიერიშეზე მოხვედრისას გამოწვეული უძლიერესი დარტყმის გამო ქართველი მფრინავი კატა-



საცდელი კატაპულტირება ორადგილიანი თვითმფრინავიდან



რუსმა პილოტმა ბოლო წამს მოასწრო ლე ბურჟეში ჩამოვარდნილი МиГ-29-დან კატაპულტირება



შვედი მფრინავი კატაპულტმა Gripen-იდან ამოტყორცნა

პულტის ავტომატურად ამოქმედებამდე დაიღუპა.

პილოტმა ალან ლაკოევმა კატაპულტირება დასავლეთ საქართველოს ცაში სამოქალაქო ომის დროს მოახდინა, მას შემდეგ, რაც მის მოიერიშეს საზენიტო რაკეტა მოხვდა.

სხვათა შორის, იმავე პერიოდში და იმავე მიდამოებში საზენიტო რაკეტით კიდევ ერთი მოიერიშე დაზიანდა, მაგრამ მისმა პილოტმა გოჩა შინგაზრდილოვმა კატაპულტირებას ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავის კოპიტნარის აეროდრომზე დასმა არჩია. ეს გმირობის ტოლფასი იყო. მის მიერ გადარჩენილი Су-25 აღადგინეს და დღესაც დაფრინავს.

ასე რომ, ჩვენმა მკითხველმა თავად განსაჯოს, რაოდენ ეფექტიანია კატაპულტირება. ტყუილად როდი უწოდებენ მას მფრინავის ბოლო შანსს.

კატაპულტირების აუცილებლობა უკვე მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის წარმოიშვა, რადგან 600-700 კმ/სთ სიჩქარით მფრენი გამანადგურებლიდან პარაშუტით გადმოხტომა ძალზე პრობლემატური გახდა, რადგან ამ სიჩქარეზე კაბინიდან ნახევრად გადმოყუდებულ პილოტზე შემხვედრი ჰაერი 450კგ ძალით მოქმედებს.

რეაქტიულ თვითმფრინავებზე გადასვლისას კი კატაპულტირება აუცილებელი გახდა. კატაპულტის პირველი მოდელები დიდი საიმედოობით არ გამოირჩეოდა. კატაპულტის ამოქმედებისას პილოტი 18-20 g გადატვირთვას იღებდა, რასაც ყველა მფრინავის სხეული ვერ უძლებდა. ამასთან, აეროდრომზე დამჯდარი და, მით უმეტეს, გაჩერებული თვითმფრინავიდან კატაპულტირება თითქმის სიკვდილს უდრიდა, რადგან ჰაერში ატყორცნილი მფრინავის პარაშუტი ვერ ასწრებდა გაშლას.

კატაპულტის მექანიზმის სრული ახსნა შორს წაგვიყვანს. ჩვენ კონკრეტულად Су-25 ტიპის მოიერიშეზე დაყენებულ К-36Л ტიპის კატაპულტს განვიხილავთ, რომელმაც ბევრ ქართველ პილოტს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

К-36Л უზრუნველყოფს პილოტის უსაფრთხო კატაპულტირებას 1000 კმ/სთ სიჩქარემდე, ასევე, აფრენა-დაფრენის დროს.

კატაპულტირებისას გამოწვეული გადატვირთვის ნაწილობრივ შემცირება იმ სპეციალურ აღჭურვილობას შეუძლია, რითაც პილოტია შემოსილი. წითელი რგოლების ამოქაჩვისას კატაპულტირებას ჯერ ავტომატიკა ახდენს პილოტის კაბინის ფანარის გასროლას, შემდეგ ამოქმედდება სპეციალური პიროპატრონები, რომლებიც სავარძელს პილოტიანად გარკვეული ტრაექტორიით (ეს დამოკიდებულია ფრენის სიჩქარესა და სიმაღლეზე) ისვრის. პილოტი ავტომატურად თავისუფლდება სავარძელზე მიბმული ღვედებისგან. იხსნება პარაშუტი, ხოლო ქვემოთ, ბაგირზე, გასაბერი ნავი ეკიდება. დაშვების შემდეგ, სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად, კატაპულტირებულ სკამში ჩადებულია ხელშეუხებელი საავარიო მარაგი НАЗ-8. მასში მოთავსებულია სასმელი წყალი, საკვები და სხვ.

შვეულმფრენებიდან კატაპულტირება არ ხდება, რადგან პილოტის თავზე მბრუნავი ხრახნი მას გადარჩენის შანსს არ უტოვებს. თუმცა მსოფლიოში ერთადერთი საბრძოლო შვეულმფრენი მაინც არსებობს, საიდანაც პილოტს შეუძლია კატაპულტირება. ეს რუსული Ка-50 „შავი ზვიგენია“ (და მისი ორადგილიანი მოდიფიკაცია Ка-52 „ალიგატორი“). კატაპულტის ამოქმედებამდე ჯერ მბრუნავი ხრახნების გასროლა ხდება პიროპატრონების აფეთქების შედეგად, შემდეგ კი ამოქმედდება К-37 ტიპის კატაპულტი. მიუხედავად ასეთი ეფექტიანი საშუალებისა, სამი Ка-50-ის კატასტროფის დროს ვერც ერთმა პილოტმა ვერ მოასწრო მისი ამოქმედება.

შვეულად აფრენა-დაფრენის თვითმფრინავებზე, რომლებიც ავიამზიდებზე ბაზირებენ, კატაპულტირება ავტომატურ რეჟიმშიც შეიძლება მოხდეს, რადგან გემბანზე დაჯდომის რთული პროცესის დროს პილოტს აღარ რჩება ის რამდენიმე წამი, რაც კატაპულტის ასამოქმედებლადაა საჭირო. საბჭოთა ავიამზიდ-კრეისერებზე („კიევი“, „ნოვოროსიისკი“, „ბაქო“) შვეულად აფრენა-დაფრენის ЯК-38 ტიპის თვითმფრინავების აფრენისას ავტომატურ კატაპულტს არაერთი პილოტის სიცოცხლე უხსნია.

კატაპულტირების შემდეგ პილოტმა აუცილებლად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება და რეაბილიტაცია, რათა კიდევ დართონ ფრენის უფლება.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეხური „კატიუშა" ქართულ მთებში

## „გრადი"+„ტატრა"=RM-70



თავდაპირველად 2004 წლის 26 მაისის სამხედრო აღლუმზე, შემდეგ კი ორფოლოს პოლიგონზე სახალხოდ ნაჩვენებმა შეიარაღების ამ ბევრისათვის უცნობმა ტიპმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტი ხელისუფალნი, რომელთაც პროფესიონალი რუსი სამხედროები მრავლად ჰყავთ, მალევე მიხვდნენ, რა ახალი „იდუმალი" იარაღი გამოჩნდა ქართული არმიის შეიარაღებაში.

„არსენალი" თავს უფლებას აძლევს, თავის მკითხველს აუხსნას შეიარაღების რა ტიპთან გვაქვს საქმე.

პირველი ჩეხური ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები RM-70-ები ფოთის პორტში ჯერ კიდევ დავით თევზაძის თავდაცვის მინისტრობის დროს შემოვიდა, ასევე ჩეხურ თვითმავალ საარტილერიო დანადგარებთან, Dana-სთან ერთად. მას შემდეგ ყველაფერი ეს ფოთის სანაპიროზე, სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო დაცვის ნაწილში იჟანგებოდა (ზღვის სიახლოვის გამო მომატებული ტენიანობისგანაც).



მოგვიანებით, კერძოდ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მათ (როგორც RM-70-ებს, ისე Dana-ებს), „თანამოძმეები" შეემატნენ („არსენალი" თავს შეიკავებს ქართულ არმიაში არსებული RM-70-ების ზუსტი რაოდენობის დასახელებისგან).

RM-70-ს ჩეხურ „გრადს" ტყუილად როდი უწოდებენ — ჩეხოსლოვაკიაში გამოშვებული ოთხღერძიანი მაღალი გამავლობის „ტატრა-813"-ზე, რომლის რვავე ბორბალი წამყვანია, დამონტაჟებულია საბჭოთა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Бм-21 Град-ის ანალოგიური გასაშვები მოწყობილობა.

გასაშვები მოწყობილობის ამ პაკეტშიც, ისევე როგორც „გრადში", 40 ცალი ლულაა, რომლებიდანაც 122მმ კალიბრიანი უმართავი რაკეტების სროლა მაქსიმალურ მანძილზე, 20-21 კმ-ზე ხდება.

თუმცა RM-70 მაინც განსხვავდება „გრადისგან" და იგი მსოფლიოში პირველ (გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში) ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემად იქცა, რომელზეც დამონტაჟდა გასაშვები მოწყობილობის გადატენვის სისტემა — ანუ, თუკი „გრადის" საბრძოლო პაკეტის დაცლის შემ-

**ჩვენი დოსიე:** ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა RM-70-ის ეკიპაჟი 6 კაცისგან შედგება. საბრძოლო მანქანის მთლიანი მასა 33,7 ტონაა („გრადი“ 20 ტონით(!) ნაკლებს იწონის). მანქანის სიგრძე 8,8 მ-ია, სიგანე 2,5 მ. მანქანა აღჭურვილია 270 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის 12-ცილინდრიანი დიზელის ძრავით. საწვავის მარაგი 600 კმ-იანი მარშის შესრულების საშუალებას იძლევა.



დეგ თითოეულ 77,5 კგ-იან და 3,25 მ სიგრძის რაკეტას ორი ჯარისკაცი ტენიდა ლულაში (წარმოიდგინეთ, 40-ვე ლულის გავსებას რა დრო დასჭირდებოდა), RM-70-ზე ეს მექანიკურად ხდება, რასაც სულ რაღაც 2 წუთი სჭირდება.

ამისთვის RM-70-ის ძარაზე (კაბინასა და გასაშვებ პაკეტს შორის) მოთავსებულია სათადარიგო 40 რაკეტა. პაკეტის დაცლისთანავე, ის 180 გრადუსით ტრიალდება და სპეციალური მოწყობილობა 40 სათადარიგო რაკეტას ლულებში მექანიკურად ათავსებს.

რა საჭირო იყო საბრძოლო მანქანის ასე გართულება? საქმე ის არის, რომ თანამედროვე ბრძოლის დროს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად სწრაფად „იმუშავებს“ და დატოვებს პოზიციას არტილერია.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებიდან განვითარდა დაზვერვის ისეთი საშუალებები, რომლებიც გამოსროლილი ჭურვისა და რაკეტის ფრენის ტრაექტორიის საშუალებით იგებდნენ არტილერისტების პოზიციებს. მოწინააღმდეგის საარტილერიო დაზვერვის რადიოლოკატორი გამოსროლილი ჭურვის ტრაექტორიას აფიქსირებდა. კომპიუტერი წამებში ახდენდა ჭურვის ფრენის მთელი ბალისტიკის გამოთვლას, ხოლო მიღებული კოორდინატები დაუყოვნებლივ გადაეცემოდა არტილერიას კონტრდარტყმის მისაყენებლად. ამიტომაც განვითარდა ბოლო ათწლეულში სწორედ თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით: „ისროლე – გაიქეცი“, რადგან მოწინააღმდეგეს 5-10 წუთის შემდეგ შეუძლია შენს პოზიციას საპასუხო საარტილერიო დარტყმა მიაყენოს. ამიტომაც თვითმავალი საარტილერიო დანადგარი წუთში 3-4 გასროლას ასწრებს, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ სათადარიგო პოზიციაზე გადადის.

ერთლულიანი საარტილერიო დანადგარებისგან განსხვავებით, „გრადს“ ის უპირატესობა აქვს, რომ 40-ვე რაკეტის გაშვებას სულ რაღაც 20 წამს ანდომებს და საკმაო დრო რჩება ახალი პოზიციის მოსაძებნად. ალბათ, ჩეხმა კონსტრუქტორებმა იფიქრეს, რომ დარჩენილ 5-6 წუთში თავისუფლად მოასწრებდნენ RM-70 პაკეტის გადატენვას, მეორე ზალპის გაშვებასა და სამშვიდობოს გასვლასაც.

ასეა თუ ისე, RM-70 მართლაც უნიკალური საბრძოლო მანქანაა. მისი სამართავი განყოფილება შეჯავშნულია, რაც ასევე განასხვავებს საბჭოთა „გრადისგან“. RM-70-ის ბაზა „ტატრა-813“ (შემდგომ მოდელებში ის „ტატრა-815“-ით შეცვალეს) გამოირჩევა მაღალი გამავლობით, რაც მნიშვნელოვანია მთიან რელიეფზე გადაადგილებისას.

RM-70-ები გასულ საუკუნეში შემორჩენილი იყო ჩეხეთის, სლოვაკეთის, საბერძნეთის, თურქეთის, პოლონეთის, ლიბიისა და ზიმბაბვეს შეიარაღებაში. 21-ე საუკუნეში ამ სიას ქართული არმიაც შეემატა.

*ირაკლი ალადაშვილი*



# RM-70



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკული ბულდოგი

## „საგამოფენო ძაღლი", რომელიც გლადიატორად იქცა

**შუა საუკუნეების ინგლისში მდაბიოებს ნაკლები დრო ჰქონდათ გართობისა და დასვენებისათვის, დიდებულებს კი შეეძლოთ საკუთარი სიამოვნებისთვის ძაღლების მოშენებისთვის მიეყოთ ხელი. დაბალი ფენა ძაღლს მხოლოდ იმიტომ ზრდიდა, რომ მისგან სარგებელი მიეღო — მწყემსებს ძაღლები ფარის გარეკვაში ეხმარებოდნენ და დარაჯობდნენ. იქ, სადაც მესაქონლეობას მისდევდნენ, აუცილებლად ჰყავდათ ძაღლებიც. მათ ბულდოგებს უწოდებდნენ. ასეთი ძაღლები ერთი ტიპისანი იყვნენ და როგორც ითვლებოდა, ისინი მასტიფებისაგან წარმოიშვნენ. ბულდოგების წონა 100 გირვანქას აღწევდა.**



თავდაპირველად, ძაღლებს ხარებთან აჩხუბებდნენ, რაც იმ დროის ინგლისში ძალზე პოპულარულ სანახაობად ითვლებოდა და დიდი ფსონებიც იდებოდა. ძალზე ფასობდა ბულდოგი, განსაკუთრებით კი გამარჯვებული ბულდოგის ლეკვები.





ბულდოგის ფასი მისი შესაძლებლობებით განისაზღვრებოდა — ძაღლს უნდა შესძლებოდა ბრძოლა ხარებთან და ამტანი უნდა ყოფილიყო. ამისათვის ბულდოგს უმკაცრესად წვრთნიდნენ. ხშირად სანახაობა ძაღლის სიკვდილითაც მთავრდებოდა, მაგრამ ორგანიზატორები ხელს ბულდოგის წამოზრდილი ლეკვების გაყიდვით ითბობდნენ. ცხოველის სიცოცხლეს ფასი არ ჰქონდა — დაჭრილი ან ავადმყოფი ძაღლი ან თავისით გამოჯანმრთელდებოდა, ან კვდებოდა. ასე გრძელდებოდა 1204 წლამდე.

გავიდა რამდენიმე ასწლეული და იმ ბულდოგების შთამომავლობა უკვე რკინისებური კონსტიტუციით გამოირჩეოდა. ასე მოაღწიეს ბულდოგებმა 1800 წლამდე. ამჯერად მსოფლიოო უფრო ყურადღებიანი გახდა ოთხფეხა მეგობრების მიმართ. 1835 წელს ძაღლების ჩხუბი და ხარებზე თავდასხმა კანონით აიკრძალა და, ფაქტობრივად, ბულდოგები მიივიწყეს. სამაგიეროდ, პოპულარობა მოიპოვეს სხვადასხვა ჯიშის ძაღლებმა.

ამავდროულად, დაიწყო ბულდოგების გარეგნული გაკეთილშობილება — მშრომელი, ამტანი და მოჩხუბარი ძაღლისთვის „საგამოფენო" იერი რომ მიეცათ, მას მოპსის სისხლს უსხამდნენ. ეს 1835-დან



ამერიკული ბულდოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



1865 წლამდე გაგრძელდა. საბოლოოდ კი გამოიყვანეს მართლაც საგამოფენო ბულდოგები. ამან მოიტანა ძაღლის ჯიშების ერთმანეთისაგან გაცალკევების საჭიროება. შეიქმნა კლუბები, სადაც მიმდინარეობდა ძაღლების რეგისტრაცია. გამოფენაზე წარსადგენად სავალდებულო გახდა ჯიშის რეგისტრირება, მას უნდა ჰქონოდა სახელიც. რადგან საგამოფენო ბულდოგი „მუშა ბულდოგის“ შთამომავალი იყო, იგი ცალკე ჯიშად არ გამოუყვიათ და ამიტომ სახელწოდება „ბულდოგი“ მისთვის იდეალური იყო. საგამოფენო ბულდოგმა თანყვანისმცემელთა დიდი არმია შეიძინა და მალე ინგლისის ეროვნული სიმბოლოც გახდა. „გაკეთილშობილებული“ ბულდოგები არასოდეს გამოუყენებიათ სამუშაოდ, მათ არც სისხლიან ორთაბრძოლებში შეეძლოთ მოწინააღმდეგესთან შებმა. მართალია, ამ ძაღლის მთავარი დანიშნულება ინგლისში დაივიწყეს, სამაგიეროდ, ინგლისურ კოლონიებში კარგად ახსოვდათ. 1700 წლის დამდეგს ინგლისის ეკონომიკა გაპარტახებული იყო. ციხეები სავსე იყო პატიმრებით. მათ იმ პირობით ათავისუფლებდნენ, თუკი ახალ კოლონიაში, ჯორჯიაში დასახლდებოდნენ. მალე ინგლისის ახალი კოლონიები შეავსო ენერგიულმა მუშათა კლასმა, რომლებიც სიხარულით მიდიოდნენ ამერიკაში ახალი ცხოვრების დასაწყებად. ბევრმა გადასახლებისას თან წაიყვანა ძაღლები, რომელთა უმეტესობა ბულდოგი იყო. ასე რომ, ამერიკაში ბულდოგები პირველად მოახალშენეებთან ერთად გამოჩნდნენ.

დროთა განმავლობაში ამერიკაშიც დაიწყეს ძაღლების გამოფენების გამართვა, შეიქმნა ამერიკის ქენელ-კლუბი. აქ სხვადასხვა ჯიშის ძაღლები იყვნენ გაწევრებული. რადგან ინგლისური ძაღლის ჯიში რეგისტრირებული იყო სახელწოდებით „ბულდოგი“, მისი სამხრეთული მოძმისთვის ახალი სახელწოდების შერჩევა გახდა საჭირო. თუმცა, სამხრეთული ბულდოგით დიდად არავინ დაინტერესებულა და ამიტომ ამ ჯიშის ძაღლს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებდნენ: საგამოფენო ბულდოგი, ძველი ბულდოგი, მუშა ბულდოგი, პიტ-ბულდოგი, მოჩხუბარი ბულდოგი.

„ამერიკული ბულდოგი“ ამ ძაღლს მოგვიანებით უწოდეს. მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ამერიკული ბულდოგი საზოგადოებამ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა. ის პატრონის საიმედო მცველი და კომპანიონი იყო. მას შემდეგ ბულდოგისადმი ინტერესი გაიზარდა. ამერიკის არსებობის ისტორიის მანძილზე ამ ძაღლებმა მოახალშენეებთან ერთად ბევრი ცხოვრებისეული სირთულე გადაიტანეს. ისინი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ ბრძოლიდან. მებრძოლი ბულდოგი უნიკალური იმითაც არის, რომ ის ერთადერთი ჯიშის ძაღლია, რომელიც ძაღლების ხროვასაც კი ებრძვის მარტოდმარტო. იმ დროს ესხმის თავს ხროვის მეთაურს, როცა სხვა ძაღლები ყოველი მხრიდან უტევენ.

საუკეთესო თვისებების წყალობით ამერიკული ბულდოგი ამერიკული საზღვაო ფლოტის თილისმაც გახდა. ამტანი, უშიშარი და დამჯერია. მოქნილად მოძრაობს და კარგად ცურავს. დაბალბალნიანია, რისი წყალობითაც ტემპერატურის ცვალებადობაზე თითქმის არ რეაგირებს. საზოგადოდ, „სიტყვაძუნწია“, ამჯობინებს მოწინააღმდეგეს ჩუმად, უხმაუროდ ებრძოლოს. საოცრად ერთგულია პატრონის – მზად არის სიცოცხლე გასწიროს „თავისი“ ოჯახის წევრის დაცვისას.

ამერიკული ბულდოგის პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდება მთელ მსოფლიოში. თუ გინდათ, გყავდეთ ძლიერი და საიმედო მეგობარი ძაღლი, მასზე უკეთესს ვერსად იპოვით.

დღეს ბულდოგის გამოყენების სფერო მრავალგვარია: ამერიკელი ფერმერები მას მსხვილფეხა საქონლისა და ტახის საძებნელად იყენებენ, ასევე, მძიმე ტვირთის გადასაზიდავადაც, მონადირეები – ტახზე, ირემსა და დათვზე სანადიროდ. ნებისმიერი ობიექტისა თუ ტერიტორიის შეუდარებელი მცველია. ალბათ, ამიტომაც ლუიზიანის შტატის პოლიციამ



ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენიმე ამერიკული ბულდოგი მიიღო სამსახურში.

ამერიკული ბულდოგი ათლეტური, ტემპერამენტიანი ძაღლია. ხვადის სიმაღლე 56-71 სმ-ს, ძუსი კი 51-66 სმ-ს აღწევს. ხვადი დაახლოებით 31,5-54 კგ-ს, ძუ კი 27-45 კგ-ს იწონის. კარგად აქვს განვითარებული მუსკულატურა. არის თეთრი ფერის ან თეთრი სხვადასხვა ფერის ლაქებით. გვხვდება ვეფხვისებური შეფერილობისა და შავიც. დაბალბალნიანია, აქვს დიდი და ფართო თავი, თითქმის კვადრატული, სახე საკმაოდ ფართო, ჩაღრმავებული და მოკლე. თვალები გვხვდება მრგვალი ან ნუშისებრი, საშუალო ზომის, ფართო. თვალის ფერი შავი ან მუქი ყავისფერი. აქვს სქელი ტუჩები და კარგად განვითარებული ყბები, საშუალო ზომის ჩამოკიდებული ყურები. კისერი საშუალო სიგრძის, დაკუნთული, მკერდი ღრმა და ფართო. კუდი აქვს სქელი და ქვემოთ დაშვებული. თათები საშუალო ზომის, ერთმანეთთან მიჯრილი თითებით. ამერიკული ბულდოგი მოძრაობს სწრაფად, მოქნილად. ერთი სიტყვით, ძლიერი, ენერგიული ძაღლია. ამერიკული ბულდოგის აშშ-ის ნაციონალური ასოციაციის პრეზიდენტის, სტივ ლეკლეკის თქმით, „ბულდოგი ყველაზე ამტანი, ყველაზე ძლიერი, ჯანმრთელი და ერთგული ძაღლია“.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ძალზე პოპულარულია, ამერიკულმა ბულდოგმა ქართველებს ვერაფრით მოაწონა თავი. რატომ ვერ მოიკიდა ფეხი საქართველოში, რითი სჯობია ხვადს ძუ და რაში გამოადგება საპატრულო სამსახურს ამერიკული ბულდოგი, კინოლოგ პიკასო ჯავრიშვილთან ინტერვიუდან შეიტყობთ:

**— ბატონო პიკასო, როდის გამოჩნდა ამერიკული ბულდოგი საქართველოში?**

– ამერიკული ბულდოგი, ასე ვთქვათ, ახალი ხილია ჩვენს ქვეყანაში. სულ რაღაც 5-6 წელია, რაც საქართველოში შემოიყვანეს და ამიტომ მასზე ინფორმაციაც მწირია.

**— რატომ ვერ გახდა ამერიკული ბულდოგი საქართველოში პოპულარული?**

– იმიტომ, რომ პოპულარიზაცია არავინ გაუწია. მოკლედ, ქართველებს ვერ მოაწონეს თავი. თითზე ჩამოსათვლელია მათი რაოდენობა, ვისაც ეს ძაღლები ჰყავთ. უმეტესად საჩხუბრად ყიდულობენ, არადა მისი დანიშნულება სულ სხვაა – ოჯახის საუკეთესო მცველია. სხვათა შორის, კარგი მონადირეებიც არიან, ოღონდ უნდა დაგეშო. ამერიკაში ამ ძაღლს პოლიციაში ამუშავებენ, ჩვენთან კი მეტად დაჩაგრულია – გამოფენაზეც არ გამოჰყავთ.

**— თუ არის ამ ძაღლების სტანდარტი დადგენილი?**

– არა, ზუსტი წარმომავლობაც კი არ იციან. ისე, ამბობენ, რომ მასტიფისგან და სხვადასხვა ჯიშის ძაღლის შეჯვარების შედეგად გამოიყვანეს. ის კი არა, ამ ძაღლის თვისებებიც არ არის რიგიანად შესწავლილი.

**— საწვრთნელად როგორია?**

– ნებისმიერ ძაღლს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. არც ერთი არ არის ადვილად დასამორჩილებელი. ამერიკული ბულდოგის მოთვინიერება ცოტა ძნელი კია, მაგრამ თუ გაწვრთნი, ადამიანს არ ერჩის და ბავშვებთანაც უწყინარია.

**— რამდენად აგრესიული ძაღლია?**

– აგრესია მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ პატრონზეც არის დამოკიდებული რამდენად აგრესიულს გაზრდის და რამდენად მისცემს იმის საშუალებას, რომ აგრესია გამოამჟღავნოს. საქართველოში თითქმის ყველა ამერიკული ბულდოგი აგრესიულია, რადგან მხოლოდ ჩხუბში იყენებენ.

**— ამ ძაღლებს პოლიციაში ამუშავებენ, ე. ი. კარგი ყნოსვა აქვთ.**

– სხვათა შორის, არა. მოკლე ცხვირის გამო სუნთქვა უჭირთ, განსაკუთრებით, სიცხეში. სამაგიეროდ, ყბები აქვთ კარგად განვითარებული. თუ მსხვერპლს ჩაავლო, მისი საქმე გათავებულია. ამიტომაც იყენებენ ამერიკელები პოლიციაში.

**— რამდენ ხანს ცოცხლობენ?**

– დაახლოებით 10 წელიწადს. 6 წელიწადს თავდაუზოგავად შეუძლიათ მუშაობა. საერთოდ, რაც უფრო ნერვიულია ძაღლი, მით ნაკლებს ძლებს. საქართველოში ამ ძაღლის სიბერეს არ მოვსწრებივართ და ზუსტად ვერ გეტყვით ჩვენს პირობებში რამდენ ხანს გაძლებს.

**— როგორ უნდა აარჩიოს ლეკვი არაპროფესიონალმა და საერთოდ, ძუ სჯობია თუ ხვადი?**

– სასურველია, ლეკვის ასარჩევად პროფესიონალი კინოლოგი წაიყვანონ. ისე, ძუ ყოველთვის სჯობია ხვადს. ძუ უფრო ლმობიერია, დამჯერი და იოლადაც იწვრთნება. ხვადის მოთვინიერება კი შედარებით ძნელია.

**— რა უნდა გაკეთდეს, რომ ამერიკული ბულდოგები საქართველოშიც მომრავლდნენ?**

– უპირველესად ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მოსახლეობას, სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ამ ჯიშის საქართველოში გამრავლებას და ხშირად გაიყვანონ გამოფენებზე. სხვათა შორის, მე მაქვს ძაღლების სასტუმრო, სადაც სხვადასხვა ჯიშის ძაღლები მყავს. მინდა, ჩვენს მთავრობას შევთავაზო. კარგი იქნება, თუ ამერიკულ ბულდოგებს საქართველოში ჩამოიყვანენ, გამოყოფენ თანხებს მათ გასაწვრთნელად, მერე კი მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაჩუქებდით. საქართველოს პოლიციას, საპატრულო სამსახურს ამერიკული ბულდოგები ძალიან გამოადგებათ.

სალომე გოგოხია
მაკა ქოზალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული საჭურვლის ქართველი ოსტატი და უცხოეთში შექმნილი ქართული საჭურველი





**ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველოდან ბევრი ნიჭიერი ადამიანი გადაიხვეწა. ბატონი გოჩა ლაღიძეც მათ შორისაა, ვინც სამშობლოში საკუთარ ნიჭს გასაქანი ვერ მისცა და 1994 წელს ოჯახთან ერთად ნიდერლანდს მიაშურა. ახლა კი, 40 წლის ასაკში ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული მესაჭურვლეა, რომლის ნამუშევრებიც კერძო კოლექციებსა და სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებს ამშვენებს. ევროპული საჭურვლის შეკვეთების მიუხედავად, მაინც იცლის ქართული, ხევსურული ნიმუშების შესაქმნელად, სწორედ ეს საქმე ანიჭებს უდიდეს სიამოვნებას..**

*„არსენალი“ ჰოლანდიაში დაუკავშირდა ბატონ გოჩას და ვფიქრობთ, საინტერესო ინტერვიუ შედგა, რომელსაც მისივე ნამუშევრების ფოტოებთან ერთად გთავაზობთ:*

— **ბატონო გოჩა, როგორ მოხვდით ჰოლანდიაში? გაჭირვებას გაექეცით თუ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის სურვილმა გადაგადგმევინათ ეს ნაბიჯი?**

— თერთმეტი წელია ოჯახთან ერთად ნიდერლანდის გაერთიანებულ სამეფოში ვცხოვრობ. 1991-94 წლებში საქართველოში ისეთი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა იყო, რომ შემოქმედებითი მუშაობისათვის გასაქანი აღარ მქონდა. ამასთან, გული გამიტყდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვის გამო, ეს ჩემი იდეალების მსხვრევა იყო. ვიცოდი, რომ დასავლეთ ევროპაში შევძლებდი თვითრეალიზებას, თანაც ბავშვობიდანვე მინდოდა ევროპელი რაინდის აღჭურვილობის შესწავლა და გაკეთება.

— **რით განსხვავდება ერთმანეთისგან ქართულ და ევროპულ საჭურველზე მუშაობა? რომელს უფრო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეტი შრომა სჭირდება და მეტი ფასი აქვს ევროპელთათვის?**

— რა თქმა უნდა, განსხვავება არის. ქართულ საჭურველზე მუშაობა საქართველოს ისტორიით დაინტერესებამ და ეროვნულმა სიამაყემ განაპირობა. საქართველოში, ძირითადად, ჯაჭვის პერანგი იყო გავრცელებული. უბრალო ჯაჭვის პერანგის მოქსოვა ყველას შეუძლია საგანგებო სწავლისა და გამოცდილების გარეშე. ხარისხიან ევროპულ საჭურველს კი მარტო მონდომებით ვერ შექმნი, ეს არაადამიანური შრომაა. დასავლეთევროპული საჭურველი სხვადასხვა სტილის არის. უნდა იცოდე ადამიანის ანატომია, ესთეტიკა, ისტორია და მოდა, მთავარი კი მოთმინება და ლითონის ოსტატური დამუშავებაა.



პირველი ევროპელი რაინდის აბჯრის გასაკეთებლად წელიწად-ნახევარი დამჭირდა და არცთუ ურიგო გამომივიდა.

— **როგორც ვიცით, ხშირად იყენებთ ქართულ მოტივებს, ქართულ ორნამენტებს. მოსწონთ თუ არა ეს ევროპელებს?**

— მოსწონთ, მაგრამ ბუნებრივია, ევროპელისთვის ევროპულ საჭურველს მეტი ფასი აქვს. ჰოლანდიელები ძალიან დაინტერესდნენ ქართული საჭურვლით, ორნამენტით, მოტივებით...

— **ევროპული და ქართული საჭურველი განსხვავდება ერთმანეთისგან. რა არის ამის მიზეზი? ისტორიულ-ეკონომიკური პირობები, ერის ხასიათი და გემოვნება თუ ადათ-წესები?**

— ფეოდალური ხანის საბრძოლო ალკაზმულობაზე შეგვიძლია მდიდარ ფრესკულ და არქეოლოგიულ მასალებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ. საბრძოლო იარაღის განვითარებაზე გავლენა იქონია ძლიერი სახელმწიფოების მესაჭურვლეობის ტრადიციებმაც. მაგალითად, ბიზანტიის იმპერიის ზეობის ხანაში ქართველები მათ მსგავს საჭურველს ატარებდნენ. ჯაჭვის პერანგს ჯერ კიდევ რომის იმპერიაში ხმარობდნენ. ვფიქრობ, ქართულ იარაღზე ევროპულმა კულტურამ მოახდინა ზეგავლენა. შუა საუკუნეებში მუსლიმანების აგრესიამაც თავისი კვალი დააჩნია ქართულ იარაღს. მაგალითად, მე-13 საუკუნიდან სწორი (შვეტი) ქართული ხმალი ოდნავ იდრიკება, მაგრამ მაინც არ ემსგავსება მუსლიმანურ კაუჭა ხმლებს.

საბედნიეროდ, ქართული თვითმყოფადობის დასამტკიცებლად ჩვენ გვაქვს ხევსურული აბჯარი. საბრძოლო ხელოვნების ყველაზე სრულყოფილი და ჩამოყალიბებული ტრადიცია შემოგვინახა მთიელმა ხალხმა, განსაკუთრებით კი ხევსურებმა. მთიელთა საბრძოლო აღზრდის სისტემა ჩვენი ერის უნიკალური და განუმეორებელი საგანძურია. მთიელები იყვნენ ქვეყნის ფარი, დამცველი ძალა, ამიტომაც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საქართველო, ისევე როგორც ინდოეთი, სახელგანთქმული იყო საუკეთესო ფოლადის წარმოებით. შესანიშნავი ოსტატები იყვნენ გიორგი, ყარამან და ეფრემ ელიზარაშვილები (იხ. ა.წ. „არსენალი" №1(6)). ისინი საუკეთესო მესაჭურვლეებადაც ითვლებოდნენ.



გოჩა ლალიძე საგამოფენო დარბაზში, ნამუშევართან



12 წლის მორიც ორანელის - ნასაუს გრაფის პორტრეტის (1578 წ.) მიხედვით აღდგენილი საჭურველი. შესრულებულია ნიდერლანდის გაერთიანებული სამეფოს საჭურვლის სახელმწიფო მუზეუმის დაკვეთით, 2004 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხევსურული აბჯარი, (1995 წ), მრავალგზის არის გამოფენილი ნიდერლანდის, გერმანიის, შვეიცარიისა და ლუქსემბურგის მუზეუმებსა და გალერეებში

საქართველოს ოქროს ხანაში, მე-12 საუკუნეში შექმნილი იარაღი გამორჩეული იყო ესთეტიკურადაც და ხარისხითაც. ჩვენგან განსხვავებით, ამ პერიოდში დასავლეთ ევროპაში გაცილებით სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო, ამიტომ უფრო მეტი მატერიალურ-კულტურული ფასეულობა შეიქმნა ამ დარგში.

გადმოცემით, ვახტანგ გორგასლის მუზარადზე მგლის თავი იყო გამოსახული. ჩემი აზრით, თვითონ მუზარადი უნდა ყოფილიყო მგლის თავის მსგავსი. ეს მძლავრი ფსიქოლოგიური იარაღიც იქნებოდა. XII საუკუნემდელ ქართულ და ევროპულ იარაღს შორის მცირე განსხვავება შეინიშნება. არის კიდევ ერთი სხვაობა — ქართველი რაინდი მსუბუქად იყო აღკაზმული, რაც სისხარტის საშუალებას აძლევდა, შუა საუკუნეებისა და გვიანდელი ევროპელი მეომარი კი მძიმედ იყო შეჯავშნული.

**— რამდენად პოპულარულია თქვენი პროფესია ევროპაში და თუ გყავთ კონკურენტები?**

— პოპულარული იმ მხრივ არის, რომ იშვიათი და საინტერესო ხელობაა. ბევრისთვის მისტიკურიც. კარგ აბჯარში მჯლობელის, სახელმწიფოს პრესტიჟი, იმიჯი, სიძლიერე და სიმდიდრე ჩანს. ჰოლანდიაში კონკურენტი ნამდვილად არ მყავს, ისე, ამაზე არც ვფიქრობ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოქროს საბადო აღმოვაჩინე. ეს საქმე საკმაოდ შრომატევადია, ბევრ დროს მოითხოვს, რაც ფასზეც აისახება. ამიტომ მოთხოვნილება არც ისე დიდია — პოტენციური გადამხდელი ცოტაა. ხანდახან ხუმრობით ჩემს თავს უდაბნოში მყოფ მონოპოლისტს ვადარებ, მაგრამ საწუწუნო არაფერი მაქვს, ღვთის წყალობით, ოჯახის შენახვა შემიძლია.

საზოგადოდ, ბოლო ათი წლის განმავლობაში მესაჭურვლეობა აღმავლობას განიცდის (როგორც მე-19 საუკუნის ბოლოს), ძირითადად, ევროპასა და ამერიკაში. არსებობს კლუბები, რაინდთა ორდენები. იმართება დღესასწაულები, სარაინდო ორთაბრძოლები. თუმცა მონაწილეთა საჭურვლის ხარისხი მაღალი არ არის.

**— ვინ ითვლება ამ ხელობის დიდოსტატად?**

— მჭედელ-მესაჭურვლეთა ამქარში უხილავი იერარქიაა, ე. წ. პირამიდა. აქ სტატუსს ნამუშევრით იმსახურებენ. არსებობს შეფასების კრიტერიუმიც...

შემიძლია ვთქვა, რომ მე მაქსიმუმს მივაღწიე ამ საქმეში, მაგრამ კიდევ ბევრის გაკეთება მინდა. დიდოსტატი მესაჭურვლეები და მეიარაღეები XV-XVI საუკუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებში იყვნენ, გოტიკა-რენესანსის ეპოქაში, იტალიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთში. მჭედლების ინსტიტუტზე ბევრად იყო დამოკიდებული სახელმწიფოს სიძლიერე და ომის ბედი.

— **რა უფრო ძნელია, ნახატიდან ახალი აბჯრის გაკეთება თუ მოძიებული ექსპონატის აღდგენა?**

– ბუნებრივია, ასლის გაკეთება ადვილია, თუმცა ზუსტი ასლი არასოდეს გამოდის. ჩემს ნამუშევრებში ყოველთვის არის ახალ-ახალი დეტალი. მაქვს ორიგინალური, მხოლოდ ჩემი იდეის მიხედვით შექმნილი საჭურვლებიც. ბევრი დამკვეთი მთხოვს კიდეც შეკვეთის ჩემი ინტერპრეტაციით შესრულებას.

— **გყავთ თუ არა მოსწავლეები, როგორ უნდა მოხვდეს თქვენს სახელოსნოში შეგირდი?**

– 1998-2000 წლებში პიტერ ბრიუხელის სამხატვრო ინსტიტუტში ვატარებდი ლითონის მხატვრული დამუშავების ყოველკვირეულ გაკვეთილებს და ბევრი მოსწავლეც მყავდა.

2000-01 წლებში ამსტერდამში, ნიდერლანდის კოლექციების ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს. ეს ქვეყნის კულტურის სამინისტროზე დაქვემდებარებული რესტავრატორთა უმაღლესი სასწავლებელია.

სახელოსნოში შეგირდი არასოდეს მყოლია, არ ვიცი, ავიყვან ოდესმე თუ არა. ჩემი ყოფილი მოსწავლეები კი მირეკავენ და სახელოსნოშიც მსტუმრობენ.

— **თქვენი შვილებიდან რომელიმე თუ აპირებს მამის საქმის გაგრძელებას?**

– შვილებს მოსწონთ ჩემი ნამუშევრები, მეხმარებიან კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით სურვილი არ გამოუთქვამთ ამ საქმის შესწავლისა.

— **აპირებთ თუ არა საქართველოში გამოფენის მოწყობას?**

– ამაზე ვფიქრობ, შემომთავაზეს კიდეც ნამუშევრების გამოფენა, მაგრამ ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული — მომზადება, ნამუშევრების გამოთხოვა მუზეუმებიდან და კერძო კოლექციებიდან, დაზღვევა, ტრანსპორტირება, რეკლამა.

— **ხომ არ აპირებთ საქართველოში დაბრუნებას ან თუნდაც სახელოსნოს, სკოლის დაარსებას?**

– საქართველოში დაბრუნებაზე ვფიქრობ, მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა. ისე კი შემოქმედებითად, ალბათ, მალე დავბრუნდები. წელს მეფის საჭურვლის გაკეთება შემომთავაზეს დავით აღმაშენებელზე გადასაღები ისტორიული ფილმის იდეის ავტორებმა.

ბედნიერი ვიქნები, თუ პროფესიულ და მამულიშვილურ წვლილს შევიტან ამ ფილმის შექმნაში. დავითის საჭურველი ისეთი უნდა იყოს, რომ ფილმის გადაღების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი დაამშვენოს. სამწუხაროდ, ახლა ესკიზების შექმნაში აქტიურად ვერ ვმონაწილეობ.

კარგი იქნებოდა, საქართველოში სამხედრო ისტორიის ინსტიტუტი, მუზეუმი ან იარაღის პალატა რომ გვქონდეს, სადაც იარაღის შესწავლა, მისი ნიმუშების გამოფენა იქნებოდა შესაძლებელი.

ამჟამად ვსწავლობ საქართველოსა და ნიდერლანდს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობებს, ძირითადად, ლითონის ინდუსტრიის დარგში. თუ საქართველოს დავჭირდი, მზად ვარ სათანამშრომლოდ.

— **როგორც ვიცით, თქვენ მსოფლიოში გაბნეულ ქართულ საჭურველს ეძებთ. რა სახის ექსპონატები მოიძიეთ?**

– ცდას არ ვაკლებ საზღვარგარეთ ქართული იარაღის მოძიებას. შემთხვევით წავაწყდი ინტერნეტში ინფორმაციას, აშშ-ის ერთ-ერთ ანტიკვარულ მაღაზიაში ბრწყინვალე გორდა ხმლები იყიდება. ინფორმაცია გადმოვაგზავნე საქართველოში, რადგან იმჟამად მათი შესყიდვა და საქართველოში დაბრუნება თავად არ შემეძლო...

2004 წლის სექტემბერში შვეიცარიაში ისტორიული იარაღის მკვლევარ მეცნიერთა სიმპოზიუმზე გავიცანი ბერლინის „ციტადელე სპანდაუს“ მუზეუმის დირექტორი, რომელიც დავაინტერესე მე-13 საუკუნის ქართული იარაღით. ის კონსტანტინე გამსახურდიას ბერლინის „ცოიგჰაუზში“ (ახლა გერმანიის ისტორიის მუზეუმი) უნახავს. მან სცადა მოეძია ეს ექსპონატები. მუზეუმიდან გვიპასუხეს, რომ მე-15 საუკუნის ქართველი რაინდის საბრძოლო აღკაზმულობა მე-19 საუკუნის ბოლოს ბერლინის მსოფლიოს ხალხთა კულტურების მუზეუმს გადასცეს. ძიებას ახლაც ვაგრძელებთ...







ნიდერლანდის გმირის, იან ვან შხაფელაარის (1485 წელი) საჭურველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გედეონის მახვილი



*1985 წლის აპრილის ერთ ღამეს ალჟირის სანაპიროს მეთევზეთა ნავსადგურიდან კატარღა გავიდა და გეზი ისრაელისკენ აიღო. მასზე ორ ათეულამდე შეიარაღებული პალესტინელი იყო. პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრებს თელ-ავივის სანაპიროსთან გადმოსხდომა, ისრაელის არმიის შტაბზე თავდასხმა და მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, იცხაკ რაბინის მკვლელობა ჰქონდათ განზრახული, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ებრაელები უკვე მომზადებული იყვნენ ოპერაციის ჩასაშლელად. კატარღამ პირობითი საზღვაო საზღვარი გადალახა თუ არა, წამსვე ჩაძირეს. ტყვედ აყვანილმა რვა ტერორისტმა დაკითხვაზე დაადასტურა, რომ ოპერაცია ისრაელის გენერალური შტაბის წინააღმდეგ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სამხედრო განყოფილების უფროსმა, აბუ-ჯიჰადმა შეიმუშავა.*

ჰალილ იბრაჰიმ მაჰმედ ელ-ვაზირი – ასეთი იყო აბუ-ჯიჰადის ნამდვილი სახელი და გვარი. მას კარგა ხანს უთვალთვალებდნენ ისრაელის სპეცსამსახურები („ამანი“ – სამხედრო დაზვერვა, „შინბეტი“ – უშიშროების საერთო-სახელმწიფოებრივი სამსახური და „მოსადი“ – საგარეო დაზვერვა). აბუ-ჯიჰადი „ალ-ფათჰის“ პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფრაქციის ლიდერი იყო. სწორედ ის გახლდათ პალესტინელთა მრავალი ტერორისტული აქტის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ ტერაქტებს შორის რამდენიმე მეტად გახმაურებული იყო: 1974 წლის აპრილში მოწყობილი რეიდი დასახლებულ პუნქტ ნახარიაზე (ოთხი მოკლული ებრაელი, ორი დაჭრილი); 1975 წლის მარტში თავდასხმა თელ-ავივის სასტუმრო „სავოიზე“ (10 მოკლული, 12 დაჭრილი); იმავე თვეში თავდასხმა სამგზავრო ავტობუსზე (33 მოკლული, 82 დაჭრილი); 1978 წლის მარტში თელ-ავივის მახლობლად ღამის კლუბში მოწყობილი სასაკლაო (38 მოკლული). ამ და სხვა მრავალი დანაშაულის შემდეგ აბუ-ჯიჰადი, აბუ ნიდალის შემდეგ, ისრაელში №2 ტერორისტად აღიარეს. ამ სისხლისმსმელი მანიაკის საყრდენი ბაზები და თავშესაფარი სირიასა და ლიბანში მდებარეობდა.



ელ-ვაზირი (აბუ ჯიჰადი)

აბუ-ჯიჰადი, რომელსაც საოცარი ანალიტიკური აზროვნება და კარგი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა, საშიში იყო არა მარტო როგორც ტერორისტების მეთაური. სწორედ ის იყო ინტიფადას (ღაზას სექტორში და მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე პალესტინელთა აჯანყების) მთავარი სულისჩამდგმელი. მისი ინიციატივით, აჯანყებულები სპობდნენ და ანადგურებდნენ „ამანის“ ინფორმატორებს. დევნილობაში მყოფი პალესტინის ხელისუფლების შექმნაც აბუ-ჯიჰადის ძალისხმევის შედეგია. მან რამდენიმეჯერ გადაარჩინა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია დაშლასა და გაუქმებას, რის შედეგად მისი პოპულარობა და გავლენა პალესტინელებს შორის დღითი დღე იზრდებოდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველას ეგონა, რომ მას განგება პალესტინის განთავისუფლების ლიდერის, იასირ არაფატის შემცვლელის ბედს უმზადებდა. მით უმეტეს, რომ აბუ-ჯიჰადის საპროგრამო იდეა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით ითვალისწინებდა. ამიტომ ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლა ახალი დიდი ომის ესკალაციის საფრთხეს ქმნიდა ახლო აღმოსავლეთში. მოვლენების ასეთი განვითარება კი დაუშვებელი იყო.

ისრაელის ხელისუფლების მოთმინების ფიალა ერთმა შემთხვევამ აავსო. 1988 წლის 7 მარტს „ალ-ფათჰის“ სამმა მებრძოლმა ისრაელის ტერიტორიაზე გადასვლა და სწორედ იმ სამგზავრო ავტობუსის ხელში ჩაგდება მოახერხა, რითაც ისრაელის ზესაიდუმლო ატომური ცენტრის თანამშრომლები მგზავრობდნენ. ხელისუფლებამ და სამხედრო ხელმძღვანელო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ მომხდარი შეაფასა როგორც სახელმწიფო სასიცოცხლო ობიექტის ხელყოფა და მძევლების სასწრაფოდ გათავისუფლების ბრძანება გასცა. ოპერაციის დროს მოკლეს სამივე თავდამსხმელი, მაგრამ მათ სამი მეცნიერის დახვრეტა მაინც მოასწრეს. ამ ტერაქტით აბუ-ჯიჰადმა, როგორც ამბობენ, საკუთარ განაჩენს მოაწერა ხელი. ბრძანება გაიცა, დაწყებულიყო აბუ-ჯიჰადის ლიკვიდაციის წინასწარ შემუშავებული ოპერაცია.

„მოსადის" ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ აბუ-ჯიჰადი ოჯახთან ერთად ტუნისის დედაქალაქის გარეუბანში, სიდი ბუსეიდში ცხოვრობდა, სადაც 1982 წლიდან პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის შტაბბინა განთავსდა. ისრაელის სპეცსამსახურებმა აქ შექმნეს სადაზვერვო და რეზიდენტურული ქსელი, რომელიც სავაჭრო ფირმებსა და წვრილ საწარმოებს ამოფარებული მუშაობდა. აგენტების უმრავლესობას ადგილობრივი არაბები წარმოადგენდნენ, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ამერიკის CIA-სთვის ან რომელიმე სხვა ევროპული ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის მუშაობდნენ. მიუხედავად ამისა, ოპერაციის დაწყების წინ „მოსადის" ხელმძღვანელობამ ტუნისიდან გამოიწვია ებრაული ეროვნების ყველა აგენტი და შეაჩერა არაბ აგენტთა მუშაობა. ეს პრევენციული ღონისძიება ოპერაციის ჩატარებისას გაუთვალისწინებელი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით გატარდა.

იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რომელიც აგენტურის დაკონსერვებას დასჭირდა, ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საგანგებო ქვედანაყოფების მეზღვაურებმა ზედმიწევნით შეისწავლეს ტუნისის პლაჟები, დაზვერეს სანაპირო დაცვის სისტემები და დაადგინეს შედარებით დაუცველი ადგილები, სადაც დესანტის გადასხმა შესაძლებელი იქნებოდა. მზვერავებმა შეაგროვეს მონაცემები გზების, აეროდრომების, საპოლიციო პოსტებისა და პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ოფისების შესახებ. რადიოსამსახური 24 საათის განმავლობაში უსმენდა და იწერდა პალესტინელების ყველა რადიო და სატელეფონო საუბარს. ინფორმაცია კომპიუტერს მიეწოდებოდა, განზოგადდებოდა, ანალიზდებოდა, მოწმდებოდა და ბოლოს, გადამოწმდებოდა.

1988 წლის აპრილის დამდეგს მოეწყო გენერალური რეპეტიცია, რომელშიც „მოსადის" მებრძოლები და ისრაელის საგარეო დაზვერვის სპეცდანაყოფების, „საერეტ მატკალის" თანამშრომლები მონაწილეობდნენ. ამ უკანასკნელთა დანიშნულება ქვეყნის გარეთ საიდუმლო ოპერაციებში მონაწილეობაა („მატკალის" ერთ-ერთ ოპერაციაზე „არსენალი" უკვე წერდა). სწავლება ქალაქ ხაიფასთან ახლოს გაიმართა. აქ აიგო აბუ-ჯიჰადის ვილისა და მიმდებარე უბნის ნაწილის ზუსტი ასლი. სრულიად საიდუმლო მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით შეირჩა ისეთი დრო, როცა ვერც ამერიკული და ვერც რუსული ჯაშუში თანამგზავრი ვერ დააფიქსირებდა აღნიშნულ ტერიტორიას. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა, სპეცრაზმელებმა ოპერაცია 22 წამში დაასრულეს, რაც იმდს იძლეოდა, რომ გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში, მათ ნამდვილი ოპერაციის დროს მარაგად კიდევ რამდენიმე წამი ექნებოდათ.

14 აპრილს ტუნისში შემსრულებელთა პირველი ჯგუფი – 6 მამაკაცი და ერთი ქალი ჩავიდა. მათ ლიბიური პასპორტები ჰქონდათ და არაბულად ლიბიური აქცენტით ლაპარაკობდნენ. ისინი სხვადასხვა თვითმფრინავით ჩაფრინდნენ ქვეყანაში და ტურისტებს შეერივნენ. მომდევნო დღეს „საერეტ მატკალის" მეთაურიც ტუნისში იყო. ოპერაციისათვის ყველაფერი მზად იყო. 14-15 აპრილის ღამით ისრაელის ორი კორვეტი, რომელთა ბორტზეც საიერიშო ჯგუფები იმყოფებოდნენ, კვიპროსიდან ოდნავ მოშორებით შეხვდა ორ ასეთივე ხომალდს. ოფიციალური წყაროების თანახმად, ისრაელის ფლოტი საერთაშორისო წყლებში სასწავლო მანევრებს ატარებდა. ერთ-ერთ კორვეტზე განთავსებული იყო ორი სწრაფმავალი, ამერიკული წარმოების „კობრას" ტიპის კატარღა, რომლის მოვალეობას მოიერიშე ჯგუფის საცეცხლე მხარდაჭერა შეადგენდა, იმ შემთხვევაში, თუ იერიშზე გადასულებს მოულოდნელი გარემოებები უკან დახევას აიძულებს. აქვე იყო განთავსებული შტაბიც. მისი მეთაური, არც მეტი, არც ნაკლები, ისრაელის არმიის შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალი ეჰუდ ბარაკი გახლდათ. ერთ-ერთ ხომალდზე განთავსებული იყო მცირე საველე ჰოსპიტალი, რომლის სამედიცინო პერსონალს შორის ისრაელის საუკეთესო ქირურგიც იყო. მცურავი ლაზარეთის გემბანზე იდგა შეიარაღებული ვერტმფრენი „BE-206". მას დაჭრილების ევაკუაცია უნდა მოეხდინა, შეეძლო აგრეთვე მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით ცეცხლით დაეცვა უკან დახეული მოიერიშეები, თუკი ამას სიტუაცია მოითხოვდა. ხმელთაშუა ზღვის თავზე, სამოქალაქო ავიახაზების ტრასაზე დაფრინავდა ორი „ბოინგ-707". ერთ-ერთ მათგანში იმყოფებოდა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი ავიხუ ბენ ნუნი, რომელიც კოორდინაციას უწევდა უზრუნველყოფის ძალებს. მეორე თვითმფრინავის შიგთავსი სავსე იყო ელექტრონიკით, რომელსაც ტუნისელთა და არაბთა კავშირის საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა შეეძლო. აქვე იმყოფებოდა დაზვერვის, „ამანის" შეფი, გენერალ-მაიორი ამნონ შახაკი. იგი პირადად უკეთებდა ანალიზს ყველა ინფორმაციას, რომელიც ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან მოედინებოდა. და ბოლოს, განსაზღვრულ სიშორეზე კიდევ ორი „ბოინგი" დაფრინავდა, რომლებიც მზად იყვნენ ნებისმიერ დროს გადაესხათ მფრინავ საშუალებებში საწვავი. თავის მხრივ, მათ ოთხი მოიერიშე „F-15" იცავდა.

16 აპრილს მზის ჩასვლიდან რამდენიმე წუთში ოთხივე კორვეტი ტუნისის ტერიტორიულ წყლებს მიადგა. აქედან ისინი დანაწილდნენ, ორმა ხომალდმა ნაპირის პარალელურად მოძრაობა გააგრძელა, ორი კი ნაპირისკენ გაეშურა. ამ უკანასკნელთა





ეროვნული ბიბლიოთეკა

გემბანებზე „საერეტ მატკალის“ 30 მებრძოლი იმყოფებოდა, რომლებიც 4 ჯგუფად: „ბლეფ“, „გიმელ“, „ბეტ“ და „დალეტად“ იყვნენ დაყოფილი. პირველ ორს აბუ-ჯიჰადი უნდა მოეკლა, დანარჩენ ორს კი პირველი ორის უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყო. ნაპირიდან ორი კილომეტრის მოშორებით კორვეტების ძრავები გათიშეს, წყალში ოთხი მყვინთავი ჩაეშვა და წყალქვეშა ელექტრონული ბუქსირების მეშვეობით გემი ნაპირისკენ დაიძრა. მალე დასახლებულ პუნქტს, რის კარტაგეს (აქ ანტიკურ ხანაში კართაგენი მდებარეობდა) მახლობელ უდაბურ პლაჟს მიაღწიეს. აქ მათ ტურისტებად გადაცმული „მოსადის“ აგენტები უცდიდნენ.

შეხვედრამ ინციდენტის გარეშე ჩაიარა. გაიცა დანარჩენი 26 მებრძოლის ნაპირზე გადასხმის ბრძანება. მებრძოლებმა გასაბერი ნავები გადამალეს და „ტურისტების“ ნაქირავებ მანქანებში ჩასხდნენ (ორი „ფოლკსვაგენის“ ავტოფურგონი და ერთი „პეჟო-305“). ამავე დროს კორვეტებმა ზღვისკენ დაიხიეს, რათა ტუნისელთა სანაპირო დაცვის რადარებს არ დაეფიქსირებინათ (დესანტირების დროს რადარების მოქმედებას „ბოინგ-707“-ზე განლაგებული სპეცელექტრონიკა ახშობდა). ოპერაციის მონაწილეებს შავი ფერის კომბინეზონები ეცვათ, რბილძირიანი ფეხსაცმელები უჩუმრად გადაადგილების საშუალებას აძლევდათ. ა და ბ ჯგუფების შეიარაღებაში შედიოდა პისტოლეტები „ბერეტა M-71“ და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები „მინი-უზი“, ხმისა და ალის ჩამხშობი მოწყობილობებით. ჯგუფი გ და დ შეიარაღებული იყო საიერიშო შაშხანა „გალილითა“ და „FN MAG“ ტყვიამფრქვევებით.

ყველა მათგანს მსუბუქი ჯავშანჟილეტი ეცვა, ჰქონდათ მიკრორადიოსადგურები მიკროფონებითა და საგანგებო ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც განუწყვეტელ სიგნალს აძლევდნენ საშტაბო კომპიუტერს. ამ სრულყოფილი ტექნიკის წყალობით ეკრანზე, რომელზეც რუკა იყო გამოსახული, განუწყვეტლივ მოჩანდა ოპერაციის მონაწილეთა ზუსტი ადგილმდებარეობა. თუ რომელიმე მათგანს მოკლავდნენ, დაჭრიდნენ ან ტყვედ ჩაიგდებდნენ, შესაძლებელი იყო, მის დასახმარებლად სხვების გაგზავნა. ურთიერთშორის საუბარი მებრძოლებს ჩურჩულით შეეძლოთ, ტექნიკა ამის საშუალებას იძლეოდა. მეტიც, მათი ყველა სიტყვა ოპერაციის მთავარ შტაბშიც კარგად ისმოდა. ღამის პირველი საათისთვის ავტომობილები საიდი ბუსეიდში შევიდნენ. აუცილებელი იყო ფრთხილად მოქმედება, რადგან ამ ადგილას აბუ-ჯიჰადის გარდა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის სხვა ლიდერებიც ცხოვრობდნენ და ყველა მათგანს შეიარაღებული დაცვა ჰყავდა. საწყის ზღვართან მიახლოებულმა დესანტმა მოთვალთვალე აგენტებისგან შეიტყო, რომ აბუ-ჯიჰადი შინ არ იყო, – იმ საღამოს იგი პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრ ფარუკო კადუმის ხვდებოდა, შეხვედრა კი გაჭიანურდა. დესანტი იძულებული გახდა, მსხვერპლს დალოდებოდა. 1 საათსა და 30 წუთისთვის მცველმა ალ-ჯიჰადი მანქანით სახლში მიიყვანა. ერთ-ერთმა მებრძოლმა მაშინვე გადაჭრა ტელეფონის ხაზი, რომლითაც ვილა ქალაქს უკავშირდებოდა. დანარჩენებმა ღამის ხედვის მოწყობილობები მოირგეს... გეგმის მიხედვით, თავდასხმა უნდა დაწყებულიყო მაშინ, როცა აბუ-ჯიჰადი დასაძინებლად დაწვებოდა. სინათლე მის საძინებელ ოთახში ერთ საათში ჩაქრა. გაიცა ბრძანება... დ ჯგუფმა გადაკეტა შენობასთან მისასვლელი გზები. გ ჯგუფმა ვილის გარე პერიმეტრი დაიკავა. ერთ-ერთმა მებრძოლმა მოკლა მძღოლი, რომელსაც მანქანაში ეძინა. ბ ჯგუფი შენობაში უკანა მხრიდან შევიდა, ა ჯგუფი კი მთავარი შესასვლელიდან. სპეციალური მოწყობილობის საშუალებით დაკეტილი კარის აბსოლუტურად უხმაუროდ გაღება მოხერხდა. ა ჯგუფი სირბილით გაემართა ზემო სართულისკენ. ბ ჯგუფი კარისა და პირველი სართულის სადარაჯოდ დარჩა.

მოულოდნელად შავი ლანდების წინ ნამძინარევი პალესტინელი აღიმართა, რომელიც შენობას შიგნიდან იცავდა. ერთი უხმო გასროლა და, ის უსულოდ ჩაიკეცა. მისი ბედი გაიზიარა მეორე მცველმა, ის ბ ჯგუფის წევრებმა მოკლეს. ახლა შენობაში მხოლოდ აბუ-ჯიჰადი, მისი ცოლი, 14 წლის გოგონა და 2 წლის ვაჟი დარჩნენ. კარის ჭრიალზე გაღვიძებულმა აბუ-ჯიჰადმა ბალიშიდან მხოლოდ თავის წამოწევა მოასწრო, მისი სხეული ტყვიების რამდენიმე ჯერმა დაფლითა. მის ცოლს მაშინღა გაეღვიძა, როცა თავდამსხმელებმა ცეცხლი შეწყვიტეს. კიდევ ერთი წამიც და ქალბატონი აბუ-ჯიჰადი საძინებელში მარტო იყო, მის გვერდით კი მისი მეუღლის, 9-მილიმეტრიანი კალიბრის 68 ტყვიით დაფლეთილი სხეულიღა დარჩა.

ოპერაციას მხოლოდ 13 წამი დასჭირდა, 9 წამით უფრო ნაკლები, ვიდრე გენერალურ რეპეტიციას მოანდომეს. დროის ეს მონაკვეთი საკმარისი აღმოჩნდა აბუ-ჯიჰადის კაბინეტიდან რამდენიმე დასტა საიდუმლო დოკუმენტების გამოსატანად. ერთი წუთის შემდეგ კი ოთხივე ჯგუფის წევრები მანქანებში ისხდნენ და ზღვის სანაპიროსკენ მიქროდნენ.

ხომალდებზე დაბრუნება დაუბრკოლებლად მოხერხდა. კორვეტებმა გეზი მაშინვე ისრაელისკენ აიღეს.

ვიდრე გამოფხიზლდებოდა, ტელეფონით პოლიციის გამოძახებას შეეცდებოდა, ქალიშვილს გააღვიძებდა, რომელმაც დასახმარებლად მეზობლებს დაუძახა, ახალდაქვრივებულ აბუ-ჯიჰადის მეუღლეს კარგა ხანი დასჭირდა. ამასობაში კორვეტებმა კარგა დიდი მანძილი გაიარეს. იმავე დილით კი ქვეყნიდან გაემგზავრნენ ის აგენტები, რომლებიც ტურისტებად იყვნენ ტუნისში ჩამოსული.

ისრაელი თავისი მტრების წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში ატარებს ასეთ საიდუმლო საბრძოლო ოპერაციებს.

აბუ ჯიჰადის დაკრძალვაზე ზღვა ხალხი შეიყარა...



# მოწინააღმდეგის ზურგში გადასროლილი მიკრობი შესაძლებელია ტერმინატორად იქცეს



ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების ცნობით, ცოტა ხნის წინ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ლამის დიპლომატიური სკანდალი დაიწყო. საქმეში ჩახედულმა წყაროებმა საიდუმლოს ფარდა ახადეს და გაირკვა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზი მიკრობები ყოფილა. როგორც გაირკვა, პენტაგონმა სრულიად საიდუმლოდ (ბრიტანელებთან შეუთანხმებლად) დაიწყო „არამომაკვდინებელი იარაღის“, გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკრობების გამოყვანა, რომელთა დამანგრეველი ძალის განსაზღვრა ჯერჯერობით რთულია. გენური ინჟინერიის წყალობით ამერიკელმა მეცნიერებმა მიკრობები აიძულეს, წარმოუდგენლად მოკლე დროში შთაენთქათ ის მასალები და ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების, იარაღისა და საწვავის შესაქმნელად.

მართალია შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი დიდი ხნის მოკავშირეები არიან, მაგრამ მიუხედავად ურთიერთნდობისა და ინფორმაციის გაცვლისა, მაინც ხდება მსგავსი ფაქტები.

ეტყობა, საიდუმლო აგენტების მიერ მოპოვებულმა მასალებმა პრესაში გაჟონა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრიტანელები ხმაურს არ ატეხდნენ. დაირღვა საერთაშორისო სამართლის ნორმები, კერძოდ კი ბიოლოგიური, ქიმიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ კარტახენაში მიღებული კონვენცია, რაც მიკრობთა გენეტიკური მოდიფიკაციის საზღვრებს აკანონებს.

ბრიტანელების დაგვიანებულ პროტესტს ოკეანის გაღმიდან ხმაურიანი რეაქცია არ მოჰყოლია, რადგან ამერიკელებმა თურმე არათუ გამოიყვანეს ახალი მიკრობები, არამედ ამრავლებენ და აუმჯობესებენ კიდეც მათ. მეტიც, მონიშნული აქვთ ქვეყნები, სადაც ახალი იარაღის გამოყენებას აპირებენ, მაგალითად: სომალი, ჰაიტი და ბოსნია.

ყველაფერი კი 70-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ნავთობის „მომნელებელი“ მიკრობის გამოგონება დაპატენტდა. სწორედ მას შემდეგ „გაუნათდათ“ გონება მეცნიერებს: ქვეყნად სხვადასხვა ნივთიერების მომნელებელი მიკრობების რაოდენობა უთვალავია. თვალისთვის ოდნავ შესამჩნევი ზემოქმედება, რომელსაც მიკრობები სხვადასხვა მატერიაზე ახდენენ, ბუნებრივ მოვლენად აღიქმება. არადა, ეს პროცესი ადამიანებს ბევრ პრობლემას უქმნის: მიკრობებს მწყობრიდან გამოჰყავთ ყოველდღიური მოხმარების საგნები და შრომის იარაღები. მაგალითისთვის ჟანგვაც კმარა. იმ მიკრობებზე აღარაფერს ვამბობთ, რომლებიც კოსმოსური ხომალდების გარსზე უდაბლესი ტემპერატურის, ვაკუუმისა და მაღალი რადიაციის პირობებში მრავლდება.

მას შემდეგ, რაც მიკრობების „სასარგებლო“ თვისებებს გენური ინჟინერიის სპეციალისტებმა მიაქციეს ყურადღება, სიტუაცია შეიცვალა და ბუნებრიობის მომენტი ძალზე პირობითი გახდა. მოგეხსენებათ, ბუნებრივ პირობებში მიკრობები დიდხანს და თანდათან ავლებენ მუსრს სხვადასხვა ნივთიერებას. ამასთან, განსაკუთრებული ტემპერატურა და გარემო პირობებიც სჭირდებათ. ადამიანმა კი მოისურვა, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში ჩასატარებელი სამუშაო ერთ დღე-ღამეში დასრულებულიყო. ასე დაიბადა გენეტიკურად შექმნილი ნივთიერებათსაწინააღმდეგო მიკრობები (ამერიკელები მათ „გამასებს“ – Genetically Engineered Anti-Material AgentS უწოდებენ). სადღეისოდ მათი ნაირსახეობის რაოდენობის დასახელება ძნელია, შეუძლებელია ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნის მიღწევების გაკონტროლებაც, თუმცა ცნობილია, რომ ახალი მიკრობების წარმოებაში ლიდერად აშშ გვევლინება.

ჯერ კიდევ 1998 წელს ამერიკელებმა „გამასების“ რამდენიმე ჯგუფი იმ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების სიაში შეიტანეს, რომელთა შესწავლა და გასაიდუმლოება აუცილებლობას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა ამ სიაში ნახშირწყალბადის პლასტიკატის, სინთეტიკური კაუჩუკის, მეტალებისა და კომპოზიტური მასალების გამანადგურებელი მიკრობები შევიდა.

გარდა ამისა, საიდუმლო სიაში მოხვდა მიკრობები, რომელთა ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება მარილი, მეტალები და ნამცეცა მარცვლები, რომლებიც ფაქტურით პლასტიკატს მოგვაგონებს. ერთი სიტყვით, ასეთ თავისებურ მიკროექსკრემენტებს იოლად შეუძლია სატრანსპორტო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა.

თუ ამ მიკროსკოპულ ჯარისკაცებს მოწინააღმდეგის ზურგში გადაისვრიან, მათ შეუძლიათ გააფუჭონ ასფალტის საფარი, ლითონის დეტალები, საცხებ-საპოხი მასალები, ტექნიკა (თვითმფრინავები, შვეულმფრენები, ავტომობილები) და დამხმარე მოწყობილობები, საწვავი, ელექტროსადენები, პლასტმასის დეტალები. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სამხედრო მეცნიერები არა მარტო მსგავსი ბაქტერიების გამოყვანაზე, არამედ მათი შთანმთქმელი, ურთიერთგამანადგურებელი და გამანეიტრალებელი მიკრობების შექმნა-გამრავლებაზეც ნაყოფიერად მუშაობენ. ასევე აღმოჩენილია საშუალება მიკრობების თვითგანადგურების გენის საწარმოებლად, რაც კონკრეტულ დროსა და სივრცეში შეაჩერებს მათ მოქმედებას. რა გამოვა ამ იდეიდან, ჯერ თვით მიკრობების შემქმნელმა მეცნიერებმაც არ იციან. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია საცავში შენახულმა თვისებაშეცვლილმა მიკრობმა კონტეინერის მასალაც დააგემოვნოს და გარეთ გამოიჭრას, ან სულაც მტრის ზურგში გადასროლილი მიკრობი თავისებურ დაუმარცხებელ ტერმინატორად მოგვევლინოს, რომლისგანაც თავის დაღწევა კაცობრიობისათვის მწვავე პრობლემად იქცევა...

სხვათა შორის, ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს ამერიკელები აპირებდნენ ნავთობიჭამია „გამასების“ საქმეში გამოცდას, მაგრამ ბრიტანელებმა შეუშალეს ხელი (ისინი მაშინაც კოალიციის მთავარი წევრები იყვნენ). მაშინ ამერიკელებმა ვერ დაამტკიცეს, რომ მიკრობები მხოლოდ კონკრეტულ დავალებას შეასრულებდნენ და „პირის გასასველებლად“ პლასტმასისა და იმ ნივთიერებების განადგურებასაც არ დაიწყებდნენ, რომლის შემადგენლობაშიც არის ნავთობი... ბრიტანეთმა იმ დროს ვეტოს უფლება გამოიყენა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია და მიკრობებიც უფრო სერიოზული ძალა გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტანკები თბილისისათვის ბრძოლებში

1921 წლის 16 თებერვალს, გამთენიისას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან მე-11 წითელი არმია შემოიჭრა.

აგრესორი შეტევებს ფოილოსა და წითელი ხიდის მიმართულებით ავითარებდა. მე-11 არმიის მთავარ დამრტყმელ ძალას ჯავშანმატარებლები, ჯავშანავტომობილები და ტანკები წარმოადგენდა. წითლების განკარგულებაში 5 ჯავშანმატარებელი, 55-ე ჯავშანრაზმის 4 ჯავშანავტომობილი და მე-2 სატანკო რაზმის 4 „რიკარდოს“ ტიპის ტანკი იყო.

აგრესორის ქვეით და საკავალერიო ნაწილებს ჯავშანმატარებლები არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით გზას უხსნიდა. დაბალი სიჩქარის გამო „რიკარდოები“ ქვეით ნაწილებს წინსვლის ტემპით ბევრად ჩამოუვარდებოდა და რკინიგზის ხაზის პარალელურად მოძრაობდნენ. იმდროინდელი ტანკები, ძირითადად, მომარაგების საშუალებებზე იყვნენ დამოკიდებული, ხოლო მე-11 არმიის ზურგის სამსახური ფრონტის ხაზს ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

ბოლშევიკების შემოტევას საქართველო მოუმზადებელი შეხვდა, თუმცა ქართველი სამხედროები მოსალოდნელი აგრესიის შესახებ ხელისუფლებას აფრთხილებდნენ და გასატარებელ თავდაცვით ღონისძიებათა კონკრეტულ გეგმებს სთავაზობდნენ.

საქართველოს მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა და შეიარაღებაში სხვადასხვა სამხედრო ტექნიკასთან ერთად ჯავშანტექნიკაც ჰქონდა. ქართული არმიის განკარგულებაში იყო 4 ჯავშანმატარებელი, რამდენიმე ჯავშანავტომობილი და 2 ტანკი.

საინტერესოა ტანკების ისტორია. 1920 წლის მარტის ბოლოს წითელმა არმიამ ნოვოროსიისკთან დენიკინის მოხალისეთა არმიას გადამწყვეტი დამარცხება აგემა. მოხალისეთა არმიის ნარჩენებმა გემებით ყირიმში გააღწიეს, სადაც გენერალი ვრანგელი ბოლშევიკების წინააღმდეგ ახალ არმიას აყალიბებდა. ვრანგელს იარაღითა და სამხედრო ტექნიკით ანტანტის ქვეყნები ამარაგებდნენ. ევროპიდან შეიარაღება გემებით შემოდიოდა და ყირიმში გაგზავნამდე ბათუმში ინახებოდა.

ვრანგელისათვის გასაგზავნ შეიარაღებაში მაშინდელი სამხედრო ტექნიკის სიახლე – ტანკებიც შედიოდა. ეტყობა, ქართველებს თვალში მოუვიდათ ტანკები, რომლებიც ქართულ არმიას არანაკლებ ესაჭიროებოდა და რუსეთის არმიის კაპიტან ზოლოტარიოვთან საერთო ენა 4 მილიონ მანეთად გამოინახა. კაპიტანს ფული, ხოლო ქართველებს ყირიმში გასაგზავნი 2 ტანკი და სატვირთო ავტომანქანისათვის განკუთვნილი 4 საბურავი დარჩა.

ტანკების დაკარგვამ შეაშფოთა საქართველოში ინგლისის ელჩი უორდროპი და 1920 წლის აპრილში საგარეო საქმეთა მინისტრს, გეგეჭკორს თხოვნით მიმართა, რომ ტანკები და საბურავები საქართველოს უკან დაებრუნებინა.

საქართველომ ტანკები და საბურავები ბრიტანელებს უკან არ დაუბრუნა. რუსული მონაცემებით, ინგლისური წარმოების ტანკები „რიკარდო“ MkV საბორტო ნომრებით №9146 და №9130 ქართული არმიის შეიარაღებაში ირიცხებოდა და მე-11 წითელ არმიას დარჩა.

„რიკარდო“ 29,5 ტონას იწონიდა. შეიარაღებული იყო 57 მმ-იანი 2 ქვემეხითა და 7,7 მმ-იანი 4 ტყვიამფრქვევით, ხოლო ეკიპაჟი 8 კაცისაგან შედგებოდა. 150 ცხენისძალიანი ძრავა 7,5 კმ/სთ-ში სიჩქარეს ავითარებდა და 64 კილომეტრის მანძილზე გადაადგილების საშუალებას იძლეოდა. მაშინდელი ტანკები კონსტრუქციულად დაუხვეწავი, ნელმავალი და ბრძოლაში არასაიმედო იყო. მათი გამოყენება ეკიპაჟისაგან გამოცდილებასთან ერთად გამძლეობასაც მოითხოვდა. კორპუსის შიგნით ტემპერატურა 50 გრადუსზე ზემოთ ადიოდა, ხოლო ძრავის გამონაბოლქვი და ჭურვების სროლის შედეგად გამოყოფილი გაზი ტანკისტებს კიდევ უფრო მძიმე პირობებს უქმნიდა.

ეტყობა, ახალი, მაგრამ ჭირვეული ტექნიკის ათვისება ქართველ სამხედროებს გაუჭირდათ. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს მომენტში ტანკების გამოყენება ვერ მოხერხდა.

რუსეთის 1921 წლის თებერვლის აგრესიას საქართველოში მე-11 არმიის ერთ-ერთი წითელი მეთაური ასე აღწერდა: „ფრთხილად, დაძაბულ სიჩუმეში, თითოეული ნაბიჯის მოსინჯვით, ფოლადის კოლონა მოწინააღმდეგის ტერიტორიისკენ გადაადგილდებოდა. უცნაური სიჩუმე თბილისიდან 12 კილომეტრში, ყარაჯალას ასახვევთან 42-ხაზიანი და ექვსდუიმიანი ქვემეხების ცეცხლმა დაარღვია. მძიმე არტილერიის მასირებული დაწოლით ჩვენი ჯავშანმატარებლები იძულებულები გახდნენ, უკან დაეხიათ და ღამის დადგომამდე მოწინააღმდეგის ბატარეებთან საარტილერიო დუელი ჰქონდათ.“

რუსმა ტანკისტებმა „რიკარდოს“ გაუძლეს და 24 თებერვალს, 17 საათზე მეორე სატანკო რაზმის სამი ტანკი – Б-5, Б-9 და „ვ ჩიომ დელო“ – თბილისის მისადგომებთან გამოჩნდა. ქართული ჯავშანავტომობილი კონტრშეტევას შეეცადა, მაგრამ რუსული ტანკების ცეცხლმა უკან მიაბრუნა. ნავთლუღის მახლობლად ტანკი „ვ ჩიომ დელო“ ოცმეტრიან ხრამში ჩაიჩეხა. დარჩენილი ტანკების ეკიპაჟები ნახევრად უგონოდ იყვნენ, ბევრს ცხვირიდან და ყელიდან სისხლი სდიოდა. მიუხედავად ამისა, დავალება მაინც შეასრულეს და ორმა რუსულმა ტანკმა თბილისში შემოაღწია.

თემურ ჩაჩანიძე

ბიბლიოთეკა

**2005 წლის აგვისტოში რუსეთი „კურსკის“ მსგავს კიდევ ერთ ტრაგედიას გადაურჩა. ღრმა წყლების მაშველი აპარატი AC-28, შვიდკაციანი ეკიპაჟით, 200 მეტრის სიღრმეზე, ბადის ნაგლეჯებსა და კაბელებში გახლართული დახმარებას ითხოვდა.**

**წყალქვეშ ავარიულ მდგომარეობაში მყოფი წყალქვეშა მცურავი საშუალების ეკიპაჟის სიცოცხლე ჰაერის მარაგზეა დამოკიდებული, სულერთია, იქნება ეს 150-კაციანი ატომური წყალქვეშა ნავი თუ ორკაციანი სამეცნიერო-საკვლევი აპარატი. ჟანგბადის დასაზოგად, როცა შექმნილი მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, დაზიანებული ნავის მეზღვაურები ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები იმოძრაონ.**

# წყალქვეშა კატასტროფები



## სამაშველო ოპერაციები

ადამიანი თითოეულ ამოსუნთქვაზე გამოყოფს ნახშირორჟანგს, რომლის კონცენტრაციამ დახშულ სივრცეში სახიფათო მნიშვნელობას რომ არ მიაღწიოს, საჭიროა მისი ჰაერისგან მოშორება. ამისათვის წყალქვეშა აპარატებში ლითიუმის ჰიდროჟანგს იყენებენ. ჰაერში ნახშირორჟანგის დასაშვები ნორმა 0,5%-ს არ უნდა აღემატებოდეს. კონცენტრაციის 3-4%-ის ზევით მატებისას ადამიანს სალი აზროვნების უნარი ეკარგება, ხოლო 10%-ზე გონებას კარგავს და იღუპება.

ასე რომ, ავარიული წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის გადარჩენა ჰაერის მარაგსა და საავარიო-სამაშველო ოპერაციის დროულ ჩატარებაზე არის დამოკიდებული. ასეთი ოპერაციები, განსაკუთრებით დიდ სიღრმეებზე, რთული და სახიფათო საქმეა, რომელსაც სრულყოფილი ტექნიკა და გამოცდილი სპეციალისტები ესაჭიროება. მსოფლიოში ათიოდე სახელმწიფო თუ იქნება, ვისაც ამ სახის ოპერაციების ჩასატარებელი ტექნიკური საშუალებები აქვს და მაღალპროფესიული მყვინთავები ჰყავს.

ზღვის სიღრმეში სამაშველო ოპერაციების აუცილებლობა XX საუკუნის დასაწყისში წყალქვეშა ფლოტის შექმნასთან ერთად გაჩნდა. წყალქვეშა ცურვის ისტორიაში ცნობილია 250-მდე სერიოზული ავარია (გემთან შეჯახება, მატერიალური ნაწილის დაზიანება, ხანძარი, აფეთქება, ეკიპაჟის შეცდომა და სხვ.), რომლებიც წყალქვეშა ნავის ჩაძირვით დასრულდა. რა თქმა უნდა, ამ რიცხვში არ შედის საომარი მოქმედებებით გამოწვეული დანაკარგები. ნავების 85% ისეთ სიღრმეებზეა ჩაძირული, სადაც სამაშველო ოპერაციის ჩატარება შესაძლებელი იყო.

ორი ათეული მეტრის სიღრმემდე მეზღვაურებს ავარიული ნავის დატოვება სასუნთქი აპარატის გარეშეც კი შეუძლიათ, მაგრამ სიღრმის ზრდასთან ერთად პრობლემები მატულობს. საჭირო გახდა ინდივიდუალური სასუნთქი საშუალებების შექმნა, რათა ადამიანს დიდი სიღრმეებიდან უსაფრთხო ამოყვინთვის შესაძლებლობა მისცემოდა.

1906 წელს გამომგონებელმა დევისმა ბრიტანეთის წყალქვეშა ფლოტს საკუთარი კონსტრუქციის ინდივიდუალური სასუნთქი აპარატი შესთავაზა, რომელიც საკმაოდ დიდი და მოუხერხებელი იყო. უფრო სრულყოფილი აპარატი გერმანულმა ფირმა „დრეგერმა“ შექმნა. 1912 წლიდან „დრეგერის“ აპარატებით გერმანული წყალქვეშა ნავებიც აღიჭურვა. გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ბრიტანეთის ფლოტმა შეიარაღებაში დევისის გაუმჯობესებული კომპაქტური სასუნთქი აპარატები მიიღო. ამერიკის ფლოტი ანალოგიური დანიშნულების, კონსტრუქტორ მომსენის მიერ შექმნილ აპარატებს იყენებდა.

დევისის აპარატები რეალურ პირობებში ბრიტანელმა მეზღვაურებმა პირველად 1931 წლის 9 ივნისს, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გამოსცადეს. ნისლიან ამინდში სწავლების დროს წყალზევით მყოფი წყალქვეშა ნავი „პოსეიდონი“ ჩინურ სატვირთო გემს, „იუ-ტას“ დაეჯახა. ეკიპაჟის 31-მა მეზღვაურმა მოასწრო ნავის დატოვება, 13 დაჯახებისას დაიღუპა, ხოლო 8 სატორპედო ნაკვეთურში 40 მეტრის სიღრმეზე ჩაკეტილი დარჩა. დევისის აპარატმა 6 მათგანს წყალქვეშა ტყვეობიდან თავის დაღწევისა და ამოყვინთვის საშუალება მისცა.

საბჭოთა წარმოების იზოლირებული სასუნთქი აპარატი ИДА-59 ჟანგბად-ჰელიუმის 5-საათიან მარაგს იტევს და 120 მეტრის სიღრმიდან ამოყვინთვაზეა გათვლილი. აპარატები წარმატებით გამოიყენეს 1983 წლის 25-27 ივნისს ფრთოსანრაკეტებიანი ატომური წყალქვეშა ნავის, K-429-ის ეკიპაჟის 41 მეტრის სიღრმიდან ამოსაყვანად. მაშინ 118-დან 102 მეზღვაურის გადარჩენა მოხერხდა.

ბრიტანული ინდივიდუალური მაშველი აპარატით Mk8 SEIS 180 მეტრის სიღრმიდან ამოყვინთვა შეიძლება. მასში შედის გასაბერი კაპიუშონი სახეზე ჩამოსაფარებელი გამჭვირვალე ნაწილით, გასაბერი მაშველი ჟილეტი, დათბუნებული ჰიდროკომბინეზონი და სასუნთქი აპარატი, რომელიც 40 წუთის განმავლობაში

წყლის ქვეშ ყოფნის საშუალებას იძლევა.

დღემდე წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებისათვის ძირითად მაშველ საშუალებად მაინც ინდივიდუალური სასუნთქი აღჭურვილობა რჩება, რომელიც გარანტირებულ ამოყვინთვას 90-100 მეტრიდან უზრუნველყოფს. თუმცა შესაძლო ეფექტიანობა 140-150 მეტრის სიღრმემდე ვრცელდება.

დიდი სიღრმეებიდან თავისუფალი ამოყვინთვის შემთხვევები წყალქვეშა ფლოტს ჯერჯერობით არ ახსოვს და ამას თავისი ახსნა აქვს. წყალქვეშა ნავის დასატოვებლად მეზღვაურმა უნდა ჩაიცვას ჰიდროკომბინეზონი (ორგანიზმის გადაციების ასაცილებლად), გამოვიდეს ჩაძირული ნავიდან და ამოყვინთვა დეკომპრესიის დაცვით შეასრულოს, ანუ განსაზღვრულ სიღრმეებზე გარკვეული დროით შეჩერება შეძლოს. ჩაძირულ წყალქვეშა ნავში, სადაც ჰაერის მარაგი შეზღუდულია, დაბალი ტემპერატურაა და ადამიანი ცოცხლად დამარხულივით არის, ძნელია ინსტრუქციების ზედმიწევნით დაცვა. მით უფრო, როცა მეზღვაური დაჭრილი ან მოწამლულია და სტრესულ მდგომარეობაშია.

დიდი სიღრმიდან ამოყვინთვა დეკომპრესიის დაცვით ცივ წყალში ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია და არსებობს რეალური საშიშროება, რომ ადამიანმა ყველა მოთხოვნა არ შეასრულოს. შედეგად ვითარდება კესონური ავადმყოფობა და წყლის ზედაპირზე ამოსვლა შესაძლოა სიკვდილითაც დასრულდეს.

გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს იტალიისა და ესპანეთის წყალქვეშა ნავების აღჭურვილობაში შევიდა ერთ და ორადგილიანი, მრავალჯერადი გამოყენების ამომყვინთავი კამერები, რომლებსაც ყოველგვარი დეკომპრესიის გარეშე შეეძლო ეკიპაჟის სიღრმიდან ამოყვანა.

კამერა ერთადერთხელ 1989 წლის 7 აპრილს, ნორვეგიის ზღვაში გამოიყენეს, სადაც საბჭოთა ატომურ წყალქვეშა ნავს, „კომსომოლეცს“ ხანძარი გაუჩნდა. ნავზე ცეცხლის ჩაქრობა ვერ მოხერხდა და ის ფსკერისაკენ წავიდა. ჩაძირვისას „კომსომოლეცის“ ბოგურაში დაყენებული ამომყვინთავი კამერა 500-600 მეტრის სიღრმეზე ნავს მოსწყდა და ამოტივტივდა. ზღვის ზედაპირზე წნევათა სხვაობამ კამერას სახურავი ახადა და ერთი მეზღვაური ამოაგდო. 4 გონებადაკარგული კი შიგნით დარჩა და უკან, ზღვის სიღრმისაკენ გაიყოლა.

ამომყვინთავი კამერებით არის აღჭურვილი გერმანიაში ინდოეთისათვის აგებული „შიშუმარის“ სერიის წყალქვეშა ნავები. კამერას 260 მეტრამდე სიღრმიდან ერთდროულად 40 კაცის გამოყვანა შეუძლია.




უმეტეს შემთხვევებში ავარიული წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებისათვის დახმარების გაწევა მაინც საავარიო-სამაშველო სამსახურის სწრაფ და ოპერატიულ მუშაობაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე საავარიო-სამაშველო სამსახურის განკარგულებაში მრავალფეროვანი ტექნიკაა: სპეციალური გემები ჩაძირული წყალქვეშა ნავების ამოსაწევად, ღრმა წყლების სამაშველო აპარატები, ღრმა წყლებში მომუშავე მყვინთავები შესაბამისი აღჭურვილობით და სხვ.

პირველი შედეგიანი სამაშველო ოპერაცია 1919 წლის 2 ივნისს ჩილელმა მაშველებმა ჩაატარეს, როცა წყალქვეშა ნავი „რუკუმილიას“ ეკიპაჟი გადაარჩინეს. მატროსის შეცდომის გამო ნავი 37 მეტრ სიღრმეზე ჩაიძირა. ავარიის შესახებ მალე გახდა ცნობილი და 2 საათის შემდეგ მცურავი ამწეები „რუკუმილიას“ ფსკერიდან ეწეოდნენ. ეკიპაჟი გადარჩა.

უნიკალური ოპერაცია ჩატარდა 1957 წლის 22 აგვისტოს შავ ზღვაში. 84 მეტრის სიღრმეზე შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავი M-351 აღმოჩნდა. სანამ მცურავი ამწეები M-351-ის სიღრმიდან ამოწევას შეძლებდნენ, 4 დღის განმავლობაში მყვინთავები ნავს ჰაერს აწვდიდნენ. დახმარების წყალობით 33-ვე მეზღვაურის გადარჩენა მოხერხდა. ასეთი უმარტივესი ხერხით მცირე წყალწყვის წყალქვეშა ნავებისათვის დახმარების გაწევა მხოლოდ მყვინთავებისათვის დასაშვებ პატარა სიღრმეებზეა შესაძლებელი.

სამაშველო ტექნიკის განვითარების მომდევნო ეტაპი მაშველი ზარის შექმნასთან არის დაკავშირებული. 1939 წლის მაისში ამერიკული წყალქვეშა ნავი „სკვალუსი“ ავარიის შედეგად 73 მეტრ სიღრმეზე დაეშვა. ავარიიდან 28 საათის შემდეგ მაშველი გემი „ფალკონა“ შემთხვევის ადგილზე იყო. გამოცდილი მყვინთავების დახმარებით „ფალკონადან“ ჩაშვებული მაშველი ზარი „სკვალუსის“ კომინგს-მოედანზე დამაგრდა და ეკიპაჟის ევაკუაცია დაიწყო. ზარის დახმარებით 6 საათის განმავლობაში, 4 ჩაშვებით, ნავიდან 33 მეზღვაურის გამოყვანა მოხერხდა.

მაშველი ზარით გამოწვეულ ოპტიმიზმსა და „სკვალუსიდან“ მეზღვაურთა გადარჩენის შედეგიან ოპერაციას 14 წლის შემდეგ დიდი მარცხი მოჰყვა.

1953 წელს, როცა თურქულ „დუმლუპინარს“ დახმარება დასჭირდა, მაშველმა ზარმა თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა. ძლიერი წყალქვეშა დინება ზარის კომინგს-მოედანზე გაჩერებას ხელს უშლიდა. „დუმლუპინარი“ 81 თურქი მეზღვაურისათვის ძმათა სასაფლაოდ გადაიქცა.

მაშველი ზარის გამოყენება შედეგიანია იმ შემთხვევაში, როცა ამინდი ხელსაყრელია და უზრუნველყოფის გემი ავარიული წყალქვეშა ნავის თავზე ფიქსაციის საიმედო სისტემით არის გაჩერებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარი ნავის კომინგს-მოედანზე ზუსტად დაჯდომას ვერ შეძლებს და სამაშველო ოპერაცია შეიძლება უშედეგოდ დასრულდეს.

პრინციპულად ახალი სამაშველო სისტემების შექმნას ბიძგი ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის, „ტრეშერის“ კატასტროფამ მისცა. 1963 წელს საცდელი ცურვისას „ტრეშერი“ 2500 მეტრის სიღრმეზე დაიღუპა. ასეთ სიღრმეზე არსებული საშუალებების გამოყენება შეუძლებელი იყო. ამიტომ გაკეთდა მაშველი ზარისა და წყალქვეშა თვითმავალი აპარატის კომბინაცია, რომელიც ამინდისაგან დამოუკიდებლად ჩაძირულ ობიექტს თვითონვე მოძებნიდა და კომინგს-მოედანზე მყვინთავთა გარეშე დაჯდომას შეძლებდა; აღჭურვილი იქნებოდა სპეციალური სისტე-

მით, რომელიც ავარიული წყალქვეშა ნავის დაგვერდების ან დიფერენტის შესაბამისად აპარატის ავტომატურ რეგულირებას მოახდენდა; მოახერხებდა ავარიული ნავის ეკიპაჟისათვის კვების პროდუქტების, რეგენერაციის საშუალებების, თბილი ტანსაცმლის გადაცემას, ადამიანების ევაკუაციასა და მაშველ გემებზე გადაყვანას, ხოლო მექანიკური სამუშაოების შესასრულებლად სხვადასხვა სახის მანიპულატორებით აღიჭურვებოდა.

1973 წლისათვის აშშ-ის ფლოტს უკვე ჰყავდა 32 ტონა წყალწყვის DVSP-1 „მისტიკი“ და DVSP-2 „ეველონი“. თითოეულ აპარატს სამაშველო ოპერაციების ჩატარება 1500 მეტრის სიღრმემდე შეუძლია და ერთ გზობაზე 24 მეზღვაური გამოჰყავს. აპარატების ტრანსპორტირება თვითმფრინავებით შესაძლებელია, ხოლო ავარიის ადგილამდე მიტანას სპეციალური გემი ან ატომური წყალქვეშა ნავი უზრუნველყოფს. უშუალოდ ჩაძირული ობიექტის ძებნას, კომინგს-მოედანზე შეპირაპირებას და მეზღვაურთა ევაკუაციას აპარატის ეკიპაჟი დამოუკიდებლად აწარმოებს.

მსგავსი დანიშნულების აპარატები აქვს: იაპონიას „ტიჰირო“, შვეციას URF, იტალიას MSM 1, ავსტრალიას ASPV, დიდ ბრიტანეთს LP 5, კანადას, გერმანიას, საფრანგეთს. აპარატების ჩაყვინთვის სიღრმე 365-დან 1050 მეტრამდე მერყეობს. ეს ის სიღრმეებია, სადაც თანამედროვე დიზელელექტრონული და ატომური წყალქვეშა ნავების კორპუსები წყლის დაწოლის ძალას უძლებენ.

ანალოგიური დანიშნულების აპარატების შესაქმნელი სამუშაოები მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირშიც, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ატომური წყალქვეშა ფლოტი შექმნა. 1955-93 წლებში საბჭოთა კავშირმა 234 ატომური წყალქვეშა ნავი ააშენა. უფრო მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (179), დიდმა ბრიტანეთმა (24), საფრანგეთმა (12) და ჩინეთმა (6) ერთად. საბჭოთა პროექტების წყალქვეშა ნავებს ჩაყვინთვის სამუშაო სიღრმე 320-420 მეტრი, ხოლო ზღვრული კი 400-500 მეტრი ჰქონდა. ტიტანისკორპუსიანი ზოგიერთი ნავი 1000 მეტრის სიღრმემდეც კი ეშვებოდა.

მრავალრიცხოვანი იყო საბჭოთა წყალქვეშა სამაშველო აპარატების რაზმი, რომელიც სხვადასხვა პროექტის ორ ათეულამდე აპარატს აერთიანებდა. არსებული ინფორმაციით, საბჭოთა წყალქვეშა მაშველ აპარატებს 500 მეტრამდე სიღრმეზე ჩაძირული წყალქვეშა ნავებისათვის დახმარების გაწევა შეეძლო.

საბჭოთა კავშირში სპეციალურად სამაშველო ოპერაციებისათვის 940-ე პროექტის 2 წყალქვეშა ნავი აიგო. 1976 წელს წყნარი ოკეანის ფლოტს БС-486, ხოლო 1979 წელს ჩრდილოეთის ფლოტს БС-257 შეემატა. წყალქვეშა ნავები შეიარაღების გარეშე იყო და სამაშველო, საძიებო-საკვლევი სამუშაოებისათვის 1837-ე პროექტის ორ-ორ აპარატს ატარებდნენ. მოგვიანებით აპარატებს მოდერნიზაცია ჩაუტარდა და ჩაყვინთვის სიღრმე 550 მეტრამდე გაიზარდა.

**მყვინთავის სკაფანდრმა XX საუკუნის დასაწყისიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე სერიოზული ცვლილებები განიცადა...**





საბჭოთა სამაშველო სამსახურის წარმატებულ ოპერაციად ითვლება С-178-დან მეზღვაურების გადარჩენა. 1981 წლის 21 ოქტომბერს დიზელელექტრონული წყალქვეშა ნავი С-178 იაპონიის ზღვაში თბომავალ „რეფრიჟერატორ-13“-ს დაეჯახა და 32 მეტრის სიღრმეზე ჩაიძირა. მეორე დღიდან სამაშველო ოპერაციაში БС-486 ჩაერთო. არაორგანიზებულობის გამო ოპერაციის დროს 6 მეზღვაური დაიღუპა, ხოლო ამდენივე წყლის ქვეშ წყალქვეშა ნავიდან БС-486-ში გადავიდა, სადაც დეკომპრესია გაიარეს.

რუსეთს საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით მძლავრი ატომური წყალქვეშა ფლოტი დარჩა, რომელსაც სრულყოფილი ხომალდებით, წყალქვეშა აპარატებითა და საყვინთი ტექნიკით აღჭურვილი თანამედროვე საავარიო-სამაშველო სამსახური ესაჭიროება. რუსეთის წყალქვეშა ფლოტის ბოლოდროინდელი კატასტროფებიდან ჩანს, რომ ასეთი რუსული სამსახური სერიოზულად მოიკოჭლებს, როგორც ტექნიკის, ასევე პრობლემისადმი მიდგომის მხრივაც.

2000 წლის 12 აგვისტოს 11.30 ტორპედოების დეტონაციის შემდეგ დაზიანებული ატომური წყალქვეშა ნავი К-141 „კურსკი“ 108 მეტრის სიღრმეზე ჩაიძირა. კატასტროფის შესახებ ჩრდილოეთის ფლოტის სარდლობისათვის 12 საათის შემდეგ გახდა ცნობილი.

აფეთქების შემდეგ ეკიპაჟის დიდი ნაწილი დაიღუპა, გადარჩენილები მე-9 ნაკვეთურიდან კორპუსზე კაკუნით დახმარებას ითხოვდნენ. 14 აგვისტოს „კურსკზე“ ღრმა წყლების მაშველი აპარატი АС-34 (АС-28-ის ანალოგიური) დაეშვა, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო კომინგს-მოედანზე შეპირაპირება არ გამოვიდა. ვერც ღრმა წყლებში მომუშავე მყვინთავების გამოყენება მოხერხდა. რუსეთმა დასავლე-

**დიდ სიღრმეზე მომუშავე მყვინთავი ნორმობარულ სკაფანდრში**



ეროვნული ბიბლიოთეკა



სტანდარტული სამაშველო კამერა ამერიკული წყალქვეშა ნავიდან

თის ქვეყნების დახმარებაზე უარი თქვა, საკუთარი საშუალებებით კი მეზღვაურები ვერ იხსნა.

„კურსკის" ამოწევის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მე-9 ნაკვეთურში 23 მეზღვაურიდან 19-ს ინდივიდუალური სასუნთქი აპარატი ჰქონდა, მაგრამ ფიზიკურად დასუსტებულ ადამიანებს ეშინოდათ, რომ ამოყვინთვისას 108 მეტრის სიღრმიდან დეკომპრესიას ვერ გაუძლებდნენ. ამ დროს ძალზე მნიშვნელოვანია სამაშველო ოპერაციის დროული დაწყება და ეკიპაჟისათვის დახმარების გაწევა.

ბუნებრივია, „კურსკის" დაღუპვის შემდეგ დასკვნები გაკეთდა და წყალქვეშა საავარიო-სამაშველო სამსახურისათვის 2001 წლის გაზაფხულზე დიდ ბრიტანეთში მრავალფეროვანი წყალქვეშა ტექნიკა იყიდეს. მათ შორის არის: 2 ტელემართვადი სამუშაო წყალქვეშა აპარატი „ვენომი" (ჩაყვინთვის სიღრმე 1000 მეტრი) სხვადასხვა სახის სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად, 5 მცირე ზომის ტელემართვადი წყალქვეშა აპარატი „თაიგერი" (ჩაყვინთვის სიღრმე 1000 მეტრი) ობიექტის ძებნა-გამოკვლევისათვის, 5 წყალქვეშა სატელევიზიო კომპლექტი 300 მეტრამდე სიღრმეში ობიექტის ტელეგამოსახულებების გადმოსაცემად, 5 სატრანსპორტო ბაროკამერა მყვინთავებისათვის დეკომპრესიის გასავლელად. კანადაში იყიდეს 4 ნორმობარული სკაფანდრი NNS-1200, რომელიც 400 მეტრამდე ჩაყვინთვის საშუალებას იძლევა. ასეთი სკაფანდრი ძალიან ძვირი, დაახლოებით 1,5 მლნ დოლარი ღირს.

2005 წლის 3 აგვისტოს სუპერთანამედროვე ტექნიკით აღჭურვილმა რუსულმა სამაშველო სამსახურმა პეტროპავლოვსკ-კამჩატსკიდან სამხრეთით 75 კილომეტრში მყოფ ბატისკაფ AC-28 (პ.1837)-ს 200 მეტრის სიღრმეზე ვერაფერი უშველა.

ამჯერად ოპერაციაში უცხოელები მონაწილეობდნენ. რუსეთმა პირველად შეძლო საიდუმლოების გამჟღავნების სინდრომისათვის თავი დაეღწია, ადამიანების სიცოცხლე წინ წამოეწია და დახმარებაზე უარი არ ეთქვა. ბრიტანელი ოპერატორების მაღალმა პროფესიულობამ და „სკორპიონის" შესაძლებლობებმა რუსი მეზღვაურები სიკვდილს გადაარჩინა.

მოგვიანებით რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ განკარგულებაშია ღრმა წყლების ტექნიკა და მყვინთავები, რომლებსაც 200 მეტრ სიღრმემდე დახმარების გაწევა შეუძლიათ. რეალურად კი ავარიულ სიტუაციაში მყოფი აპარატისათვის დახმარების გაწევა ვერ მოხერხდა, რადგან რაზმი თურმე უკვე კარგა ხანია დიდ სიღრმეებზე ჩაშვებაში აღარ ვარჯიშობს.

აღსანიშნავია, რომ 1973 წლის 1-ელ აგვისტოს ატლანტის ოკეანეში ირლანდიის ქალაქ კორკიდან სამხრეთ-დასავლეთით 150 მილში, 480 მეტრ სიღრმეზე ჩაიძირა კანადური მკვლევარი აპარატი „პაისის-3" 2 ოპერატორით ბორტზე. კანადელმა მაშველებმა მაშინ აჟიოტაჟის გარეშე, ავარიიდან 80,5 საათის შემდეგ, შეძლეს აპარატის ამოწევა. არადა, „პაისის" ოპერატორებს 30 წუთის ჰაერის მარაგი რჩებოდათ.

ნებისმიერი სახის წყალქვეშა საავარიო-სამაშველო ოპერაცია მყვინთავთა მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია. საყვინთავმა ტექნიკამ, განსაკუთრებით ღრმა წლებში ჩაშვებისას, უკანასკნელ წლებში დიდი პროგრესი განიცადა, თუმცა პატარა სიღრმეებზე ისევ ძველ და ტრადიციულ მეთოდებს იყენებენ.

დაახლოებით 60 მეტრამდე სიღრმეზე მყვინთავები შეკუმშული ჰაერით სუნთქავენ. უფრო მეტ სიღრმეებზე ჰაერის გამოყენება უკვე აღარ შეიძლება, რადგან აზოტი ნარკოტიკისმაგვარ მოქმედებას, ხოლო ჟანგბადი ორგანიზმის მოწამვლას იწვევს. დახლოებით 300 მეტრამდე სიღრმეზე გამოიყენება ღრმა წყლების სკაფანდრი, რომელშიც მყვინთავი ჟანგბად-ჰელიუმის ნარევით სუნთქავს. ჰელიუმი მსუბუქი, ნეიტრალური გაზია, რომელიც წნევის ქვეშ სუნთქვას, ჰაერთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლებ წინააღმდეგობას უქმნის. ჰელიუმის ნაკლია ჰაერზე 7-ჯერ მეტი თბოგამტარობა. როცა ადამიანი ჰელიუმ-ჟანგბადის ნარევით სუნთქავს, 34 გრადუსზე სიცივისაგან იყინება. დიდ სიღრმეებზე ჩაშვებისას მყვინთავებს აცვიათ ელასტიკური, სველი ტიპის სკაფანდრი, რომელსაც გასათბობად 75 გრადუსამდე გაცხელებული წყალი მიეწოდება. სკაფანდრის გათბობის აუცილებლობას სხვა მიზეზიც აქვს – დიდ სიღრმეებში ზღვის ფსკერზე წყლის ტემპერატურა ძალზე დაბალია და 2-4 გრადუსს შეადგენს.

ღრმა წყლებში მუშაობის ყველაზე შედეგიან ოპერაციად უნდა ჩაითვალოს 260 მეტრის სიღრმეზე ინგლისურ კრეისერ „ედინბურგიდან" 1981 და 1986 წლებში ოქროს ზოდების ამოღება. კრეისერი 1942 წლის 30 აპრილს ჩაიძირა ბარენცის ზღვაში, როცა მურმანსკიდან ინგლისში დაახლოებით 5,5 ტონის 465 ოქროს ზოდი გადაჰქონდა. პირველი ექსპედიციის დროს, 1981 წელს, მყვინთავებმა 431 ზოდი ამოიღეს, 1986 წელს კი 29 (345 კილოგრამი).

ჩაშვების წინ მყვინთავები მაშველი გემის ბაროკამერაში 215 მეტრის შესაბამის წნევას ეგუებოდნენ, ხოლო ჩაშვება საყვინთავი ზარის დახმარებით ხდებოდა. ზარში 3 მყვინთავი იყო. ორი უშუალოდ „ედინბურგზე" მუშაობდა და თან შლანგებს (სასუნთქი ნარევი, სკაფანდრის გასათბობი წყალი), კავშირის, სატელევიზიო გადაცემებისა და განათების კაბელებს ატარებდნენ. მესამე მყვინთავი დამზღვევის როლს ასრულებდა და საყვინთავ ზარში რჩებოდა.

უფრო დიდ სიღრმეებზე, კერძოდ, 600 მეტრამდე ყვინთვისას გამოიყენება ე. წ. ნორმობარული სკაფანდრები. მასში მყვინთავი ჩვეულებრივი ატმოსფერული წნევის ქვეშ არის, არ ესაჭიროება დეკომპრესია, არ ემუქრება აზოტითა და ჟანგბადით მოწამვლა. ფაქტობრივად, სკაფანდრი მინიწყალქვეშა ნავს წარმოადგენს. ნორმობარული სკაფანდრების გამოჩენა ნავთობის წყალქვეშა მოპოვებისა და ნავთობმომპოვებელი პლატფორმების ექსპლუატაციის შედეგია.

ერთ-ერთი მაღალი დონის ცნობილი მყვინთავი საქართველოშიც არის ნამყოფი. 1999 წლის ოქტომბერში, ფოთში, მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ფრანგული კორვეტი „კარტიე მეტრ ანკეტილი" და ფრანგ მყვინთავთა სამკაციანი ჯგუფი. მათ შორის იყო საფრანგეთის ფლოტის კაპიტან-ლეიტენანტი მიშელ მორენო, რომელიც 460 მეტრ სიღრმეზეა ჩაშვებული. მყვინთავების ჩამოსვლის მიზეზი ფოთის სამხედრო პორტში 3-5 მეტრ სიღრმეზე ნახევრად ჩაძირულ მდგომარეობაში დატოვებული 3 რუსული სამხედრო ხომალდი გახდა. ფრანგებმა ხომალდები დაათვალიერეს, ტრიუმებში ფეთქებადი მასალები ვერ ნახეს და ქართველ სამხედროებს ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

*თემურ ჩაჩანიძე*

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ოფიცრის წოდება; 6. ვაჭარი ძველად, რომელიც ჯარს ლაშქრობაში მისდევდა და ყიდდა სურსათს და სხვა წვრილმანს; 7. იგივეა, რაც ტროა; 10. შეიარაღებული კონფლიქტი; 11. ჯარების გადაადგილება საომარ ვითარებაში; 14. ისრაელის საკავშირო თანამგზავრი; 15. ამერიკული ტაქტიკური გამანადგურებელი; 18. პატარა სწრაფმავალი ტანკი, რომელიც შეიარაღებულია ერთი ან ორი ტყვიამფრქვევით; 19. ზღვის მეკობრე; 21. რესტორანი გერმანიაში; 23. ჯგუფ „ბითლზის" ერთ-ერთ წევრი; 24. ქართული ტელეკომპანია; 25. აშშ-ის სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი მთავარი პოლიგონი; 26. პირის ნაცვალსახელი; 28. რუსული თვითმფრინავის მარკა; 29. სამხედრო სამსახურში თავისი ნებით წასული; 33. წარღვნის შემდგომი კაცობრიობის მამამთავარი; 34. ამერიკული ყველგანმავალი ავტომობილი; 35. მოწინააღმდეგის დამარცხება; 36. ორკორპუსიანი გემი.

**შვეულად:** 1. მშვილდის ბაწარი; 2. ცენტრალურ და შუა აზიის ხალხთა გადასატანი საცხოვრებელი ქეჩის კარავი; 3. ავსტრალიური დისტანციური მართვის გამნაღმველი მანქანა; 4. ლუდის მასალა; 5. საჭიდაო ხალიჩა; 8. გემის სვლის სიჩქარისა და გავლილი მანძილის გასაზომი ხელსაწყო; 9. ავტოდრომი იტალიაში; 10. იაპონიის პორტი, სადაც განლაგებულია იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა; 11. ძველებური მრავალლულიანი იარაღი; 12. აგრესიის განუხრელი გაფართოების, გაძლიერების სტრატეგია; 13. თავბრუ; 16. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი; 17. სისხლის სამართლის დანაშაული; 19. რაინდი მეფის ამალაში, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 20. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვით; 22. ამერიკისა და იაპონიის საზღვაო ქვეითი ჯარების ავიაბაზა კუნძულ ჰონსიუზე; 27. მსხდომი საარტილერიო ჭურვი; 29. სისხლის ალების ადათი სარდინიასა და კორსიკაზე; 30. განიერი ფერადი ზოლი, დაყოლებული ფორმის შარვლის გვერდით ნაკერზე; 31. ნორვეგიელი მოგზაურის, ტურ ჰეიერდალის ერთ-ერთი ნავი; 32. დიდი შეჯიბრება იალქნიანი, ნიჩბიანი ან მოტორიანი ნავებით.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის" პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. ჰაუპტვახტი; 6. ულტიმატუმი; 7. იარდი; 8. ოკა; 13. არტილერია; 14. ჭოგრი; 16. ოზარიო; 17. ფლანგი; 18. კიტელი; 19. არმადა; 21. ბასიჯი; 22. ელინგი; 25. ატაშე; 27. კოლი; 28. სპირფიში; 30. დიქტატურა; 31. ინდიგო; 32. დანა. ***შვეულად:*** 1. ჰაუბიცი; 2. უნტერი; 3. ტამპინო; 4. აუტი; 5. ტომსკი; 9. ნატო; 10. ატლანტისი; 11. დემობილიზაცია; 12. ურნა; 15. ბრიგანტინი; 17. ფეარლესი; 18. კუბრიკი; 20. მითი; 23. ნეი; 24. ლინქსი; 26. ესკადრა; 29. ხუნტა; 30. დანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისი უდიდებულესობა სპირტი

***გამოცდილი ხალხის აზრით, თუ შორ გზაზე მიდიხარ, მათარით სპირტიც უნდა წაიღო. „შორ გზაში" ტურისტული და ალპინისტური ლაშქრობები, სამხედრო-საველე ვარჯიშები, ნადირობა და თევზაობა იგულისხმება. ვფიქრობთ, ამ სტატიას რომ ჩაიკითხავთ, თქვენც იმავე მოსაზრებას გაიზიარებთ...***



$C_2H_5OH$

რატომ მაინცდამაინც სპირტი და არა კონიაკი, არაყი ან ვისკი? პასუხად რამდენიმე მიზეზის დასახელება შეიძლება: უპირველეს ყოვლისა, სპირტი ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის შემადგენელი ნაწილია, ოღონდ წყლისა და სხვა კომპონენტთა გარეშე.

მეორე – სპირტის სასმელად გადაქცევა, რა თქმა უნდა, სამკურნალო მიზნებისთვის, დიდ შრომას არ საჭიროებს, მაშინ, როცა არყის სპირტად გადაკეთება სპეციალურ მოწყობილობებს მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს მისი გრადუსის, ანუ სიმაგრის გაზრდა და არა ორგანიზმზე მისი ზემოქმედების გაძლიერება, რაც ერთობ ადვილია.

მესამე დადებითი თვისება, რაც სპირტს არაყთან შედარებით აქვს, უფრო მნიშვნელოვანია და აი, რატომ: სპირტს შეუძლია წყალს ნებისმიერი თანაფარდობით შეერიოს, შეერიოს და არა გაიხსნას მასში. საინტერესო ფაქტია ის, რომ სპირტისა და წყლის ნაზავი უფრო ნაკლები მოცულობისაა, ვიდრე მათი საწყისი მოცულობების ჯამი. მათი გაზავება სითბოს გამოყოფით მიმდინარეობს, რის გამოც ჭურჭელიც, რომელშიც სითხის ნაზავი მზადდება, თბება. სპირტისა და წყლის გაზავების დროს თბობის შემცირება ჭურჭელში ჰაერის ნაკადის გადაკეტვით შეიძლება. უბრალოდ, თითი ან ხელისგული დააფარეთ ბოთლს ან ჭიქას.

არყის ტოლფასი სითხის მისაღებად უმჯობესია, სპირტს დავუმატოთ წყალი და არა – პირიქით. მათი შერევა ხდება 1:1,5 თანაფარდობით. ე. ი. 0,5 ლ არყის მისაღებად საჭიროა 200 გრამ სპირტზე ოდნავ ნაკლები. გარდა ამისა, გემოს შესარბილებლად აუცილებელია ნარევს დავამატოთ შაქარი იმ რაოდენობით, რამდენსაც დანის წვერი დაიტევს. საჭიროა სუფრის მარილისა და ლიმონმჟავის მცირე რაოდენობით დამატებაც.

სპირტის ორგანიზმზე ზემოქმედება დამოკიდებულია მის რაოდენობაზე (მილიგრამები თუ ლიტრები), ხარისხზე (წმინდა თუ მინარევებიანი), გამოყენებულ სითხეში მის კონცენტრაციასა (რამდენიმე მოცულობითი პროცენტიდან აბსოლუტურ უსითხომდე) და გამოყენების მეთოდებზე (შინაგანი თუ გარეგანი). გარეგანი გამოყენების დროს სპირტი დაუზიანებელ კანში ისე იოლად აღწევს, როგორც შინაგანად მისი გამოყენების დროს. ამასთან, ზეგავლენას ახდენს არა მარტო კანზე, სხეულის სხვა ქსოვილებსა და მთლიანად ორგანიზმზეც.

გარეგანი და ასევე შინაგანი მოხმარების ეფექტიანობა დამოკიდებულია გამოყენებულ სითხეში სპირტის კონცენტრაციაზე.

სპირტიანი კომპრესის გამათბობელი მოქმედება დაახლოებით 40 გრადუსის კონცენტრაციის შემთხვევაში მჟღავნდება. 70-გრადუსიან სპირტს აქვს მაქსიმალურად ანტისეპტიკური (ბაქტერიის საწინააღმდეგო) თვისება, რის გამოც ქირურგები მას ოპერაციის წინ ხელების დეზინფიცირებისთვის იყენებენ. 90-გრადუსიანი სპირტი კანში ღრმად ვერ აღწევს, სამაგიეროდ, აუხეშებს და აშრობს მას. ასეთივე სპირტის კონცენტრატი ხელს უწყობს კუჭის წყლულის მოშუშებას, ოღონდ ზონდის გამოყენების შემთხვევაში.

საველე პირობებში 70-გრადუსიანი კონცენტრატის მისაღებად 150 გრამ სპირტს უნდა დავუმატოთ 50 გრამი წყალი. წყლის ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მასში არსებული ყველა ბაქტერია სპირტის შერევისთანავე ნადგურდება. ამგვარი სითხით ამუშავებენ სხეულის ჩალურჯებულ ადგილებს და წვრილმან ჭრილობებს. თუ მძიმე ჭრილობის დამუშავება გიწევთ (ქირურგიული იარაღების დეზინფიცირება ცეცხლის ალზე შეიძლება), როგორიცაა ღრმა ან ფართო ჭრილობები, რომლებიც გამჭოლად კვეთს სხეულს და თან უხვი სისხლდენა ახლავს, უნდა დაამუშაოთ არა იოდითა და სპირტით, არამედ მარგანეცის ხსნარით ან წყალბადის ზეჟანგით. გახეხილი და აქერცლილი კანის დამუშავება კი სუფთა სპირტით სჯობია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მისი გამომშრობი თვისების გამო.

სპირტის შემცველ ყველა სამკურნალო პრეპარატს – ვალოკორდინს, იოდს და ა.შ., ამზადებენ 70-გრადუსიანი სპირტის საფუძველზე. ასეთი კონცენტრაციის სითხე იოლად აღწევს სხეულის ქსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილში და კომპრესისთვისაც ოპტიმალური საშუალებაა. სპირტის ან არყის საფენების მტკივნეულ ადგილებზე ზემოქმედების სპექტრი იმდენადვე მრავალფეროვანია, რამდენადაც სასარგებლო: მცირდება ქსოვილების შეშუპება, რაც თავისთავად იწვევს ტკივილს.

სპირტი არის ნარკოტიკული ანალგეტიკიც და უშუალოდ ნერვულ დაბოლოებებზე ახდენს ზეგავლენას. ამცირებს მათ მგრძნობელობას და ანელებს ტკივილის შეგრძნებას. კომპრესით გამოწვეული კანისა და კანქვეშა ქსოვილების სისხლძარღვების გაფართოება ამ ადგილებში სისხლის მიმოქცევის მოჭარბებასა და აქედან გამომდინარე, სითბოს შეგრძნებას იწვევს.

მტკივნეულ ადგილებზე სისხლის მიმოქცევის გაძლიერება კი მათ სწრაფად მოშუშებას უწყობს ხელს.

სპირტი ადვილად ორთქლდება, ამიტომ მისი ვარგისიანობის გახანგრძლივება ამგვარად შეიძლება: სითხეში დასველებულ საფენს ზემოდან დააფარეთ პერგამენტი, პოლიეთილენი, მუშამბის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბრეზენტის ნაჭერი.

როგორც ყველა ნახშირწყალბადი, სპირტიც კარგად იწვის. ამიტომ საველე პირობებში ცეცხლის დასანთებადაც შეიძლება გამოიყენოთ, მაგრამ სპირტი სწრაფად იწვის და არც მაღალი ტემპერატურით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ მისთვისაა შექმნილი სპირტქურა. როცა სპირტქურას ან სპირტისგან დანთებულ ცეცხლს გამოიყენებთ, გაიხსენეთ ფარადეის კანონი (და არა ლავუაზიესი), რომ ცეცხლს უმაღლესი ტემპერატურა მხოლოდ ალის წვერზე აქვს. გარდა იმისა, რომ სპირტი მშვენივრად იწვის, შეუცვლელია დამწვრობის მკურნალობისას. სამწუხაროდ, მისი ეს თვისება ნაკლებად არის ცნობილი. დამწვრობის ხარისხი შედეგის მიხედვით განისაზღვრება. იგი შეიძლება იყოს I-დან IV ხარისხამდე. ყველაზე ხშირია I-II ჯგუფების დამწვრობები, რომელთა თვალით განსაზღვრაც ადვილია. I ხარისხის დამწვრობას ახასიათებს კანის გაწითლება, მცირეოდენი ტკივილის შეგრძნება და უმნიშვნელო შეშუპება. II ხარისხი ამოიცნობა კანზე წარმოშობილი ბუშტუკების რაოდენობით, რომლის დროსაც ადამიანი ტკივილს განიცდის, ბუშტუკები კი სითხით ივსება. ბუშტუკების წარმოშობის, ანუ დამწვრობის პირველი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადასვლის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალებაა წმინდა სპირტი. დამწვარ ადგილებზე უნდა დაიფინოთ სპირტის კომპრესები. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანია მზით დამწვრობის დროს (ტკივილს, რა თქმა უნდა, უნდა გაუძლოთ). მზით დამწვრობისას ხშირად სხეულის 50-დან 95%-ია დაზიანებული. მძიმე დამწვრობის შემთხვევაში, კომპრესების გაკეთება ძნელია. ამიტომ სპირტში დასველებული ქსოვილით სამი საათის განმავლობაში, საათში სამჯერ დაიზილეთ დამწვარი სხეული და გაუმჯობესებას მალე იგრძნობთ.

თუ ასეთ პროფილაქტიკას არ ჩაიტარებთ, დამწვრობის ხარისხი მოიმატებს და მიაღწევს საშუალოს ან მძიმე დონეს, რომელსაც თან ახლავს თავის ტკივილი, სისუსტე და სხეულის ტემპერატურის მატება. ავადმყოფს მოძრაობაც კი უჭირს. ოდითგანვე მსგავს შემთხვევებში დამწვარი კანის დასაზელად ზეთს, არაჟანსა და მაწონს იყენებდნენ. სამივეს სამკურნალო თვისებები იმით ვლინდება, რომ დამწვარი სხეულის კანის ზედა ფენა (ანუ ეპიდერმისი) რბილდება, არ ხმება, აქედან გამომდინარე, დამწვრობა მალე იწყებს მოშუშებას. ეს მეთოდი კარგია, მაგრამ არა საუკეთესო. წარმოვიდგინოთ, რა ზემოქმედებას ახდენს სპირტი დამწვარ კანზე, როცა მასზე ზეთის ნაცვლად ხვდება. სპირტი აშრობს, უფრო ზუსტად, სითხეს აცლის კანს, რითაც ხელს უშლის ბუშტუკებში წყლის დაგროვებას, შესაბამისად, ჩამოღვენთილობასა და შეშუპებასაც, რასაც, რა თქმა უნდა, ტკივილის შემცირებაც მოსდევს. ამ დროს დამწვარი კანის ფენის ქვეშ ქსოვილების აღდგენა იწყება. დამწვარი კანის აქერცვლა და მოშორება სპირტის პროცედურების ჩატარებიდან ათი საათის შემდეგ იწყება.

სპირტი არა მარტო დამწვრობის დროს შველის ადამიანს, იგი სასარგებლოა სხეულის გადახურების დროსაც. მცირეალკოჰოლიანი სასმელები: ლუდი ან მშრალი ღვინო სიცხის დროს ადამიანს დაკარგული სითხის აღდგენაში ეხმარება. გარდა ამისა, ოდნავ შემთვრალი ადამიანის სხეულში არახელსაყრელ პირობებში ორგანიზმის შემგუებლური მექანიზმის ამუშავებას უწყობს ხელს.

ასე რომ, მძიმე ტრავმების, ორგანიზმის გადაცივებისა და მოყინვის დროს სასურველია ვიცოდეთ, რა გარეგანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია სპირტს.

სპირტის როლის შეფასება კი, როგორც ორგანიზმის აუცილებელი ენერგიის წყაროსი და მისი მაღალკალორიულობა, ცალკე მსჯელობის საგანია.

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Действие – მოქმედება

Действие боевое – საბრძოლო მოქმედება

Действие наступательное – შეტევითი მოქმედება

Действие на фланге – ფრთაზე მოქმედება

Действие оборонительное – მოგერიებითი (თავდაცვითი) მოქმედება

Действие совместное – ერთობლივი მოქმედება

Действие штурмовое – საიერიშო მოქმედება

Дело – საქმე

Демаскировка – განნიღბვა

Десант воздушный – საჰაერო დესანტი

Десант парашутный – საპარაშუტო დესანტი

Десантник – მედესანტე

Детонатор замедленного действия – შენელებული მოქმედების დეტონატორი

Детонатор промежуточный – შუალედური დეტონატორი

ДЗОТ (дерево-земляная огневая точка) – საცეცხლე ძელმიწური

Диверсант – დივერსანტი

Дивизия ПВО (противовоздушной обороны) – ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დივიზია

Дивизия сводная – ნაკრები დივიზია

Дивизия стрельковая – მსროლელი დივიზია

Дисциплина – წესრიგი

Длина волны – ტალღის სიგრძე

Длина разбега при взлете – გაქანების სიგრძე აფრენისას

Дневалить – მედღევეობა

Дневальный – მედღევე (მორიგე ჯარისკაცი)

Дневка – დღედგომა (ლაშქრობისას)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# HUMMER H3






კონცეპტუალური H3T



Hight Utility, Maximum Mobility, Easy Rider შემოკლებით Hummer-ი სამხედრო მრავალმიზნობრივი ყველგანმავალია, რომლის სახელწოდებაც ინგლისურ სიტყვა „უროს" ესატყვისება. მათი პირველი სერიული ნიმუშები ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში 1981 წლიდან გამოჩნდა, ორი წლის შემდეგ კი გამოუშვეს კონვერსიული ყველგანმავალი „ჰამერების" საცდელი პარტია, რომელიც სამოქალაქო პირებისთვის იყო განკუთვნილი. 1999 წლიდან „ჰამერის" სავაჭრო მარკაზე უფლება გადაეცა „ჯენერალ მოტორსს", რომელმაც გადაწყვიტა მისგან გლობალური ბრენდი შეექმნა. 2002 წელს გამოჩნდა ავტომობილი Hummer H2, ხოლო 2004 წელს – მოდელი H-3, რომელიც სამხედრო Hummer-ის ბაზაზე შექმნილი სამოქალაქო ყველგანმავალია და თავის წინამორბედ „ჰამერ-2"-თან შედარებით უფრო მომცროა და იაფიც ღირს.

ფოლადის შედუღებული ჩარჩო და ტრანსმისიის ცალკეული ნაწილი კადილაკ Escalade-საგან არის გადმოღებული. მასიური საბუქსირე საშუალებები


არსენალი
Hummer H3

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხედრო ჰამერის სამოქალაქო მოდელი H1 ALPHA




მიუხედავად სიძვირისა, H2 უკვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის „სახე" გახდა



H3-ს თავის წინამორბედზე უკეთეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ამას განაპირობებს შემცირებული გაბარიტები და თითქმის განახევრებული ფასი...

საგანგებოდ არ დაუმალავთ დეკორატიული პლასტიკატით და დემონსტრაციულად აქვს გამოშვერილი. თუ მანქანას გვერდიდან შეხედავთ, თვალში გეცემათ ყველგანმავლის შესაშური გეომეტრიული მოყვანილობა, ხოლო თუ დაიხრებით და ბორბლებს ქვემოთ შეიხედავთ, დაინახავთ მასიურ ჯავშანჟილეტს, რომელიც ძრავის ზეთის კარტერსა და ტრანსმისიის აგრეგატებს იცავს. და კიდევ, მუდმივი სრული ამძრავი, ღერძთაშორის დამაკავშირებელი დიფერენციალით, ცენტრალური და უკანა ბორბლეშორისი დიფერენციალის მყარი, მექანიკური ბლოკირება და დასასრულ, გამანაწილებელი კოლოფი შემანელებელი გადაცემით.

მანქანის წინა საკიდრები დამოუკიდებლად მოქმედებს. ისინი ორ განივ ბერკეტზეა დამაგრებული, განივი მდგრადობის სტაბილიზატორით, დრეკადი ელემენტების სანაცვლოდ კი ტორსიონები აქვს დაყენებული. უკანა ხიდი მყარია, რომელიც ნახევრად ელასტიკურ რესორებს ეყრდნობა, ამ უკანასკნელსაც სტაბილიზატორი აქვს. ასეთი შასის ღირსება ის არის, რომ სიმტკიცის დიდი მარაგი და მაღალი ენერგომოცულობა აქვს. ტალღისებური გზების წინაღობებს უმცროსი „ჰამერი" ღირსეულად უმკლავდება, ხოლო ქვიან გზებზე ზოგჯერ „უსიამოვნებაც" ხვდება, რადგან უკანა მყარი ხიდის მძიმე ამორტიზაცია ვერ ასწრებს წვრილმანი წინაღობების გადალახვას. რკალური მოძრაობის დროს მანქანა ზოგჯერ ტრაექტორიიდან ვარდება, მიუხედავად იმისა, რომ დინამიკური სტაბილიზაციის სისტემა ყველა მოდიფიკაციის „ჰამერის" განუყოფელი ნაწილია.

ევროპისთვის განკუთვნილ „ჰამერი H-3"-ზე დიზელის ძრავის ჩადგმაა გათვალისწინებული, მექანიკური გადაცემების სიჩქარეთა კოლოფით. ჯერჯერობით კი „ჰამერ-უმცროსს" განივი ხუთცილინდრიანი ბენზინის ძრავა უდგას, რომლის სამუშაო მოცულობა 3460 კუბური სანტიმეტრია, ხოლო სიმძლავრე 220 ცხენის ძალა. თითქოს ცოტა არ არის, მაგრამ სისხარტით „ჰამერი-3" სარეისო ავტობუსს მოგაგონებთ. აქსელერატორის პედალს ბოლომდე აწვებით, ტაქომეტრის ისარი ხტის, მოტორი ღმუის, მანქანა კი ნელა მიგორავს.

საქმე ის არის, რომ Hummer H3 ორნახევარ ტონას იწონის, მას არა მექანიკა, არამედ არქაული „ავტომატი", ჰიდრომექანიკური წინაღობა უდგას, რომელიც თითქოს მხოლოდ იმისთვის დაუყენეს, რომ ძრავის სიმძლავრის ბორბლებისთვის გადაცემას შეუშალოს ხელი.

არც მისი მართვაა სიამოვნების მომგვრელი საჭის დაბალი მგრძნობელობის გამო. თანამედროვე ყველგანმავლები ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფალტზე უკეთესად მოძრაობენ, „ჰამერ-H3“ კი ხტის და სხვა ავტომანქანების მძღოლებს გვარიანად აფრთხობს.

მისი სალონი უფრო ფართო და მოხერხებულია, ვიდრე მისი წინამორბედისა, თუმცა მძღოლის სავარძლის ელექტრორეგულატორის კლავიშსა და გათბობის ღილაკზე ხელმისაწვდომად, შესაძლოა, საათის მოხსნაც დაგჭირდეთ, რადგან სავარძლის ბალიშსა და დახურულ კარს შორის ღრეჩო ერთობ ვიწროა. ფანჯრის ელექტროამძრავის ღილაკის მისაწვდომად კი მაჯის არაბუნებრივად შემოტრიალება მოგიწევთ, სამაგიეროდ, ადვილად ხელმისაწვდომია ჭერის ფართო სარქველი, უკანა რიგის სავარძლები კი იოლად და მოხერხებულად იშლება.

ვთქვათ, „ჰამერ-H3“-მა ასფალტიდან გადაუხვია, მძღოლმა ბლოკირება გაუკეთა ღერძთაშორის დიფერენციალს, ჩართო გამანაწილებელი კოლოფის გადაცემის შემანელებელი მოწყობილობა და დაბლოკა უკანა დიფერენციალიც. ასეთ „სრულ მზადყოფნაში“ მოძრავი „ჰამერი“ ჯუნგლებში მიმავალ სპილოს წააგავს. მძღოლს სიამოვნებს, როცა მის მოქმედებაში ელექტრონიკა არ ერთვება, რადგან „ჰამერზე“ იგი თითქმის არ არის, ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული. შეგხვდათ ბორცვი? ჩართეთ დემულტიპლიკატორი და გადალახეთ წინაღობა. გაუჭირდა მანქანას სიმაღლის დაძლევა? ჩართეთ ბორბალთშორის ბლოკირების მოწყობილობა და ისე მსუბუქად აივლით აღმართს, თითქოს ბუქსირი ჩაგიბესო.

მსგავს სიტუაციაში ავტომანქანა ისეთ წევის ძალას ავითარებს, რომ ტალახში ჩაფლული მანქანის ბუქსირით ამოთრევისას, შეუძლია იგი გაზეთივით შუაზე „გახიოს“. თუ ავტომანქანას გაუჭირდა, შეჩერდით ან ფრთხილად ჩამოგორდით უკან, გააანალიზეთ შეცდომა და კიდევ ერთხელ სცადეთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, Hummer-H3 ისეთ ადგილებს გადალახავს ღირსეულად, რაზეც ვერც ერთი მისი თანამოძმე ვერ იოცნებებდა.



H3-ს იმდენად მკაცრი მოთხოვნები წაუყენეს, არა გვგონია, მისი გამოჩენა კონკურენტებისთვის უბრალო ფაქტად დარჩეს

„ჰამერს“, ფაქტობრივად, უზარმაზარი უფასო რეკლამა უკეთდება. გინახავთ რომელიმე რეპორტაჟი საბრძოლო მოქმედებების ზონიდან, სადაც ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად ეს მანქანაც არ ფიგურირებდეს? ამიტომ ხშირად ხუმრობენ, ამერიკა ომებს „ჰამერის“ რეკლამირებისთვის იწყებსო...



ი16/27

# L85 A2 ბრიტანული მოიერიშე შაშხანა





## ღირსებები და ნაკლოვანებები

ბრიტანული მოიერიშე შაშხანის L85 A2-ის გამოცდამ საქართველოში, ვაზიანის პოლიგონზე, რამდენიმე წლის წინ მომიწია.

იმ დროს ბრიტანელი რეზერვისტების დანაყოფი NATO-ს ეგიდით გამართულ საერთაშორისო სამხედრო სწავლებებზე იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში და ქართველ სამხედროებთან ერთად გადიოდა ხანმოკლე მომზადებას.

პირველი შთაბეჭდილება, რაც ბრიტანული L85 A2-დან სროლისას მივიღე, ობიექტის მიზანში იოლი ამოღება იყო, რასაც შაშხანაზე ზემოდან დაყენებული SUSAT-ის ტიპის ოპტიკური სამიზნე უზრუნველყოფდა.

იგი სამიზნეს ოთხჯერ ადიდებს. ოკულარში მხოლოდ ერთი, ქვემოდან ამოწეული ისარი ჩანს, რომელიც ზედ უნდა დაასვა მიზანს და ზუსტი სროლაც გარანტირებულია, თუკი, რა თქმა უნდა, იარაღი სწორად გიჭირავს. 150 მ-ზე დაშორებული მიზნის დაზიანება პრობლემას არ წარმოადგენს, ოღონდ ერთჯერადი სროლებისას.

ავტომატური ჯერის გაშვებისას კი L85A2-ის და მით უმეტეს, მისი წინამორბედი L85A1-ის (საბჭოთა „კალაშნიკოვისა“ არ იყოს) ლულა ზემოთ ხტება.

ალბათ, ეს იმით არის გამოწვეული, რომ შაშხანაში „ბულპაპის“ პრინციპია გამოყენებული (მჭიდი სასხლეტის უკან არის განთავსებული) — სიმძიმის ცენტრი ძალზე უკან არის გადაწეული. ისე, „ბულპაპის“ სქემით სხვა ცეცხლსასროლი იარაღიც არის კონსტრუირებული (მაგ. „არსენალში“ უკვე განხილული ისრაელის „ტავორი“), მაგრამ ასეთი პრობლემები არ აქვს.

L85A1-ს ნაკლად დასავლელი ექსპერტები სხვა ნიუანსებსაც უთვლიან. კერძოდ, გადასატენი სახელური, რომელიც



**ჩვენი დოსიე:** დიდი ბრიტანეთის შეიარაღებაში 20 წლის წინ მიღებული მოიერიშე შაშხანა L85 A2-ის სიგრძე 77 სმ-ია. აქედან 52სმ ლულაზე მოდის („ბულპაპის“ სქემის წყალობით). SUSAT-ის ტიპის ოპტიკური სამიზნით და 30 ცალი 5,56 მმ კალიბრის ვაზნით დატენილი მჭიდით ეს შაშხანა 5 კგ-ს იწონის. სროლის ტემპი — 50 გასროლა წუთში, სროლის ეფექტიანი მანძილი კი 500 მ-ს აღწევს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შაშხანის მარჯვნივაა, ხშირად გასროლილი ვაზნის გვერდზე გადმოგდებული ჰილზისთვის ბარიერი ხდებოდა, რის გამოც იარაღი იჭედებოდა. გარდა ამისა, ჰილზების მარჯვენა მხარეს ექსტრაქცია ძალზე ართულებს ბრიტანული მოიერიშე შაშხანების ცაციების მიერ გამოყენებას, რადგან ექსტრაქტირებული ჰილზები მათ სახეში ხვდებათ.

შაშხანის ჩარჩო არც ისე მტკიცე იყო. ხშირად იარაღის დიდი სიმაღლიდან დაცემის ან მოწინააღმდეგისთვის კონდახის მთელი ძალით დარტყმის შემდეგ, ჩარჩო დეფორმირდებოდა, რაც ასევე აფერხებდა სროლას.







ხიშტ-დანას შაშხანის ლულის თავზე აყენებენ. ინტენსიური ცეცხლის შემდეგ ხიშტ-დანის ტარი ისე ცხელდება, რომ მისი შაშხანიდან მოხსნა ძნელია.

ბრიტანეთის არმიამ მოიერიშე შაშხანის პირველი მოდიფიკაცია L85 A1 ფოლკლენდის კონფლიქტის გამო, 1982 წლის ნაცვლად, სამი წლის დაგვიანებით მიიღო შეიარაღებაში. სულ 320 ათასი ასეთი შაშხანა გამოუშვეს, მაგრამ ზემოხსენებული და სხვა პრობლემების გამო 2000 წელს ცნობილმა გერმანულმა ფირმამ „ჰეკლერ-კოჰმა“, რომელიც იმ პერიოდში ბრიტანულ კონცერნს ეკუთვნოდა, დაიწყო 200 ათასი L85 A1-ის მოდიფიცირება L85 A2-ის დონემდე.

ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის გამოსწორება შაშხანის მოდიფიცირების შემდეგ მოხერხდა, თუმცა მალევე ერაყის საომარმა კამპანიამ ბრიტანეთის არმიის სარდლობა დაარწმუნა, რომ ამ შაშხანის იმედზე ჯარს ვერ დატოვებდნენ. სავარაუდოდ, ერთ-ორ წელიწადში ბრიტანელები ახალ გერმანულ შაშხანაზე „ჰეკლერ-კოჰ“ G36-ზე გადავლენ. სხვათა შორის, ამ უახლესი გერმანული G36-ებით მეოთხე წელია შეიარაღებულნი არიან საქართველოს სამთავრობო დაცვისა და შსს-ს შავნაბადას ანტიტერორისტული ცენტრის სპეცრაზმები.



მიუხედავად ბევრი უარყოფითი მხარისა (დატენილი ბრიტანული შაშხანის მასა 5 კგ-ს აღწევს) L85 A2-დან სროლა მაინც სასიამოვნოა და მიზანში მორტყმის მეტი შანსი გაქვს, ვიდრე „კალაშნიკოვიდან“. ეს ცხადყო კიდევაც ვაზიანში ჩვენი და ბრიტანელი სამხედროების შეჯიბრებამ — ქართველმა სამხედროებმა ბრიტანელები ყველაფერში დაჯაბნეს, გარდა ზუსტი სროლისა.

*ირაკლი ალადაშვილი*


არსენალი
L 85